PDF Eraser Free

დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შპს ორიენტირი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი
წევრები:
მარიამ აბელიანი
ხათუნა მაისაია
ნანა ვერულაშვილი
შორენა უზუნაძე
ქეთევან ჯანელიძე
ქეთევან ღვანაძე
გიული გურგენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ---------- **ორიენტირი**----------

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: ----------[redacted]----------

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს ორიენტირში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2022 წლის 1 მარტის ბრძანების #MES 2 22 0000207950 საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან, დაწესებულების მიერ პირობების შესაბამისობის შეფასება. პსდ-ში ვიზიტი განახორციელდა 2022 წლის 16, 17 და 18 მარტს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე), მარიამ აბელიანი (წევრი), დარგის ექსპერტები: შორენა უზუნაძე, ხათუნა მაისაია, გიული გურგენიძე, ნანა ვერულაშვილი, ქეთევან ჯანელიძე, ქეთევან ღვანიძე.

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან. შეხვედრები გაიმართა როგორც პირისპირ, ისე ონლაინ ფორმატში. ონლაინ განხორციელდა ასევე პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება/შეფასება. შემოწმდა დღის წესრიგით გაწერილი ყველა კომპონენტი.

დაწესებულების თვითშეფასების დოკუმენტით ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებული ჰქონდა „სრული შესაბამისობით“. ექსპერტთა შეფასებებისა და დასკვნის საფუძველზე, პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ყველა სტანდარტთან, შეფასდა როგორც „სრული შესაბამისობობა“, მათ შორის ყველა საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა პირველი სტანდარტის 1.2. კომპონენტისა. კომპონენტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, შესაბამისად შპს „ორიენტირის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა, როგორც „მეტწილი“.ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავდა შიდა ნორმატიული დოკუმენტების რევიზიას, მათ შორის სტრატეგიული გეგმის.

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ასევე წინა წარმოების (მონიტორინგი) რეკომენდაციების შესრულების შედეგები. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, მშვიდ და კეთილგანწყობილ ვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	~~*მეტწილი 2*~~	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს „ორიენტირის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთ სტრატეგიას წარმოადგენს პოტენციურ მომხმარებელთან კომუნიკაცია. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებთან აქტიური საკომუნიკაციო კამპანიის წარმოება, რისთვისაც დაგეგმილი აქვს პროექტი ***„კოლეჯის დესპანები“.***

პროექტის ძირითადი არსია, მოზარდთა პროფორენტაციასთან ერთად სარეკლამო კამპანიის წარმოება და კოლეჯის პროგრამების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის. მისი ძირითადი განმახორციელებლები კი, კოლეჯის წარმატებული პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები არიან. სწორედ ისინი წარმოადგენენ *„კოლეჯის დესპანებს“;* რომლებიც პირველ რიგში მშობლიურ სკოლებს სტუმრობენ, არჩეული პროფესიის, საკუთარი წარმატებისა და დაწესებულების შესაძლებლობების გაზიარების მიზნით.

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

პსდ-ში წინა ვიზიტი, არაგეგმიურ მონიტორინგი, განხორციელდა 2021 წელს, რომელიც მოიცავდა 5.2.2. კომპონენტს. შესაბამისად რეკომენდაციები ეხებოდა საინფორმაციო რესურსს. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა, რამდენად გაითვალისწინა დაწესებულებამ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობისა და განვითარების მიზნით გაცემული რეკომენდაციები. შესაბამისობის რეკომენდაცია - *ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა, დოკუმენტების შესრულების ვადების კონტროლი - დაწესებულების მიერ, პსდ ავტორიზაციის საბჭოზე საკითხის განხილვამდე, ფაქტობრივად აღმოფხვრილი ჰქონდა.* რაც შეეხება განმავითარებელ რეკომენდაციებს, რომლებიც ეხებოდა *IT რესურსების რისკების შეფასებასა და მონიტორინგის/შეკეთების პროცესების დოკუმენტირებას,* შემოწმებული იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, გასაუბრება განხორციელდა პერსონალთანაც. შეფასებით, დადასტურდა რომ, აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებული და შესრულებულია პსდ-ს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

1.2.2.(3) - სტარტეგიული და სამოქმედო გეგმები შემუშავდეს პსდ-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაცული იქნეს: დოკუმენტის სტრუქტურა, მიზნების, ამოცანების, შესრულების ინდიკატორების ფორმულირება (კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, დროში გაწერილი), განისზღვროს/დაკონკრეტდეს ამოცანების შესრულებისთვის შესაბამისი საპროგნოზო ბიუჯეტი/ფინანსური რესურსი.

განმავითარებელი რეკომენდაციები:

1.1.1 **(3) -** ღირებულების დეკლარირებისას - *„ხარისხზე ორიენტირება“,* სასურველია დაწესებულება აქცენტს არ აკეთებდეს მხოლოდ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, არამედ მიზნად დაისახოს ასევე, საქმიანობაში, საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული ხარისხის მენეჯმენტის სტანდარტების დანერგვა-განვითარება.

1.1.1. (4) - სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ნათლად აისახოს პსდ-ს მიერ დეკლარირებულ ღირებულებებზე ორიენტირებული (მაგ. „სოციალური პასუხსიმგებლობა“, „დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა“, „ხარისხზე ორიენტირება“), ამოცანები/აქტივობები.

1.2.1. (2) - შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების რეესტრი, ინტერესის და პსდ-ს საქმიანობაზე ზეგავლენის, მხარეებთან კომუნიკაციაზე/ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით.

3.1.1.(1)- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, გაიმიჯნოს ერთმანეთისგან უცხოეთში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების წესები ისე, რომ არ იძლეოდეს არასწორი ინტერპრეტირების საფუძველს. (საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების შესახებ დებულებები აღიქმება, როგორც უცხოეთში მიღებული განათლება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

3.1.1.(4) - სახელმწიფოს დაფინანსებით/თანადაფიანსებით განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებებში კორექტირდეს პუნქტები სწავლების საფასურისა და გადახდის პირობებთან დაკავშირებით. ასევე ხელშეკრულებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის განმეორებით შეფასებასებასთან დაკავშირებული პუნქტები ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი.

3.2.1.(2) - სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული დუბლირებული დებულებები კორექტირდეს და აღნიშნული საკითხები გაიწეროს ერთ მუხლში.

4.1.1. (1)- პსდ-ს დოკუმენტებში კორექტირდეს მმართველი ორგანოს/რგოლების დასახელებები და შესაბამისაობაში მოვიდეს პსდ-ს წესდებასთან; მართვის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია მოხდეს პსდ-ს სტრუქტურული სქემის ოპტიმიზაცია.

4.1.1. (3) - პსდ-ს დოკუმენტაციაში, ინტერესთა კონფლიქტის რისკის ალბათობის თავიდან აცილების მიზნით, კორექტირდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არ ყოფნის და მოვალეობის დროებით შესრულებასთან დაკავშირებული პუნქტი.

4.1.2. (3) - საშტატო განრიგში პოზიციების იდენტიფიცირება და დაჯგუფება მოხდეს მმართველობითი ფუნქცია-პასუხისმგებლობების შესაბამისად და იერარქიის დაცვით. ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, განათლების მინიმალური დონის განსაზღვრისას არ მიეთითოს განათლების სხვა დონე.

5.1.1. (2) და 5.2.1.(5) - პროცედურაში „მატერიალური რესურსის განკარგვის წესი“, უფრო კონკრეტული გახდეს პუნქტები რესურსებით, მათ შორის კომპიუტერული კაბინეტით სარგებლობის პირობების შესახებ (დღის რა მონაკვეთში ან რა დროითაა შესაძლებელი სარგებლობა; რა პირობებია თანხმობის გაცემისთვის საჭირო და სხვა მასთან დაკავშირებული პროცედურები). პსდ-ს მატერიალური რესურსის განკარგვისთვის, სასურველია შეიქმნას ერთი პროცედურა, რომელიც დაარეგულირებს მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

5.1.1. (5) - დარგობრივ კაბინეტებში სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით განთავსდეს სამუშაოების შესრულებისთვის უსაფრთხოების ნიშნები/ინსტრუქციები/ინფორგრაფიკა. კბილის ტექნიკოსის დარგობრივ კაბინეტისთვის შემუშავდეს სამუშაოთა შესრულების უსაფრთხოების წესები. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების გეგმის/პოლიტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

შემუშავება, სადაც იდენტიფიცირდება ყველა რგოლის/პირის პასუხისმგებლობის სფეროები, რისკების შეფასების, პერსონალის სწავლების პროცესები და ამ მათ მართვასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე განისაზღვროს ინსტრუქტაჟის პროგრამები/თემატიკა და უზრუნველყოფილი იქნეს განხორციელებული ინსტრუქტაჟის დოკუმენტირება. სასურველია განისაზრვროს დარგობრივი კაბინეტების მოწყობილობების/ინსტრუმენტების მონიტორინგის პერიოდი/სიხშირე მათი რისკის შემცველობიდან გამომდინარე.

5.1.1.(7) - პსდ-მ უზრუნველყოს, კონტროლის/მონიტორინგის პროცესის მუდმივობა. მონიტორინგი არ იყოს მხოლოდ მატერიალური რესურსის შეფასებაზე ორიენტირებული, არამედ მოიცვას ყველა ის ძირითადი და დამხმარე პროცესი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო პროცესის განხორციელებასა და საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხთან. მათ შორის მოიცვას, ის გარე მომწოდებლებიც, რომლებიც საქმიანობის/სასწავლო პროცესის ხარისხზე ახდენენ ზეგავლენას. პროცესების და მათი კონტროლის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად განსაზღვროს შეფასების/მონიტორინგის მეთოდები/მექანიზმები. შეფასებისა და კონტროლის, მათ შორის პროცესების შესრულებისთვის, გამოიყენოს გაზომვის მეთოდები (შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები). გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და დაკონკრეტდეს გარე მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები, საქმიანობის რეგლამენტი.

5.2.2. (1) - გადაიხედოს საქმიწარმოების ინსტრუქცია, დოკუმენტაციის არქივში გადაცემისა და განადგურების პროცედურებთან მიმართებით და პსდ-ში დაინერგოს დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი კომისიის პრაქტიკა. დოკუმენტების ცვლილებების/დამტკიცებისას დაცული იქნეს მმართველობითი დოკუმენტების წარმოების წესები (შინაარსი, სტრუქტურა). სასურველია, პსდ-მ შეიმუშაოს შიდა დოკუმენტაციის მართვისა და კონტროლის პროცედურა/მექანიზმები, რომელიც მოიცავს დოკუმენტის მოქმედების სრულ ციკლსა (შემუშავება, შეთანხმება, დამტკიცება, ცვლილება, გაუქმება, შენახვა) და კონტროლს ყველა ეტაპზე. დანერგოს დოკუმენტების პერიოდული კონტროლის მექანიზმი. სასურველია, საქმისწარმოების ერთიანი სისტემის უზრუნველყოფის მიზნით, ნომენკლატურა შემუშავდეს პსდ-ს ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის/პოზიციისთვის საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნების გათვალისწინებით.

5.2.3. (1) - საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერის სამოქმედო გეგმაში, პსდ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის გარდა, სასურველია პოზიციიდან გამომდინარე და სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით, ასახული იყოს პსდ-ს ხედვა კარიერული და პიროვნული განვითარების მიმართულებით. გეგმის ამოცანები, შესრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ინდიკატორები შემუშავდეს პსდ-ს სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებით, განისაზღვროს გეგმის შესრულების საპროგნოზო ბიუჯეტი. სასურველია სამოქმედო გეგმამ მოიცვას ყველა სამიზნე ჯგუფი/დაინტერესებული მხარე, მათ შორის პოტენციური. შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების ნუსხა.

მე-2 სტანდარტთან დაკავშირებული განმავითარებელი რეკომენდაციები, რომელიც ვრცელდება ყველა საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით:

2.1.1.(1) - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესში“, აისახოს აღნიშნულ ყველა პროცესთან დაკავშირებული შინაარსი/დებულებები. ასევე სასურველია დოკუმენტში ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლებლობები.

2.1.1. (8) - კორექტირდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში მუხლი, დოკუმენტის შემუშავების საფუძვლების შესახებ.

2.2.1.(7) - შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც ასევე აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის მექანიზმები, რაც ერთგვაროვანს გახდის პსდ-ს მიდგომას, პროგრამის ბიუჯეტირებისა და ხარჯების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით.

2.4.2. (2) - ვერიფიკაციის პროცესის ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვროს რისკების ინდენტიფიცრებისას, სხვადასხვა გარემოებების კონკრეტული კოეფიციენტით შეფასებისას რა მოცულობის დოკუმენტაცია უნდა იქნეს შეფასებული. ანალოგიურად, განისაზღვროს მთლიანად ვერიფიკაციის პროცესის ვალიდურობის ინდიკატორი. ვერიფიკაციის პროცედურით, განსაზღვრული რისკების გარემოებებისთვის, სასურველია შემუშავდეს ცალ-ცალკე დოკუმენტი (ჩეკ-ლისტი). სასურველია, პსდ-მ გადახედოს ვერიფიკაციის უარყოფითი შედეგის დადგომის შემთხვევის შესახებ დებულებებს. ვერიფიკაციის პროცესში, მით უფრო დანერგვის ეტაპზე, უარყოფითი შეფასების გარემოების დადგომისას, სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%-ის შემოწმება;

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კბილის სატექნიკო საქმის“ ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები:</u>

2.2.1.(6) - სასურველია, მოდულისთვის „კად კამი და სინთერიზაცია“, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მომზადებული სასწავლო რესურსი (რიდერი) მითითებული იყოს მოდულში და განთავსდეს ბიბლიოთეკაში, მათ შორის მატერიალური სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4.1.(3) - სასურველია გადაიხედოს საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები და დაემატოს სწავლის შედეგების შინაარსის შესაბამისი სხვა მეთოდებიც, როგორიცაა შემთხვევის ანალიზი/სიტუაციური ამოცანა, სემინარი და სხვა.

ზოგადი შინაარსის განმავითარებელი რეკომენდაცია

ტექნიკური ხარვეზების თავიდან არიდების მიზნით, გამკაცრდეს კონტროლი პსდ-ს დოკუმენტების შემუშავების/ცვლილების პროცესებზე. უზრუნველყოფილი იქნეს დოკუმენტში ცვლილების განხორციელებისას, შეცვლილი ტექსტის/მუხლის/პუნქტის მიკვლევადობა. სასურველია შემუშავდეს შიდა დოკუმენტების შემუშავებისა და მართვის პროცედურა, რომელიც ასევე მოიცავს დოკუმენტების პერიოდულ გადახედვასა და აღნიშნულ პროცესზე კონკრეტული პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას. დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა რეგულაციების შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

VIII. სტანდარტების შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ მისია ლაკონური და მომხმარებლისთვის ადვილად აღქმადია, მოიცავს პროფესიული განათლების მიზნებს, როგორიცაა ინდივიდის პროფესიული განვითარებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა. მისიის ქვეტექსტში აღიქმება პროფესიული განათლების კანონით განსაზღვრული სხვა მიზნებიც. პსდ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში საკუთარ წვლილს, კონკურენტული, პროფესიონალი კადრის მომზადებითა და მათთვის დასაქმების ხელშეწყობაში ხედავს.

<u>პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს .</u>

2. პსდ-ს ***<u>მისიით განსაზღვრულია საქმიანობის ძირითადი პროფილი</u>*** (ჯანდაცვა, განათლება, ბიზნესი), რა მიმართულებებითაც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს. გაცხადებულია საქმიანობის მახასიათებლები: პროფესიული პროგრამები, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ის ხედავს საკუთარ როლს განათლების სისტემაში.

3. პსდ-ს ხედვა მისიიდან გამომდინარეა. პსდ-ს ამბიციაა, 2028 წლისთვის, მისიით განსაზღვრული საკუთარი საქმიანობის პროფილის ფარგლებში, იყოს გამორჩეული, კონკურენტუნარიანი ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, სწავლების მაღალი დონით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

მისიისა და ხედვის მიღწევისთვის, ასევე საქმიანობის წარმართვისთვის, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პრინციპები, რომელთა კონტექსტი მოიცავს: - ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარის ხარისხზე ორინეტირებას, თანამშრომლობას დაინტერესებულ მხარეებთან, სამართლიანობასა და სოციალური პასუხისმგებლობას.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

1. *ხარისხზე ორიენტიერებისას, სასურველია დაწესებულება არ აკეთებდეს აქცენტებს მხოლოდ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, არამედ კონკრეტული ღირებულების ვექტორი მიმართოს ასევე საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული ხარისხის მენეჯმენტის სტანდარტების დანერგვაზე საქმიანობაში.*

4. პსდ-ს მისია,ხედვა, ღირებულებები, საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, განთავსებულია დაწესებულების ფოიესა და ვებ-გვერდზე. პერსონალი იცნობს პსდ-ს მისიასა და ხედვას, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებისას. მათ აღნიშნეს და დაასახელეს ღირებულებების ფარგლებში მოწყობილი ღონისძიებები და აქციები, რომლებშიც ჩართულები იყვნენ, როგორც პროფესიული სტუდენტები, ისე პერსონალი და პსდ-ს პარტნიორები.

<u>ინდიკატორის განმავითარებელიორეკომენდაცია:</u>

1. *სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში აისახოს პსდ-ს მიერ დეკლარირებულ ღირებულებებზე ორიენტირებული ამოცანები/აქტივობები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პსდ მისია, ხედვა ღირებულებები
2. პსდ-ს ვებგვერდი https://orientiri.edu.ge
3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის გაზიარების ამსახველი დოკუმენტები (შეხვედრის დასწრების ფუეცელი, დაგზავნისა და უკუკავშირის ელკორესპონდენცია, ონლაინ შეხვედრის ფოტო მასალა)
4. პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „შპს ორიენტირის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ბრძანება #00007473, 29/11/2021), რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგის მექანიზმს. სტრატეგიის დასახვისას პსდ ითვალისწინებს მისია-ხედვასა და მოქმედ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ დაწესებულების საქმიანობაზე. პსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისადაა განსაზღვრული გეგმის ხანგრძლივობა (7 წელი). განსაზღვრულია ასევე სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო ამოცანების კრიტერიუმების მოთხოვნები (კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური, დროში გაწერილი).

დოკუმენტით განსაზღვრულია ცვლილების და დაინტერესებული მხარეების ინფორმირების წესები. გეგმის ქმედითობისთვის, აუცილებელ კომპონენტად განიხილება პსდ-ს ბიუჯეტთან მისი ინტეგრირება, ასევე ეფექტურობის მისაღწევად, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა. დოკუმენტის შემუშავებას, მეთოდოლოგიის მიხედვით, ახორციელებს სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სამქომედო გეგმის შემუშავებაზეც. სამოქმედო გეგმა, პროცედურის თანახმად (პ.3.4.), შეიძლება ემთხვეოდეს კალენდარული წელს, სასწავლო წელს ან იყოს მოქნილი.

სამუშაო ჯგუფი იქმნება პსდ-ს დირექტორის ბრძანებით, რომლის შემადგენლობაშიც შედის: დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. პროცედურითვეა განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის/წევრების ფუნქციები და მუშაობის რეგლამენტი.

დადგენილია გეგმების შესრულების მონიტორინგის ვადები და პასუხისმგებელი პირი (პსდ-ს ხარისხის მენეჯერი), ხოლო დოკუმენტების მონიტორინგი ხორციელდება: სტრატეგიული გემის 2 წელიწადში ერთხელ, სამოქმედო გემის - 6 თვეში ერთხელ. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ანგარიშგება ხდება ყოველწლიურად, რაც ფაქტობრივად სტრუქტურული ერთეულების წლიური ანგარიშის კონსოლიდირებულ ვერსიას წარმოადგენს. პროცედურით განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია შესაბამისია დოკუმენტის შემუშავების აღიარებული პრაქტიკისა.

პსდ ***განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელზე დაყრდნობითაც უნდა განხორციელდეს დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.***

2. სტრატეგიული გეგმის შემუშავება განხორციელდა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის მიერ. ჯგუფის მიერვე განხორციელდა ცვლილებები გეგმაში. სამუშაო ჯგუფი დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შემუშავებული პროექტი დაგზავნილი იქნა ელფოსტით დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე განხილული იქნა გაფართოებულ ჯგუფთან, როგორც პირისპირ შეხვედრაზე, ისე ონლაინ ჩართვით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტების (გეგმები, მისია, ხედვა, ღირებულებები) პროექტებისა და დამტკიცებული გეგმების გაცნობა/გაზიარების დამდასტურებელი დოკუმენტები: შეხვედრაზე დამსწრეთა სია ხელმოწერებით (სულ 30 პირის ხელმოწერა), დაგზავნილი კორესპონდენციის (ელფოსტის) ფოტო ასლები (სქრინი). დაინტერესებული მხარეების მიერ უკუკავშირში ასახულია ასევე ინფორმაცია, მათი წინადადებების გათვალისწინების შესახებ, თუმცა თავად წინადადების შინაარსი არც ერთ დოკუმენტშია ასახული.

დოკუმენტების შემუშავების მტკიცებულებებში (პსდ-ს დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (#01/104 27.09.2021); სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები: #01 30.09.2021; #2 15.10.2021; #3 20.10.2021) დაშვებულია გარკვეული უზუსტობები. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის უფროსი, ხოლო ჯგუფის სხდომის ოქმებში, მითითებულია სხვა პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

გამოცემულია ბრძანება გეგმაში შეტანილი ცვლილების შესახებ, თუმცა შემუშავების დოკუმენტებსა და პერსონალთან დაგზავნილ კორეპონდენციაში, არაა მიკვლევადი განხორციელებული ცვლილებები. ცვლილების შინაარსი, არაა მითითებული ბრძანების ტექსტშიც. სასურველია, ოქმები მოიცავდნენ დეტალურ ინფორმაციას, გამოთქმული ინიცირების, განხორციელებული ცვლილებების, მოკვლეული საჭიროებების (ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტები, დაინტერესებული მხარეების მოლოდინი), ასევე კენჭისყრის შედეგების შესახებ ინფორმაციას. სასურველია, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს დაინტერესებული მხარეები, მათი ინტერესები და გავლენა დაწესებულების საქმიანობის მიმართ. ასევე სტრატეგიული და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება-დამტკიცებისას განისაზღვროს პირთა სია, ვისთანაც ხდება მათი შეთანხმება.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

1. *<u>შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების რეესტრი, ინტერესისა და პსდ-ს საქმიანობაზე ზეგავლენის მითითებით.</u>*
2. *<u>გამკაცრდეს კონტროლი პსდ-ს დოკუმენტების შემუშავება-წარმოების პროცესებზე.</u>*
3. *<u>უზრუნველყოფილი იქნეს დოკუმენტში ცვლილების განხორციელებისას, შეცვლილი ტექსტის/მუხლის/პუნქტის მიკვლევადობა.</u>*

3. შემუშავებული სტრატეგიული გეგმა (2020-2027 წწ), მოიცავს აქტივობების შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებებს, გრძელვადიან მიზნებს და მათი მიღწევის შესაძლებლობებს. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია 7 მიზანი, რომლებიც ეხება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ინფრასტრუქტურის, საინფორმაციო და ადამიანური რესურსების, ასევე სტუდენტური სერვისების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერულ და პიროვნულ განვითარებას. სტარტეგიულ მიზნებს წარმოადგენს ასევე ხარისხის მექანიზმების განვითარება და ფინანსური მდგრადობის გაზრდა.

სტრატეგიული გეგმის ქვემიზნები/ამოცანები, შესრულების ინდიკატორები არაა პსდ-ს ხედვის, ღირებულებების, სტატეგიული მიზნების შესაბამისი მასშტაბების, უფრო სამოქმედო გეგმის ამოცანებია ვიდრე მრავალწლიან პერსპექტივაში დანახული განვითარების შესაძლებლობები/მიზნები. ამასთან, მიზნები და ინდიკატორები არაა გაზომვადი, როგორც ეს პსდ-ს განსაზღვრული აქვს დაგეგმვის მეთოდოლოგიაში.

ასე მაგალითად:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFEraser Free

- სტარტეგიული ამოცანა „ინკლუზიური განათლების განვითარება“, რომლის აქტივობები დაგეგმილია 2022-2027 წლებში, შესრულების ინდიკატორი გულისხმობს სტუდენტებისთვის შეთავაზებული სერვისების ანგარიშს. სასურველი იქნებოდა განსზღვრულიყო, მინიმუმ რამდენი სახის ან რა მიმართულებით ხედავს დაწესებულება სერვისების დანერგვის საჭიროებას.
- ანალოგიურია „ავტორიზებული პროგრამების ფარგლებში კონტინგენტის გაზრდა“, თუმცა, არც მიზანში და არც ინდიკატორში, არ ჩანს თუ რა მაჩვენებლის მიღწევა სურს დაწესებულებას.
- სტრატეგიული მიზანი „ხარისიხს უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება“, რომლის ამოცანებია: ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასების განხორციელება, კოლეჯის სამართლებრივი დოკუმენტების ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა/გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ხარისხის მუდივი განვითარება შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორნგს, თანამედროვე ტენდენციებისა და ინოვაციების დანერგვას სასწავლო პროცესში. ინდიკატორებია: დანერგილი მეთოდები, საკონტაქტო საათებზე დასწრების ამსახველი დოკუმენტები, დატრენინგებული მასწავლებლების რაოდენობა (თუმცა არაა განსაზღვრული რა პროცენტი) და გამოკითხული სტუდნეტები.
- სტრატეგიულ ამოცანად ვერ იქნება განხილული „ვებ-გვერდის განახლება“, რაშიც დაწესებულება მოიაზრებს ინფორმაციის/სიახლეების განთავსებას საიტზე.
- სტრატეგიული ამოცანის „ფინანსური მდგრადობის მიზნით დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება“, შესრულების ინდიკატორი ვერ იქნება მხოლოდ გაუმჯობესებული ბიუჯეტი. ინდიკატორის გაზომვისა და შესრულების ეფექტურობისთვის უნდა განისაზღვროს მინიმუმ რა პროცენტით გეგმავს პსდ ბიუჯეტის გაზრდას ან დამატებით რამდენი წყაროს მოძიება იგეგმება.

ანალოგიურადაა სამოქმედო გეგმაშიც, მათ შორის სხვა სტრუქტურული ერთეულების/მიმართულებების სტრატეგიულ გეგმებშიც (მაგ. საზოგადოებასთან ურთიერთობის, ან ადამინური რესურსის განვითარების სტრატეგიული გეგმები), ამასთან გეგმა, სასურველია მოიცავდეს არა მითითებას ბიუჯეტის მუხლზე, არამედ განისაზღვროს ამოცანის მასშტაბის შესაბამისი საპროგნოზო ბიუჯეტი/ფინანსური რესურსი. არასრულყოფილად არის შევსებული სხვა მნიშვნელოვანი დაგეგმვის დოკუმენტებიც, მაგ: დაწესებულების მიერ შემუშავებულია შესაბამისობის გეგმები. გეგმებში „რისკები და რისკის დადგომის ალბათობა“ - არაა იდენტიფიცირებული, ხოლო შენიშვნაში მითითებულია „პანდემია“. ასევე საგანგებო სიტუაციების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, გრაფაში „სხვა ჩართული მხარეები“, „მატერიალური რესურსი“, არაა განსაზღვრული. გეგმების შესრულების შეფასებისა და სრულყოფილი ანალიზისთვის, საჭიროა სრულად იყოს იდენტიფიცირებული და შეფასებული თითოეული ამოცანის/აქტივობის შესრულების ინდიკატორი, რისკი, საჭირო რესურსები და პასუხისმგებელი პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მიზნების, ამოცანების, ინდიკატორების განსაზღვრა, ხელს შეუწყობს, როგორც თავად პსდ-ს, ისე დაინტერესებული მხარეების მიერ, დაწესებულების პოტენციალისა და მის გრძელვადიან პერსპექტივაში ხედვის უკეთ გაანალიზებას, მიღწეული შედეგების ეფექტურობის შეფასებას.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის გრძანება „შპს ორიენტირში ავტორიზაციის დოკუმენტაციის მონიტორინგის შესახებ“, რომლითაც შეტანილია ცვლილებები სამუშაო ჯგუფისა და სტრატეგიულ დოკუმენტში ცვლილებების შესახებ გამოცემულ აქტებში. ბრძანებით განსაზღვრულია ასევე, გადახედილ იქნეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, პსდ-ს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ასევე *გაუმჯობესების/შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისად აღნიშნულ დოკუმეტებზე აქტივობათა შესრულების ვადა განსაზღვრულია 6 თვით.*

შესაბამისობის რეკომენდაცია:

1. *გადაიხედოს სტარტეგიული და სამოქმედო გეგმები, განისაზღვროს დაწესებულების მისიის, ხედვის შესაბამისი ამოცანები და ინდიკატორები. პსდ-ს მეთოდოლოოგის შესაბამისად, დაცული იქნეს დოკუმენტის სტრუქტურა, შესრულების ინდიკატორების ფორმულირება, განისზღვროს ამოცანების შესრულებისთვის შესაბამისი ბიუჯეტი/ფინანსური რესურსი.*
2. *სამომქედო გეგმისთვის განისაზღვროს შესასრულებელი ამოცანის შესაბამისი საპროგნოზო ბიუჯეტი/ფინანსური რესურსი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (ბრძ. #00007473, 29/11/2021)
2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის შეხვედრაზე დასწრების ფურცელი
3. ელ კორესპონდენციის დაგზავნის ფოტო ასლები
4. შპს „ორიენტირის“ დირექტორის ბრძანება #01/152 „ შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 7 წლიანი სტრატეგიული, ერთწლიანი სამოქმედო გეგმების და 2020-2021 სასწავლო წლის საპროგნოზო გეგემის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 29 ივლისის #01/57 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (12.11.2021)
5. გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა ბრძ#7705 06.12.2021
6. ბრძანება „შპს ორიენტირის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ (#01/104 27.09.2021)
7. „შპს ორიენტირის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები
8. შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება „შპს ორიენტირში ავტორიზაციის დოკუმენტაციის მონიტორინგის შესახებ“ (#01675 14.03.2022)
9. პსდ-ს შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ შესრულების მონიტორინგი განხორციელებულია 2021 წლის ივლისისა და ნოემბრის თვეებში. შეფასების/მონიტორინგის პროცესებში მონაწილეობა მიიღო დაწესებულების ადმინისტრაციულმა პერსონალმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, რაც დასტურდება დოკუმენტების განხილვის მიზნით ორგანიზებული შეხვედრის დასწრების ფურცლებითა და ონლაინ შეხვედრების ე.წ. „სქრინებით“. გარდა ამისა, პერსონალთან მიმოწერით დასტურდება, რომ სამუშაო ჯგუფს დოკუმეტში განხორციელებულ ცვლილებებში ასახული აქვს მათ მიერ გამოთქმული წინადადებები/შენიშვნები.

2. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, პსდ-ში ზოგადად არის გარე შეფასების შედეგებზე რეაგირების კარგი პრაქტიკა. რისი დასტურიცაა, მაგ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სახანძრო უსაფრთხოების შეფასების, ან სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების/გატარებული მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმები და შესრულების მტკიცებულებები (დეტალური ინფორმაცია იხ. მე-5 სტანდარტთან). ამასთან, ორივე შემთხვევაში, დაწესებულების მიერ ეფექტურადაა გამოყენებული PDCA ციკლი. ასევე, ადმინისტრაციის პერსონალის განმარტებით, პსდ-ში ჩატარებული სიმუალციური მონიტორინგის საფუძველზე არა ერთი ცვლილება განხორციელდა სტრატეგიულ დოკუმენტში. (იხ. ასევე 1.2.1 (3) ინდიკატორის შეფასება). თუმცა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ცვლილებების/რეაგირების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში არა ინფორმაცია იდენტიფიცირებული/მიკვლევადი. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმებსა და ამ საკითხებთან დაკავშირებულ ბრძანებებში არაა მიკვლევადი შეფასების შედეგებზე, ან სამუშაო ჯგუფის/დაინტერესებული მხარეების მიერ იდენტიფიცირებულ თუ ინცირებული წინადადებებსა და ცვლილებებზე კონკრეტული ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

<u>ინდიკატორის განვითარების რეკომენდაცია:</u>

1. დაწესებულებამ უზრუნველყოს განკარგულებით დოკუმენტებში (ბრძანება, ოქმი) ინფორმაციის/ცვლილებების მიკვლევადობის მიზნით, სრულყოფილად გადმოცემა დოკუმენტებში;
2. უზრუნველყოს შესაბამისი მტკიცებულებებით პერსონალის ინიცირებული ან ცვლილების, რეაგირების შესახებ წინადადებები.

3. პსდ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროობას. ანგარიში წარედგინება პსდ-ს პარტნიორთა საერთო კრებას. პარტნიორთა სხდომის ოქმი და განხილული წლიური ანგარიში განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პარტნიორთა კრების ოქმი #1 15.02.2022
2. ვებგვერდი https://orientiri.edu.ge/wp-content/uploads/2022/02.pdf
3. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (ბრძანება #00007473, 29/11/2021)
4. პერსონალთან დაგზავნილი კორესპონდენცია და შეხვედრის მასალა
5. „შპს ორიენტირის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები
6. პსდ-ს სტრატეგიული, სამოქმედო, მაკორექტირებელი/გაუმჯობესების/შესაბამისობის გეგმები
7. პერსონალთან გასაუბრების შედგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსთან (მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა), ჩარიცხვის ეტაპებთან, აპლიკანტთა რეგისტაციასათან, შერჩევა-ტესტირებასთან დაკავშირებული პროცედურები. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ასევე სსსმ და არასრულწლოვანი პირების ჩარიცხვის თავისებურებები. მობილობისა და ფორმალური განათლების აღიარების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის წესები. პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული აღნიშნული სერვისები ითვალისწინებს აპელაციის წესებსაც. შიდა რეგულაციით განსაზღვრული დებულებები არ ეწინაღრმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ („პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“), 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ („პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“), 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ („ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი) ბრძანებების მოთხოვნებს.

<u>პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების ზოგადი მოთხოვნები გაწერილია ასევე დაწესებულების წესდებაში (მუხლი 7).</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს შერჩევითი პრინციპით, შესაფასებელი პროგრამების ფარგლებში, შემოწმდა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, მათ შორის შეირჩა ისეთი საქმეები, რომლებიც მოიცავდნენ მობილობის (შიდა და გარე), სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცესების ამსახველ დოკუმენტაციას. გადამოწმდა ჩარიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტები (რეიტინგული სიები, მისაღები კომისიის, მათ შორის მეორადი მიღების, ოქმები, ბრძანებები, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები). არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აღნიშნული პროცესები იმართება საქართველოს კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ გაწერილი რეგულაციების შესაბამისად.

პსდ-ს შიდა რეგულაციით ასევე უზრუნველყოფილია კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მუხლი 39). აღნიშნული ვითარების დადგომისას, პსდ პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს პროგრამის დასრულების, ან საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით კოლეჯის სხვა პროგრამაზე სწავლის გაგრძელების, ან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ანალოგიურ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.

<u>პსდ უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვას, რისი ერთ-ერთი მექანიზმია</u>
დაწესებულებაში არსებული პროფესიული სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო - პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობა. სტუდენტურ თვითმმართველობის ორგანოში, თითოეული ჯგუფიდან, ხმათა უმრავლესობით შეირჩევა ერთი წარმომადგენელი, ხოლო არჩეული კანდიდატებიდან - თვითმართველობის პრეზიდენტი. თვითმართველობის ორგანოს ძირითად მიზნებს წარმოადგენს: სტუდენთა ინტერესების, უფლებების დაცვა/წარმოდგენა კოლეჯის მართვის ორგანოებთან; ადმინისტრაციისთვის სასწავლო პროცესის დახვეწა-განვითარებაში, ასევე პროფესიულ სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების, კანონის უზენაესობისადმი პატივისცემის ამაღლებისა და ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში კოლეჯის ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობა.

თვითმართველობის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულია (10.02.20220) შიდა პროცედურის მოთხოვნების გათვალისწინებით და დემოკრატულობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით. კანდიდტის არჩევნები და კენჭისყრა ჩატარდა ელექტრონულად, რომელშიც მონაწილოება მიიღო 194 პროფესიულმა სტუდენტმა. დაწესებულების ვებ-გევრდზე, წარმოდგენილია თვითმართველობის ორგანიზებით განხორციელებული არაერთი ღონისძიება, მათ შორის საქველმოქედო ხასიათის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

შიდა რეგულაციებით გათვალისწინებულია არასრულწოვანი პირების უფლებების დაცვის მექანიზმები, რაც ასევე დადასტურდა კოლეჯის მიერ წარმოებული დოკუმენტაციით (არასრულწლოვანი პირების დოკუმენტაციას ახლავს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის ხელმოწერები და შესაბამისი მტკიცებულებები).

შიდა რეგულაციებით ასევე გათვალისწინებულია „უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესები“ (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 36), რომელიც ასევე მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების მექანიზმებს (პ.6).

<u>პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები.</u>

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>პსდ-მ გამოიკვლიოს უცხოეთში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების წესები ერთმანეთისგან და პროცესის მარეგულირებელი დებულებები ჩამოაყალიბდეს დამოუკიდებელ თავებად ან მიღებული განათლების აღიარება/დადასტურება გაიწეროს ერთ თავში, ზოგადი შინაარსის სათაურით.</u>

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს. კოლეჯის დირექტორის #01/156 ბრძანებით დამტკიცებულ „სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმებში“ (17.11.2021), გაწერილია მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ადაპტაციის პროცესს სწავლის ყველა ეტაპზე. ამის უზრუნველსაყოფად პსდ-ში ხორციელდება გაცნობითი სახის შეხვედრები. კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, შეხვედრები ორგანიზდება ონლაინ ფორმატშიც. შეხვედრებზე პროფესიული სტუდენტები ეცნობიან საკუთარ უფლებებს, ვალდებულებებს-პასუხისმგებლობებს, კოლეჯის მიერ შეთავაზებულ სერვისებს, შინაგანაწესის მოთხოვნებს, სასწავლო პროცესის თავისებურებებს, შეფასების სისტემას, ეთიკის ნორმებს, უსაფრთხოების მოთხოვნებსა და სხვა წესებს. პროცედურის თანახმად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, გაუწიონ კონსულტაციები სასწავლო-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებით, შესთავაზონ სტუდენტებს შესაბამისი სერვისები და მხარდაჭერა საჭიროების მიხედვით. კონსულტაციებია გათვალისწინებული მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციისას, მათ შორის შშმპ და სსსმპ საჭიროებების გათვალისწინებით.

პსდ-ს შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს ინკლუზიური განათლების სერვისები, სხვადასხვა შეზღუდვების გათვალსიწინებით, მაგ. ქცევითი და ემოციური აშლილობის, ინტელექტუალური სირთულეების, განვითარების დარღვევების, ფიზიკური შეზღუდვის, მხედველობის და სმენის დარღვევების შემთხვევებისთვის.

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია, შეხვედრის შესახებ ინფორმაცია და ფოტო მასალა, რომელზეც პსდ-ს იურისტის მიერ განხორციელდა პროფესიული სტუდენტებისთვის მათი უფლებების გაცნობა. სტუდენტთა უფლებები, ასახულია ასევე საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების პუნქტებშიც.

<u>პროფესიული სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ იცნობენ საკუთარ უფლებებს და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.</u>

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით. აღნიშნული საკითხები რეგულირდება პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (თავი IV, მუხლი 44). წესის შესაბამისად, შეფასების დადგომამდე, პროფესიული განათლების მასწავლებელის პასუხისმგებლობაა პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირება, შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტების შესახებ. დოკუმენტი არ აზუსტებს თუ რამდენი ხნით ადრე უნდა მოხდეს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება. თუმცა, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ ერთი კვირით ადრე ხდება სტუდენტებისთვის შეფასებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის მიწოდება.

პროცედურა არეგულირებს ასევე შეფასების შედეგების გაცნობის/უკუკავშირის წესებს. პროფესიული განათლების მასწავლებელი განმსაზღვრელი შეფასების თარიღიდან 1 სამუშაო დღის ვადაში ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას. შეფასების შედეგების გაცნობის პროცესში დაცულია პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნები, სტუდენტების ინფორმირება ხდება ინდივიდუალურად პირისპირ ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ჯგუფთან შეფასების შედეგების მიწოდება დასაშვებია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

მხოლოდ პროფესიული სტუდენტების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, თუმცა როგორც მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები აღნიშნავენ, ამ შემთხვევაშიც, შეცდომების განხილვა ხდება განზოგადებული სახით.

პსდ-ს შიდა რეგულაციით გაწერილია ასევე განმეორებითი გამოცდისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურები. პროფესიულ სტუდენს განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს მაქსიმუმ 2-ჯერ, მათ შორის პროგრამის დასასრულს მიმდინარე მოდულების ვერ დადასტურების შემთხვევაშიც. ამ უკანასკნელის გადაბარების პერიოდი განსაზღვრულია, პროგრამის დასრულებიდან 2 კვირის ინტერვალით.

პსდ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტის სხვადასხვა შეფასების პროცესებთან დაკავშირებული გასაჩივრების შესაძლებლობები. ასე მაგ.: პროფესიული სტატუსის მოპოვებისთვის ტესტირების/გასაუბრების შედეგების (19 მუხლი), საკვალიფიკაციო გამოცდის (მუხლი 57) და პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა (მუხლი 45). აღნიშნულ პირველ ორ შემთხვევაში, საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, წერილობით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე, იქმნება სააპელაციო კომისიები, რომლებიც განიხილავენ საჩივრებს, ხოლო სწავლის შედგების დადასტურების/შეფასების აპელაციის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია შეფასების გაცნობიდან 1 სამუშაო დღეში მიმართოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამსახურს, რომელიც ორგანიზებას უწევს საჩივრის განხილვას. განხილვა ხდება პროფესიული სტუდენტის ჩართულობით. აპელაციის პროცედურით უზრუნველყოფილია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება.

აღნიშნული პროცედურები პსდ-ს შემუშავებული აქვს ასევე დისტანციურად სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაშიც. შეფასების პროცესისთვის პსდ იყენებს პლატფორმებს: Zoom ან Microsoft Teams. პროცედურის თანახმად, შეფასების ინსტრუმენტი შესაფასებელ პირს ეგზავნება 10 წუთით ადრე. ***ტესტირებისთვის განსაზღვრული დროის ამოწურვიდან 10-15 წუთის განმავლობაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წამუშევარი გადააგზავნოს პსდ-ს ელ ფოსტაზე.*** პროცედურით გათვალისწინებულია ასევევ შესაფასებელი პირთან წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზებიც (დენის/ინტერნეტის გათიშვა), რის შესახებ ხდება ***ადმინისტრაციის დაუყოვნებელი ინფორმირება. ასეთ შემთხვევაში შესაფასებელ პირს დამატებით ეძლევა 15 წუთი. დამატებითი დროის ამოწურვის შემდეგ შემოსული ნამუშევარი არ ფასდება, ასეთი გარემოების შემთხვევაში, ინიშნება განმეორებითი შეფასება. დისტანციური სწავლებისა და შეფასების*** პროცედურაც ითვალისწინებს აღნიშნულ აპელაციის წესებს (მუხლი 5).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

შეფასებისა და აპელაციის პროცედურები უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვას და არ ეწინააღმდეგება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

4. პსდ-ს შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 24 ნოემბრის #07348 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ფორმები (სახელმწიფო დაფინანსებით და სტუდენტის თვითდაფინანსებით საგანმანათლებო მომსახურების გაწევის შემთხვევებისთვის), რომლებითაც განსაზღვრულია დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტების უფლებამოსილებები და ვალდებულებები. ხელშეკრულება, მოიცავს მითითებას პსდ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესზე, რომელიც განიხილება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. დაწესებულება იღებს ვალდებულებას, დოკუმენტში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს სტუდენტს ვებ-გვერდზე ან/და კოლეჯის შენობაში საჯარო ადგილას გამოქვეყნებით. ხელშეკრულება, ასევე მოიცავს პუნქტებს პერსონალური მონაცემების დაცვა-დამუშავებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ. დოკუმენტის ფორმა ითვალისწინებს არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკას.

პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, თუმცა მოიცავს გარკვეულ უზუსტობებს:

- ხელშეკრულების 1.4. პუნქტის თანახმად, კოლეჯი იღებს ვალდებულებას ანაზღაურების გარეშე უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო მომსახურება, რაც არასწორია, ვინაიდან პროფესიული სტუდენტის სწავლა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ტექნიკური ხარვეზია არასაბიუჯეტო საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაშიც, სადაცმითითებულია რომ საგანმანათლებლო მომსახურებას უზრუნველყოფს „ანაზღაურების გარეშე“, ხოლო 3.3. და 3.4. პუნქტები მოიცავს გადასახადის დაფარვის (გადახდის ფორმები (ნაღდი, უნაღდო), საფასურის გადანაწილება) პირობებს.

- გარკვეული შეუსაბამობაა ხელშეკრულებასა და მარეგულირებელი წესს შორის, მეორე განმეორებითი შეფასების საფასურთან დაკავშირეით. ხელშეკრულებით მეორე განმეორებითი შეფასების საფასურია 20 ლარი (პ. 3.5.), ხოლო იგივე საკითხი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია 30 ლარით (მუხლი 44, პ. 12, დამტკიცების თარიღი 03.11.2021, ბრძანება #01/138,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ცვლილების თარიღი 31.01.2022 ბრძანება #0622). პერსონალის განმარტებით აღნიშნული უზუსტობა განაპირობა მარეგულირებელ წესში გატარებულმა ცვლილებებმა, რომელთა ასახვა არ განხორციელდა ხელშეკრულების ფორმაში (დამტკიცების თარიღი 24.11.2021, ბრძანება #07348).

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:

1. ***სახელმწიფოს დაფინანსებით/თანადაფინანსებით განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებებში კორექტირდეს პუნქტები სწავლების საფასურისა და გადახდის პირობებთან დაკავშირებით.***
2. ***საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებული პუნქტები ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი.***

5. პს***დ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 6) განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების მექანიზმები .***აღნიშნული მუხლით განსაზღვრულია ისგ-ის შემუშავების შემთხვევები და უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შემუშავების პროცესში. ასევე ისგ-ის შემუშავებისას გათვალისწინებულია შშმპ სწავლების თავისებურებები და საკანონმდებლო მოთხოვნები. ისგ შემუშავება ხდება როგორც ერთი კონკრეტული სტუდენტისთვის, ისე სტუდენტებისთვის.

დაწესებულებას აქვს ისგ-ს შემუშავების პრაქტიკა. პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა და გარემოებებიდან გამომდინარე, ისგ შემუშავდა „საქთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამი სტუდენტისთვის. ისგ-ს შემუშავდა შემუშავებული წესის თანახმად, რასაც წინ უძღოდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი ისგ-ის შექმნის საჭიროებასა და შესაძლებლობებთან დაკავშირებით (N03/22, 03.12.2020). ისგ-მ მოიცვა საგანმანათლებლო პროგრამის 3 მოდული („გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები“, „ინფექციის კონტროლის საფუძვლები“, „საექთნო პრქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედინიცო დაწესებულებებში“). დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას მოდულებისა და განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შესახებ, ასევე საკონტაქტო საათების რაოდენობას და მათი ჩატარების გრაფიკს. ისგ-ს შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ სსსმ სტუდენტები, რომლებთანაც შეთანხმდა საბოლოო დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (03.11.2021 ბრძანება # 01/138)
2. შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება „შპს ორიენტირში ელექტრონული/დისტანციური სწავლების კითხვარების დამტკიცებისა და გამოცდის დისტანციურად ჩატარების შესახებ“ (#01/131, 18.12.2020)
3. პროფესიული სტუდენტური თვითმმართველობის დებულება (31/01/2022 ბრძანება #0634)
4. შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება „შპს ორიენტირის პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ (24/11/2021 #07348)
5. შპს ორიენტირის კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ (სტატუსის მინიჭების შესახებ ბრძანება #01/143 (კ), 05.11.2021; სტატუსის აღდგენის შესახებ ბრძანება #/123(კ), 02.12.2020)
6. პროფესიული სტუდენტის მობილობის შესახებ დოკუმენტაცია (პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება #02/329, 12.11.2021; შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება 12.11.2021 N153(კ) მობილობისა და სტატუსის შეწყვეტის თაობაზე)
7. კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტაცია (ბრძანება#162, 15.01.2022; კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის სხდომის ოქმი (14.01.2022), სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი #149 14.01.2022);
8. მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის/დიპლომის რეგისტრაციის და გაცემის ჟურნალი
9. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები
10. მიმღები კომისიის მასალები
11. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების მიერ ასახული ინფორმაცია
12. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის საჭიროებასთან დაკავშირებით (N03/22, 03.12.2020)
13. საქთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის შემუშავებული ინდივიდულური სასწავლო გეგმა;
14. პსდ-ს პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები და ფაქტობრივი გარემოებები
15. პსდ ოფიციალური ვებ და სოციალური გვერდები

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

☐ მეტწილად შეესაბამება
PDF Eraser Free
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რაც დასტურდება როგორც პსდ-ს პერსონალსა და მასწავლებლებთან, ისე პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განმავითარებელი შეფასებები ხორციელდება სისტემატურად. უკუკავშირის მიწოდება ხდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფში, პროფესიული სტუდენტის თანხმობით, ხოლო წერილობითი შეფასებისას უკუკავშირი ხორციელდება დამატებით პირად ელფოსტაზე შეტყობინებით.

   პროფესიული სტუდენტების საგანმანთლებო მომსახურება მოიცავს ასევე საკონსულტაციო შეხვედრებს, რომლებსაც ახორციელებენ როგორც მოდულის განმახორციელებელი პირები, ისე პროგრამის ხელმძღვანელები და პსდ-ს ადმინისიტრაციის წარმომადგენლები. პროფესიული სტუდენტები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ ისინი სისტემატურად იღებენ მხარდაჭერას, როგორც განმავითარებელ შეფასებებთან დაკავშირებით, ისე სასწავლო პროცესის სხვა საკითხებზე.

   კოლეჯის თანამშრომლები მუდმივად ახდენენ მონიტორინგს სტუდენტების საჭიროებებზე. სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას ან/და ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დამატებით იხ. ასევე ინდიკატორების 3.1.1.(2) და 3.1.1.(3) აღწერა.

2. ***<u>პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან</u>***. პროფესიული სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციის მიერ, ტარდება გაცნობითი/საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ხდება მათთვის კოლეჯის რეგულაციებსა და სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. შიდა რეგულაციების თანახმად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური ვალდებულია ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, საჭიროებისას ჩართოს სხვა სტრუქტურული ერთეული/პირი სტუდენტთა საჭიროების შესაბამისად. აღნიშნული პროცესები დეტალურადა გაწერილი დაწესებულების პროცედურაში „სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები“, ამავე წესით პსდ-ს ვალდებულებად განსაზღვრული აქვს, შშმ/სსსმ პირების განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში, შექმნას სათანადო პირობები. ამისთვის დეტალურად არის გაწერილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისთვის სერვისები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლები: 30, 38, 48).

კოლეჯის ინფრასტრუქტურა, ადაპტირებულია გადადგილების შეზღუდვის მქონე პირთათვის (მოწყობილია პანდუსები, ხელმისაწვდომია ყველა ოთახი/სტრუქტურული ერთეული, ადაპტირებულია სველი წერტილი). შიდა რეგულაციებით, დაცვის თანამშრომლების მოვალეობაა ინფრასტრუქტურით სარგებლობისას, ასეთ პირებს, საჭიროებისას აღმოუჩინოს დახმარება. ასევე საჭიროების შემთვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური კვალიფიკაციის მქონე პირების ჩართვას.

დამატებით იხ. ასევე ინდიკატორების 3.1.1.(2) და 3.1.1.(3) აღწერა.

<u>ინდიკატორის განმავითრებელი რეკომენდაცია:</u>
<u>აღსანიშნია, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული მუხლები/პუნქტები დუბლირებულია. პროცესების მართვის გაუმჯობესებისა და დოკუმენტის დახვეწის მიზნით, სასურველია დებულებები კორექტირდეს და აღნიშნული საკითხები გაიწეროს ერთ მუხლში.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

3. პსდს წესდებით, დაწესებულების დირექტორის უშუალო მოვალეობათა ნუსხაში შედის სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები და უფლებების დაცვის უზრუნველყოფა (მუხლი 5).

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 24, პ.7) უზრუნველყოფილია სტუდენტთა მხარდაჭერისა და მოსმახურების წარმოების პროცესები, კერძოდ ცნობის, დიპლომის/სერთიფიკატის გაცემა, შიდა და გარე მობილობის განცხადების განხილვა, განათლების აღიარება და სხვა პროცესები, რაც პროფესიული სტუდენტების მოსმახურებას და საჭიროებებს შეიძლება ეხებოდეს, პსდ-ს ადმინისტრაციამ უნდა განიხილოს და დააკმაყოფილოს, არაუმეტეს 3 სამუშაო დღეში. გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია საკითხის განხილვა საჭიროებდეს განსაზღვრულზე მეტ დროს, მაგრამ ის არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

ამავე პროცედურით განსაზღვრულია ადმინისტრაციის მხრიდან კონკრეტული მხარდაჭერის ღონისძიებები, მათ შორის სწავლის საფასურის მოქნილი გრაფიკის შეთავაზება (მუხლი 26) და შეღავათები (გადასახადზე დაწესებული შეღავათები/გათავისუფლება), რომლებიც ვრცელდება შემდეგ მოწყვლად ჯგუფებზე: 1. ომისა და შეირაღებული ძალების ვეტერანები და მათი შვილები; 2. იძულებით გადაადგილებული პირები; 3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვისსაბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოქალაქეები; 4. I და II ჯგუფის შშმ პირები; 5. ორივე მშობლით ობოლი პირები, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას; 6. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირები; 7. ერთი ოჯახიდან ერთზე მეტი სტუდენტის/მსმენელის სწავლის შემთხვევაში; 8. სტუდენტის/მსმენელი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახიდან. სწავლის საფასურის გადახდაზე შეღავათების სესახებ ინფორმაციას მოიცავს პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებაც.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტების მიერ, შესწავლილი იქნა მობილობის (გარე, შიდა) დოკუმენტები, ასევე ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ განცხადება (30.09.2019) და მისი შიდა ადმინისტრაციული წარმოების პროცესი. დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პსდ-ს ადმინისტრაციის მიერ, ***დროულად ხდება რეაგირება და მხარდაჭერის გაწევა,*** **ამასთან საკითხების გადაჭრა ხდება პროფესიული სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.**

პსდ მიერ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტები გასაუბრებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

4. კოლეჯის ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს აქვს წარადგინოს არაფორმალური აქტივობების ინიციატივა. ინიციატივის წარდგენა ხდება კოლეჯის შესაბამისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი ფუნქციის დირექტორის სახელზე განცხადების მიმართვით, რომელიც უნდა შეიცავდეს აქტივობების დეტალურ აღწერას, მოსალოდნელ შედეგებს, საჭირო რესურსებს და განხორციელების ვადებს („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მუხლი 24. პ.7). დაწესებულებას ასევე დადგენილი აქვს სტუდენტური აქტივობების/პროექტების პრიორიტეტული მიმართულებები: საგანმანათლებლო აქტივობები, კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებები.

წინადადების განხილვის ვადაა 10 სამუშაო დღე. დადებითი პასუხის შემთხვევაში ადმინისტრაცია გამოყოფს შესაბამის რესურსებს და განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს. უარის შემთხვევაში ინიციატორს ეცნობება დასაბუთებული უარი.

პსდ-ს ადმინისტრაციის მხრიდან ხდება სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა, დამატებითი ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელბა, რომლის დამდასტურებელი ინფორმაცია/მასალა მრავლად არის წარმოდგენილი სოციალურ და ვებგვერდებზე. მაგ. მხოლოდ 2022 წლის იანვარი-მარტის თვის პერიოდში სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, განხორციელდა საქველმოქმედო აქცია სოციალურად დაუცველი ოჯახის დახმარების მიზნით. კოლეჯის ადმინისტრაციის ინიციატივით ჩატარდა ტრენინგები: ოჯახური ძალადობა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლის (ქალი, ბავშვი, მამაკაცი) ინტერესების დაცვა; პროფესიული ორიენტაცია და პოტენციურ დამსაქმებელთან გასაუბრების ტექნიკა.

პროფესიული სტუდენეტების მხარდაჭერის მიზნით, პსდ-ს გაფორმებული აქვს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტთან მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც პარტნიორი უზრუნველყოფს ფინანსური ცოდნის გაძლიერებას სხვადასხვა აქტივობებითა და ღონისძიებებით.

კოლეჯში დაგეგმილია და მიმდინარეობს მზადება კონფერენციისთის ,,პროფესიული განათლების თანამედროვე გამოწვევები“, რომელიც განკუთვნილია, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისა და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის.

პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

5. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს სტუდენტების მხარდაჭერის სერვისების კმაყოფილების კვლევას. ამ მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, წინასწარ დამტკიცებული სხვადასხვა სახის კითხვარების გამოყენებით, ტარდება კვლევები.

მაგ. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ განხორციელებულია „ელექტრონული/დისტანციური სწავლების შეფასება“ კვლევა, რომელმაც მოიცვა 171 რესპოდენტი - აქტიური პროფესიული სტუდენტების 100%.ძირითად მიზანს წარმოადგენდა საჭიროებების გამოვლენა და ჩართული მხარეების მხარდაჭერა. კვლევის შედეგებით ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესს გამოკითხულთა 53,3% აფასებს დადებითად, უარყოფითად - 3,4%, ხოლო 43,3%-მა ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა. ამავე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა სტუდენტებისა და მასწავლებლების მხრიდან სოციალური ქსელში კომუნიკაციის უპირატესობა. მიღებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სწორედ სოციალური ქსელის მეშვეობით ხორციელდება სასწავლო მასალის გაზიარება და დამატებითი კომუნიკაცია/კონსულტაცია პროფესიულ სტუდენტებთან/ჯგუფებთან.

ამავე კვლევის ფარგლებში გასაუმჯობესებლ საკითხებად, სტუდენტების მხრიდან აღინიშნა მასწავლებელთა იტ კომპეტენციების გაძლიერება (21,8%), კომუნიკაცია მსაწავლებელთან/ადმინსტრაციასთან (16.9%,/10,9%), სწავლების მეთოდები (25,2%), სხვა (52,1%). კვლევის შედგებზე დაწესებულების მხრიდან განხორციელებულია შესაბამისი ღონისძიებები, ჩატარებულია მასწავლებელთა ტრენინგი „სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა ჰეტეროგენულ გარემოში“

ამავე მიზნით, კოლეჯს დამტკიცებული აქვს მოდულის შეფასების კითხვარი, რომელსაც პროფესიული სტუდენტი ავსებს მოდულის დასრულების შემდეგ.

<u>პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პსდ-ს წესდება(02.11.2021)
2. საწავლოპროცესის მარეგულირეებლი წესი
3. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეები
4. დაწესებულების სოციალური და ვებგვერდები
5. პსდ-ს დირექტორის ბრძანებები ინიცრებული ღონისძიებების ორგანიზების შესახებ
6. პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმები
7. 2018 წლის 01 ივნისს შპს ორიენტირსა და შპს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტს შორის გაფორმებული მემორანდუმი პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის თაობაზე
8. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (# 01/87 ბრძანება, 13.08.2021)
9. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ანკეტები და შედეგები
10. პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „ორიენტირის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს პოტენციურ მომხმარებელთან კომუნიკაცია. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებთან აქტიური საკომუნიკაციო კამპანიის წარმოება, რისთვისაც სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს სხვადასხვა აქტივობები. ერთ-ერთია პროექტი ***„კოლეჯის დესპანები“, რომლის*** ძირითადი არსია, მოზარდთა პროფორენტაციასთან ერთად სარეკლამო კამპანიის წარმოება და კოლეჯის პროგრამების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის. მისი ძირითადი განმახორციელებლები კი, კოლეჯის წარმატებული პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები არიან. სწორედ ისინი წარმოადგენენ ***„კოლეჯის დესპანებს“,*** რომლებიც პირველ რიგში სტუმრობენ მშობლიურ სკოლებს, არჩეული პროფესიის, საკუთარი წარმატებისა და დაწესებულების შესაძლებლობების გაზიარების მიზნით.

   კარიერული მხარდაჭერის მიზნით კოლეჯი ახორციელებს, პროფესიული სტუდენტებისთვის სხვადასხვა ღონისძიებებს, ტრენინგებს, სემინარებს, შეხვედრებს, რომელთა თემატიკა მოიცავს დასაქმებისთვის აუცილებელი უნარების განვითარებას. მაგ. მიმდინარე წლის მარტში განხორციელდა ტრენინგი „პროფორიენტაცია დასაქმებისთვის“, რომლის თემატიკაც ეხებოდა დამსაქმებელთან წარმატებული გასაუბრების საკითხების განხილვას.

<u>კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2. *პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.* აღნიშნული ფუნქცია, თანამდებობრივი ინსტრუქციით შედის დაწესებულების საზოგადებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერის მოვალეობებში. საზოგადებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი ადგენს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს, რომლებიც ექვემდებარებიან რეგულარულ განახლებას. პერსონალი სისტემატურად ახორციელებს ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მოძიებას და კურსდამთავრებულებსა და პროფესიული სტუდენტებისთვის მიწოდებას. ინფორმაციის მიწოდება ხდება როგორც ინდივიდუალურად სატელეფონო კავშირით, ისე თავსდება ვებ გვერდზე, სოციალურ ქსელში/ჯგუფებში.

ვიზიტის დროს აღნიშნული ინფორმაცია გადამოწმდა, რის შედეგად დადასტურდა, რომ პსდ პერიოდულად ახდენს დაინტერესებული პირებისთვის დასაქმების შესახებ ინფორმირებას. ვებ გვერდზე განთავსებულია დასაქმებისა და ვაკანსიების შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია, ასევე ამ მიზნით დაწესებულების მიერ დაგეგმილი სხვადასხვა ტრენინგები, სემინარები, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების შესახებ ინფორმაცია და ანონსები.

დასაქმების ხელშეწყობის მიზნით პსდ უზრუნველყოფს სხვადასხვა შინაარსის შეხვედრების ორგანიზებას დამსაქმებლებთან. ექსპერტების მიერ განხილული იქნა, შპს ორიენტირის კბილის სატექნიკო საქმის პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამამთავრებელი წლის პროფესიული სტუდენტების, შეხვედრის მასალები შპს „დენტალ ლაბი“-ს ხელმძღვანელთან. შეხვედრაზე უშუალოდ დამსაქმებლების მიერ მოხდა სამუშაო გარემოს, პირობების, პროფესიული და კარიერული განვითარების შესაძლებლობების გაცნობა.

კოლეჯის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შპს „იბერიაფარმა+„-თან გაფორმებილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის სააფთიაქე ქსელში კოლეჯის კურსდამთავრებულების დასაქმებას.

3. დაწესებულებაში კვლევების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის შემუშავებულია „კვლევის ჩატარების სახელმძღვანელო“ (ბრძანება #01/51, 20.05.2021), რომელიც მოიცავს კვლევების შემდეგი მიმართულებით განხორციელების მეთოდოლოგიას: პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელების, ადმისნიტრაციული პერსონალის, კურსდამთავრებულთა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა კმაყოფილების კვლევა. ასევე დამსაქმებლის/პრაქტიკის ობიექტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება. სახელმძღვანელოთი განსზაღვრულია თითოეული მიმართულებისთვის სავარაუდო რესპოდენტები, დაფარვის დონე, გამოკითხვის მეთოდი, კვლევის ჩატარების სიხშირე, ანგარიშის მომზადების ვადები, კვლევაზე პასუხისმგებელი პირი. თითოეული მიმართულებისთვის შემუშავებულია კვლევის ინსტრუმენტი (კითხვარები).

პსდ პერიოდულად ატარებს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევას. კვლევის ინსტრუმენტი მოიცავს კითხვებს დასაქმდა თუ არა მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად, კმაყოფილია თუ არა კოლეჯში შეძენილი კომპეტენციებით და ა.შ. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ბოლო კვლევა პსდ-მ განხორციელა 2021 წელს, რომელიც ასევე განხორციელდა პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის ანალიზისთვის. მიზანშეწონილობისა და კვლევის შედგების ანგარიშის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“-კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულია 82%; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ – კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულია 72%; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ - კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულია 92%; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“ - კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულია 74%).

დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სტატისტიკა განთავსებულია კოლეჯის ვებგვრდზე. ვებგვერდზე განთავსებულია ასვე 2018-2021 წწ დასაქმების კვლევის მონაცემებიც.

საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი ახორციელებს დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევას. რომლის მიზანია, განსაზღვროს თუ რამდენად შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა კომპეტენცია დამსაქმებელთა შესაბამისი პოზიციების მოთხოვნებთან, საკმარისია თუ პრაქტიკული კომპონენტი ან საჭიროებს გაზრდას და სხვა. აღნიშნული კვლევა ტარდება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 3 თვეში და მისი შედეგების საფუძველზე, საჭიროებისას შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

4. ***კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.*** განხორციელებული კვლევების საფუძველზე აკეთებს, მიღებული მონაცემების ანალიზს და გეგმავს პროცესების გაუმჯობესების ნაბიჯებს. კვლევების ანალიზის საფუძველზე იქნა შემუშავებული დაწესებულების პროფესიული გადამზადების პროგრამა -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

„ჯანმრთელობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ და პროფესიული მომზადების პროგრამები - „სადღესასწაულო ღონისძიების დაგეგმვა“ და „სალარო ოპერაციების განხორციელება“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2018-2021 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი განხორციელებული კვლევების შესახებ
3. 2021 წლის შეხვედრის ოქმი პროფესიულ სტუდენტებსა და შპს დენტალ ლაბის წარმომადგენლებს შორის;
4. დამსაქმებელთან შეხვედრის ოქმი (25.11.2021)
5. შპს „იბერიაფარმა+“-თან გაფორმებული მემორანდუმი
6. დაწესებულების ვებგვერდი

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული დაწესებულის შიდა დოკუმენტაციაში.**

დაწესებულების მიზნებისა და ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად, შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია როგორც სტრუქტურული ერთეულებით/სამსახურებით ისე პოზიციებით. სტრქტურით განსაზღვრულია მათი იერარქია და ფუნქციური კავშირი. სტრუქტურაზე განსაზღვრული პოზიციები/პერსონალი უზრუნველყოფს დაწესებულების წესდებით/დებულებით და სტრატეგიული დოკუმენტებით დასახული მიზნების მიღწევას. დებულების მიხედვით კოლეჯის თანამშრომლები იდენტიფიცირებულია საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულება - მმართველობითი, ადმინისტრაციული და სასწავლო საქმიანობა.

დაწესებულებაში პროცესების მართვის უზრუნველყოფისთვის ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური (3 საშტატო ერთეული)
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (2 საშტატო ერთეული)
3. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური (2 საშტატო ერთეული)
4. შრომის უსაფრთხოების სამსახური (2 საშტატო ერთეული)
5. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური (2 საშტატო ერთეული)

დაწესებულებაში საქმინობის ძირითადი და დამხმარე პროცესები იმართება შესაბამის პოზიციებზე დანიშნული პირების მიერ:

1. საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2. არქივარიუსი
3. იურისტი
4. ბიბლიოთეკის და სამკითხველო დარბაზის უფროსი
5. საზოგადებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი
6. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი
7. ვებ გვერდის დიზაინერი
8. ფინანსური მენეჯერი
9. მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერი
10. სამეურნეო და შესყიდვების მენეჯერი
11. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები

შემუშავებულია საშტატო ნუსხა, რომელიც მოიცავს - დირექციას (2 ს.ე.), ადმინსიტრაციას მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელები (20 ს.ე.) და დამხმარე და მომსახურე პერსონალს (4 ს.ე.) - ჯამში 26 საშატატო ერთეულით.

წესდების მიხედვით დაწესებულის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, წესდებითვეა განსაზღვრული (მუხლი 4), რომ შპს-ს წარმოამდგენლობასა და ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დირექტორებს (3 პირი), რომელთა პასუხისმგებლობები და საქმიანობის არეალი, წესდების მე-5 მუხლით („დირექტორების უფლებამოსილება“) ნაწილდება შემდეგი მიმართულებებით:

- პსდ-ს დირექტორი (რ.მ.) - შპს-ს სტრატეგიული, ადამიანური და ფინანსური რესურსების მართვა, ასევე მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება და საქმიანობის სფეროებთან დაკავშირებული ბრძანებების გამოცემა.
- პსდ-ს დირექტორი (მ.ჯ.) - შპს-ს სასწავლო, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და უფლებების დაცვის პროცესების მართვა;
- პსდ-ს დირექტორი (ა.მ.) - შპს -ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვილეობის, ინფრასტრუქტურის მდგრადობისა და განვითარების პროცესების მართვა.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საშტატო განრიგით განსაზღვრული ყველა პირისთვის სამუშაო აღწერილობა. დოკუმენტებში ნათლად არის ჩამოყალიბებული პირის შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები, პასუხისმგებლობის სფეროები, სტრუქტურული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
დაქვემდებარების იერარქია და პოზიციის შესაბამისი სავალდებულო კომპეტენციების ფლობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სამუშაო აღწერილობებს პერსონალი იცნობს, რაც დადასტურებულია ხელმოწერით. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია ასევე დაწესებულების დებულებით.

ერთგვარი შეუსაბამობაა წესდებასა და დაწესებულების სტრუქტურულ სქემასა და საშტატო განრიგს შორის. წესდებით განსაზღვრულია დირექტორები, ხოლო დანარჩენ დოკუმენტებში დირექტორი, დირექტორის მოადგილე და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერი. ტერმინთა აღრევა ხდება სხვა დოკუმენტებშიც - წესდებაში მითითებულია „პარტნიორთა კრება“, ხოლო სტრუქტურულ სქემაზე „დამფუძნებელთა კრება“. აღნიშნული ორგანო დებულებაში მოხსენიებულია, როგორც „დამფუძნებელ პარტნიორთა კრება“ - პსდ-მ ინდა უზრუნველყოს დოკუმენტაციაში გამოყენებული იქნეს სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგენილი ტერმინები. მართვის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტრუქტურის ოპტიმიზაცია, ხოლო საშტატო განრიგში შეტანილი იქნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი/მასწავლებელი შესაბამისი საშტატო ერთეულის მითითებით, რომელთანაც შრომითი ხელშეკრულებაა გაფორმებული.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:

1. *კორექტირდეს პსდ-ს უმაღლესი მმართველი ორგანოს დასახელება დოკუმენტებში;*
2. *პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტები შესაბამისობაში მოვიდეს პსდ-ს წესდებასთან;*
3. *მართვის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდეს პსდ-ს სტრუქტურული სქემის ოპტიმიზაცია.*

2. პერსონალის ფუნქცია-მოავლეობები გაწერილია შპს ორიენტირის წესდებაში, დებულებაში, თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და პროცესების მართვის შესახებ გამოცემულ შიდა დოკუმენტაციაში. პერსონალის ძირითად მოვალეობებს მოიცავს ასევე შრომითი ხელშეკრულებებიც. დოკუმენტებით განსაზღვრული ფუქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე და სრულად მოიცავს დაწესებულების ძირითად და დამხმარე პროცესების შესრულებას.

პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული 2 საშტატო ერთეულით: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და კოორდინატორი. პსდ-ს დებულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია კოლეჯში სასწავლო საქმიანობის, მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება და მის განვითარება–განახლებაზე ზრუნვა.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები, დოკუმენტები, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვერიფიკაციის პროცედურები, ***ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს,*** *თუმცა პსდ-ს დებულების მიხედვით (მუხლი 8) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის მოადგილის წინაშე, რომელიც თავის მხრივ ანგარიშგებას ახდენს დირექტორთან. ხარისხსი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, პოზიციას დირექტორის ბრძანებით ითავსებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი. შესაძლო რისკების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული დებულება სასურველია კორექტირდეს.* დებულება ერთი მხრივ, ანგარიშგების აღნიშნული იერარქიით, ქმნის დამატებით რგოლს და გადაწყვეტილების/რეაგირების დროში გახანგრძლივების ალბათობას, შესაბამისად სასურველია დაექვემდებარება უშუალოდ კოლეჯის პირველ მმართველ პირთან ხდებოდეს. მეორე მხრივ, სამსახურის უფროსის არ ყოფნის შემთხვევაში, მოვალეობების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირზე დაკისრება ქმნის რისკის ალბათობას, რომ წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი, ან გამოიწვიოს დამატებითი ადმინისტრაციული ქმედებები. სასურველია, თავად სტრუქტურაში, კოორდინატორისთვის განისაზღვროს შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და აღნიშნული საკითხი გადაწყდეს სტრუქტურის შიგნით ან ჩანაცვლდეს უფრო მაღალი იერარქიული პოზიციით/პირით.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

- ***<u>პსდ-ს დოკუმენტაციაში ინტერესთა კონფლიქტის რისკის ალბათობის თავიდან აცილების მიზნით, კორექტირდეს დოკუმენტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არ ყოფნის შემთხვევასთან დაკავშირებული პუნქტი.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საშტატო განრიგი (31.01.2022)
2. თანამდებობრივი ინსტრუქციები
3. დაწესებულების სტრუქტურული სქემა (ბრძანება #7649, 03.12.2021)
4. შპს ორიენტირის დებულება (04.12.2021)
5. შპს ორიენტირის წესდება 21.11.2021
6. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
7. პსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმების ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზის შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად***. დაწესებულებაში, ადამინური რესურსების მართვასთან დაკავშირებული მოქმი დოკუმენტებია: „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, „პერსონალის, მათ შორის მასწავლებელთა შერჩევის წესი“, „პერსონალის ადაპტაციის წესი“, „პერსონალის შეფასების წესი“ და „შინაგანაწესი“.

პსდ-ს შინაგანაწესი შესაბამისია საკანონმდებლო მოთხოვნების, არეგულირებს შრომითი ურთიერთობის, უსაფრთხოების პროცესებს, ასევე განსაზღვრავს მოტივაციისა და დისციპლინარული დევნის, კორპორატიულ კულტურასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. შინაგანაწესით გათვალისწინებულია დისკრიმინაციის აკრძალვის, გენდერული თანასწორობის და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის შესახებ რეგულაციები.

პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია, განთავსებული პსდ-ს ვებგვერდზე. შინაგანაწესით გათვალისწინებულია დოკუმენტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ პერსონალის ინფორმირება, რისთვისაც განსაზღვრულია შიდა კომუნკაციის ფორმები. კომინიკაცია ძირითადად ხდება შიდა კორპორატიული ელექტრონული ფოსტების, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის და სერვერის გამოყენებით, საჭირეობისას იგეგმება შეხვედრები.

პსდ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული მუხლები არაა წინაღმდეგობაში შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან. პერსონალთან გასაუბრებით და პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსის მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს შინაგანაწესის თანახმად და პერსონალი იცნობს დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და შიდა პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. შესწავლილი დოკუმენტაციით, პსდ-ს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციებით განსაზრვრული პერსონალის მიღებისა და გათავისუფლების პუნქტები უზრუნველყოფს ობიექტურობის პრინციპების დაცვას. პერსონალის მოზიდვის მიზნით პსდ იყენებს სხვადასხვა ფორმებს: ვაკანსიების განთავსება ვებ-პორტალებსა ან/და სოციალურ ქსელებში, დასაქმებული პერსონალის პირადი კონტაქტების გამოყენება, კონკურსის წესით შერჩევა. შემუშავებულია საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტი.

შერჩეულ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც ასახულია საკანონმდებლო სავალდებულო მოთხოვნები და მოიცავს დასაქმებულისთვის სამუშაო მოვალეობების შესასრულებლად სრულყოფილ ინფორმაციას. პერსონალთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია პირად საქმეებში. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ყველა პირადი საქმე (ადმინისტრაციული პერსონალის, საგანმანათლებლო პროგარმების განმახორციელებლები). ყველა მათგანი დაკომპლექტებულია სრულყოფილად, დაწესებულების საქმისწარმოებისა და შინაგანაწესის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა პირად საქმეში განთავსებულია, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ცნობები.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი, სასწავლო პროცესის მთავარი სპეციალისტისა და საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიებების ორგანიზება“ დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლების ვაკანტურ პოზიციებზე. განცხადება კონკურსის შესახებ განთავსებული იყო დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელიც მოიცავდა შესასრულეებლი სამუშაოს აღწერას, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას, დოკუმენტების წარდგენის (როგორც მატერიალური სახით პსდ-ს მისამართზე, ისე ელექტრონულად), კონკურსის ეტაპების ვადებსა და კონკურსის პირობებს.

3. პსდ-ს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული აქვს საშტატო ნუსხის ყველა პოზიციისთვის, მათ შორის, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. საშტატო ნუსახა წარმოდგენილია შემდეგი სახის პერსონალით: დირექცია, ადმინისტრაციული პერსონალი, დამხმარე და მომსახურე პერსონალი (ჯამში 26 პოზიცია, 31 საშტატო ერთეულით). პსდ-ს დოკუმენტებში, ადმინისტრაციულ პერსონალში მოიაზრება როგორც მაღალი, ისე საშუალო და დაბალი მენეჯერული რგოლი, მათ შორის ტექნიკური პერსონალი. სასურველია სწორად იდენტიფიცირედეს ადმინსიტარციული და დამხმარე (ტექნიკური) პერსონალი/პოზიციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პსდ-ს საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების, ხოლო შესწავლილი პირადი საქმეებით დასტურდება შერჩეული პერსონალის კვალიფიკაციის შეესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან.

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, განათლების დონის განსაზღვრისას ხშირია მითითება, *„მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან პროფესიული განათლება“* - მინიმუმის განსაზღვრის შემდეგ აზრს კარგავს სხვა, მით უფრო განათლების დაბალი საფეხურის მითითება.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:
1. სამტატო განრიგში პოზიციების იდენტიფიცირება და დაჯგუფება მოხდეს მმართველობითი პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების შესაბამისად;
2. კორექტირდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და განათლების მინიმალური დონის განსაზღვრისას არ მითითოს განათლების სხვა დონე.

4. პსდ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები და არსი მდგომარეობს, ხელი შეუწყოს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას, რასაც დაწესებულების მენეჯმენტი წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილლებელ ფაქტორად განიხილავს და მნიშვნელოვანი საკითხების/პროექტების გადაჭრისთვის ქმნის სამუშაო ჯგუფებს, მაგ.: დაწესებულების რეავტორიზაციისთვის მომზადების სამუშაო ჯგუფი, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის/ცვლილებების განმახორციელების სამუშაო ჯგუფი, მონიტრონგის შედეგების აღმოფხვრის სამუშაო ჯგუფი და სხვა.

გუნდური/კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით პსდ-ს რეგულაციები ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის კომისიების მუშაობას, ასევე კოლეჯის საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრების (პირისპირ/ონლაინ) პრაქტიკა.

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის შრომის შინაგანაწესი (#01/139 03.11.2021)
2. პსდ-ს დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის ბრძანება #0616 "შპ ს ორიენტირის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის 2021 წლის 29 ნოემბრის N00007465 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"
3. პსდ-ს დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება # 00001056 „შპს ორიენტირის ადამიანური რესურსები მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის No 00007469 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"
4. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი
5. პერსონალის შეფასების წესი
6. დებულება
7. პსდ-ს დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის ბრძანება No 00007471 „შპს ორიენტირის ადამიანური რესურსების მართვის სამოქმედო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ"

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.** დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა კითხვარები, რომლებითაც ახდენს პერსონალის კამყოფილებისა და განვითარების საჭიროებათა კვლევას. პერსონალის კომპეტენტურობის შეფასებითვის შემუშავებული აქვს წესი, რომლის თანახმად შეფასება ტარდება წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის პირველ თვეს და ფასდება განვლილი სამუშაო წელი. შეფასება ტარდება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით: ე.წ. 360 გრადუსიანი შეფასება - თვითშეფასება, უშუალო ხელმძღვანელისა და დაქვემდებერებული პირების, მასწავლებლის შემთხვევაში სტუდენტების და კოლეგების, ადმინისტრაციის მიერ შეფასება, მეცადინეობაზე დასწრება, პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასება.

   შეფასება ხდება 5 ბალიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პოზიციის შესაბამისი კომპეტენცია; შესრულებული სამუშაოს ხარისხი; შემოქმედებითი/კრეატიული მიდგომა; დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა და ერთდროულად სხვადასხვა საქმის შესრულების უნარები; დეტალებზე ორიენტირებულობა; სამუშაოს დროულად შესრულება; დამოუკიდებლად მუშაობის, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, საკუთარი პოზიციის დაცვის უნარები; ასევე დროის ეფექტური მართვის, ცვლილების სწრაფად აღქმის უნარები და პუნქტუალობა.

   პერსონალის შეფასების წესი ითვალისწინებს შეფასების პროცესში მონაწილე პირთა მოვალეობებსა და ეთიკური ნორმებს, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას შეფასების პროცესში მონაწილე ყველა პირისთვის. წესი ითვალისწინებს ასევე შეფასების შედეგების გასაჩივრებას და სააპელაციო კომისიის რეგლამენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
შესაფასებელი პერსონალის მიერ შეფასებაზე უარის თქმა განიხილება, წესის თანახმად განიხილება როგორც მძიმე დისციპლინური გადაცდომა, პრევენციისთვის, დაწესებულებას წესითვე განსაზღვრული აქვს პერსონალის ინფორმირება და კონსულტაცია შეფასების წესთან და შედეგების შემდგომ სავარაუდო ქმედებებთან დაკავშირებით.

პსდ-ს მიერ შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული/კარიერული განვითარებისა და საჭიროებათა განსაზღვრისათვის. ასევე მოტივაციის სისტემის მექანიზმების აღსრულებისთვის (პერსონალის წახალისება/დისციპლინური ღონისძიების გატარება).

შეფასების შედეგებს, შესაბამისი წლის პირველ კვარტალში, განიხილავს და აფასებს საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, პსდ-ს დირექტორთან შეთანხმებით, იგეგმება ღონისძიებები. შეფასების პროცესის მართვასა და კონტროლზე, ასევე დაგეგმილი ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხსიმგებელია საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების შეფასების მექანიზმს წარმოადგენს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მეცადინეობაზე დასწრება, რის საფუძველზეც განისაზღვრება განვითარების/გაუმჯობესების შემდგომი ღონისძიებები. ხარისიხს უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარები, ასევე მოიცავს პროფესიული განვითარების საჭიროებების შესახებ კითხვებს, რომლის ანალიზის საფუძვლეზეც იგეგმება შესაბამისი აქტივობები.

2. პსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პერსონალის საჭიროებების კვლევას. ბოლო განხორციელებული კვლევის ანგარიშით, საქმინობის უკეთ წარმართვის მიზნით, პერსონალის მიერ იდენტიფიცირებული იქნა დამატებით ტრენინგების/კონსულტაციების ჩატარება შემდეგ საკითხებზე: ,,პროცესების მართვის მენეჯმენტი“ (8 რესპონდენტი), ,,ემოციების მართვა“ (6 რესპონდენტი), კომპიუტერული-უნარ-ჩვევები (5 რესპონდენტი). აღნიშნული ტრენინგები დაწესებულების მიერ შეტანილია წლის სამოქმედო გეგმაში, ხოლო ბიუჯეტი მოიცავს ცალკე მუხლს პერსონალის განვითარების ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს შემოწმდა ასევე წინა გასული კვლევის შედეგები და მათზე რეაგირების ფაქტები. გასული წლის კვლევის ანგარიშით, პროფესიული განათლების მასწავლებლების 57% მიიჩნევდა რომ საჭიროებდა IT და დისტანციური სწავლების/შეფასების მეთოდების მიმართულებით უნარების გამუჯობესებას, ალტერნატიული სწავლების პლატფორმების გაცნობას. პერსონალის მოთხოვნის საფუძველზე პსდ-ს ადმინისტრაციის მიერ დაიგეგმა და ონლაინ განხორციელდა ტრენინგი „სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა ჰეტეროგენულ გარემოში“ (4-6 მარტი 2021 წ. ტრენინგს ესწრებოდა 23 მონაწილე).

კოლეჯს აქვს დანრგილი პრაქტიკა, პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სხვა განმახორციელებელი პირებისთვის ტრენინგების მიწოდება პროფესიული/პედაგოგიური უნარების გაძლიერება-განვითარების მიზნინით. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებენ პროფესიული განათლების მასწავლებლებიც. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა/ვებინარი გაიმართა 2022 წლის 16 თებერვალს, პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის “აღმზრდელი” პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც მოიცავდა პროგრამის მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების მეთოდების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვას.

პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

3. ***<u>პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას.</u>***
პერსონალი ასევე აქტიურადაა ჩართული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ თუ სხვა გარე ტრენინგებში. დაწესებულების პერსონალის განვითარების გეგმა, სიახლეების და პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით, მოიცავს დარგის ექსპერტებთან/დამსაქმებლებთან შეხვედრების ორგანიზებასაც.

პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმისა და პროცესების საჭიროებიდან გამომდინარე, პსდ-ში ხშირად ტარდება შიდა სწავლებები/ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის ხელმძღვანელების მიერ. პსდ-ს ადმინისტრაცია ზრუნავს და უზრუნველყოფს ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, დარგში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით შეხვედრების ორგანიზებას.

4. ***პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან,*** რისთვისაც შემუშავებული აქვს „შპს ორიენტირში ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის ინსტრუქცია“ (18.02.2022 ბრძანება #01052).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციის და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის პროცესში ჩართულია: ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხსიმგებელი პირი, რომელიც პასუხისმგებლია ძირითადი ინფორმაციის, დოკუმენტაციის, რესურსების მიწოდებაზე, მათ შორის საორენტაციო ტრენინგების ჩატარებასა და ადაპტაციის პროცესის დოკუმენტირებაზე. პროცესში ჩართულია ასევე დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია დავალებების მიცემაზე, შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და უკუკავშირზე. ადაპტაციის პროცესში ჩართული პირების მოვალეობაა ახალი თანამშრომლის სამუშაო ადგილზე მოწყობა და უზრუნველყოფა კორპორატიული ელ-ფოსტით, სამუშაო ტექნიკით და საკანცელარიო/მატერიალური რესურსით და სხვა კორპორატიული სოციალური სერვისები გაცნობა-მიწოდება. პროცედურის თანახმად, საინფორმაციო ტრენინგი მოიაზრებს, კოლეჯის მიღწევების, სტრატეგიული მიზნების, ღირებულებების, ასევე პერსონალისა და პსდ-ს სტრუქტურისა და ინფრასტრუქტურის, საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის, პროფესიული/კარიერული განვითარების შესაძლებლობების გაცნობას. ადაპტაციის პროცესში ჩართული პირები ადგენენ ადაპტაციის გეგმას, რომლის მიხედვით ხორციელდება დავალებების შესრულება-შეფასების და კოლეჯში ინტეგრაციის პროცესი. დაწესებულების პროცედურით, ადაპტაციის ერთ-ერთი მეთოდია ასევე მენტორის გამოყოფა ახალი თანამშრომლისთვის.

პროცედურა მოიცავს ადაპტაციის პროცესის ეტაპების შეფასების ჩეკ-ლისტებს, უშუალოდ ახალი თანამშრომლის მიერ ადაპტაციის პერიოდის შეფასების კითხვარსა და გეგმის ნიმუშს.

5. პსდ-ში ადამიანური რესურსების მართვასა და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურები ითვალსიწინებენ პერსონალის საჭიროებების, კმაყოფილების კვლევას, რაც მოიაზრებს, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას. გამოკითხვის/პერსონალის ინიციატივის საფუძველზე პსდ რეაგირებს და გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს (იხ. ასევე 4.2.1. (2) ინდიკატორის აღწერა) ტრენინგებს, გასვლით ღონისძიებებს, ექსკურსიებს. დაწესებულების ბიუჯეტით განსაზღვრულია მსგავსი ღონისძიებებისთვის ფინანსური რესურსი.

პსდ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზების, მოტივირებული და ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფა, რასაც ხელს უწყობს დაწესებულებაში შემუშავებული წახალისების მექანიზმები/ფორმები: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა („შრომის შინაგანაწესი“ მუხლი 22); დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი და გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს („შრომის შინაგანაწესი“ მუხლი 23). პერსონალის პირად საქმეებში (ადმინისტრაციული, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
სწავლა-სწავლებისპროგრამის განმახორციელებელი პირები) განთავსებულია წახალისების/ფულადი პრემიის/მადლობის გამოცხადების შესახებ ბრძანებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება #07662 „შპს ორიენტირის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“
2. შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება #01052 „შპს ორიენტირში ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის ინსტრუქცია“
3. შპს ორიენტრის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა
4. შპს ორიენტირის შრომის შინაგანაწესი
5. პერსონალის პირადი საქმეები
6. დოკუმენტაციის ფაქტობრივი შეფასებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგები
7. განხორციელებული ტრენინგების/სეხვედრების მასალები
8. პსდ-ს სტრატეგიული, სამოქმედო და პერსონალის განვითარების გეგმები
9. დაწესებულების ვებგვერდი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. პსდ-ს მფლობელობაშია ოთხი სართული, საერთო ფართით 1270.52 კვ.მ, საიდანაც სასწავლო პროცესისთვის დათმობილია:
   - თეორიული კომპონენტისთვის გამოყოფილია 7 „A“ სასწავლო გარემო (აუდიტორიები: #3, #4, #6, #11, #12, #14, #25) საერთო ფართით 294, 25 კვ.მ
   - 1 „B“სასწავლო გარემო (აუდიტორია #13, პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილით) საერთო ფართით 43,45 კვ.მ
   - 1 „AB“ სასწავლო გარემო (აუდიტორია #16, პროფესიული სტუდენტისთვის 15 სამუშაო ადგილით) საერთო ფართით 43,02 კვ.მ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

— 1 „C“ სასწავლო გარემო (აუდიტორია #18, კბილის ტექნიკოსის კაბინეტი) საერთო ფართით 41,7 კვ.მ
— 4 „AC“ სასწავლო გარემო (აუდიტორიები: #19, #20, #22, #24, ჯანდაცვის მიმართულების პროგრამებისთვის) საერთო ფართით 177, 17 კვ.მ

ჯამში სასწავლო სივრცე შეადგენს - 599.59 კვ.მ-ს.

ადმინისტრაციული საქმიანობისთვის და დამხმარე სათავსოებისთვის დათმობილია:

— ადმინისტრაციული პერსონალისთვის - აზომვითი ნახაზით მე-3 და მე-4 სართულების #10, #8 და #1 სივრცეები - საერთო ფართით 86,35 კვ.მ
— ბიბლიოთეკა - აზომვითი ნახაზით მე-2 სართულის #12 სივრცე -30, 95 კვ.მ
— არქივი - აზომვითი ნახაზით პირველი სართულის #1 სივრცე - 16.9 კვ.მ
— პირველადი დახმარების კაბინეტი - აზომვითი ნახაზით მე-2 სართულის #4 სივრცე -10,8 კვ.მ
— პროფესიული სტუდენტებისთვის მოწყობილი სამუშაო და რეკრეაციული სივრცეები – აზომვითი ნახაზით პირველი სართულის #2 და #7 სივრცეები - საერთო ფართი -36, 53 კვ.მ. ამ მიზნით, როგორც ადმინისტრაციული პერსონალის, ისე მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების განმარტებით, გამოიყენება საკონფერენციო დარბაზიც.
— პროფესიული მასწავლებლებისთვის გამოყოფილი სივრცე/სამასწავლებლო (15 სამუშაო ადგილზე გათვლილი) - აზომვითი ნახაზით მე-3 სართულის #7 სივრცე -21,63 კვ.მ
— სააქტო/საკონფერენციო დარბაზი - აზომვითი ნახაზით პირველი სართულის #8 სივრცე - 113,46 კვ.მ
— სასადილო ოთახი - აზომვითი ნახაზით პირველი სართულის #10 სივრცე - 6,42 კვ.მ.
— დაცვის სამსახურისთვის - აზომვითი ნახაზით მე-2 სართულის #10, #11 სივრცეები - 7,4 კვ.მ
— სანიტარული კვანძები საერთო ფართით - 37, 60 კვ.მ
— ფოიეს საერთო ფართი შენობაში - 234, 4 კვ.მ

რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, პსდ-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 1701 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.12.12.033.039), სადაც მოწყობილია გარე ეზო, პარკინგი და სპორტული მოედანი (ფრენბურთის ბადითა და კალათბურთის ფარით). აღწერილი უძრავი ქონება წარმოადგენს პსდ-ს საკუთრებას და ამ ეტაპისთვის დატვირთულია იპოთეკით (2013-2024 წწ) (იხ. ასევე ინდიკატორი 5.3.1.(3)).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFEraserFree

დაწესებულების სამუშაო და სასწავლო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, ავეჯით, ინვენტარით, როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისა და ადმინისნიტრაციული პერსონალისთვის. ყველა აუდიტორია აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო ინვენტარით, ავეჯით, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი რესურსებით, სადემონსტრაციო და ბეჭდვის საშუალებებით. ყველა აუდიტორიაში მოწყობილია მასწავლებლის სამუშაო ადგილი, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით (კომპიუტერი, პრინტერი). ყველა სართულის დერეფანში განთავსებულია მოსასვენებლი სივრცე - რბილი ავეჯი. ეტლით მოსარგებლე პირებისთვის უზრუნველყოფილია შენობაში შესასვლელი პანდუსი. პანდუსით სარგებლობა უზრუნველყოფილია ასევე შენობის ყველა სართულზე.

მატერიალური ქონების/აქტივების (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო ღირებულებით 1 033 397 ₾) ფლობა დასტურდება ქონების შესყიდვის, ინვენტარიზაციის, ძირითადი საშუალებების აქტივების-მატერიალური ფასეულებების წლიური ანგარიშგებისა და ბალანსების დოკუმენტაციით.

2. ***<u>დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.</u>*** აღნიშნული საკითხი რეგულირდება, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 6 ივლისის 01/45 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს ორიენტირის მატერიალური რესურსების განკარგვის წესით“. წესის თანახმად, პსდ-ს ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები, მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის (ადმინისტრაციული და პროფესიული განათლების პროგრამების განმახორციელებელი პირები).

კოლეჯს ჰყავს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებით განსაზღვრულია, კოლეჯში მიმდინარე ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება.

მატერიალური რესურსებით სარგებლობის უფლებები პსდ-ს გაწერილი აქვს ასევე სხვა დოკუმენტებშიც: „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებში“ (ბრძანება #01/156, 17.11.2021, მუხლი 4) და ასევე პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებები (პ.2.3.), რომლის თანახმადაც სასწავლო მიზნებისათვის, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს კოლეჯის ბიბლიოთეკით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
სასურველია დაიხვეწოს პროცედურა „მატერიალური რესურსის განკარგვის წესი“, უფრო კონკრეტული გახდეს პუნქტები რესურსით სარგებლობის პირობების შესახებ (დღის რა მონაკვეთში ან რა დროითაა შესაძლებელი სარგებლობა; რა პირობებია თანხმობის გაცემისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

საჭირო და სხვა მასთან დაკავშირებული პროცედურები). ასევე, პროცესისთვის შეიქმნას ერთი პროცედურა, რომელიც დაარეგულირებს პროცესთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

3. ***დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.*** დაწესერბულებაში რეგულარულად (ყოველდღიურ რეჟიმში) ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება. ამ მიზნით პსდ-ს მიერ შემუშავებულია სან-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძანება #7475 29.11.2021), რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების სასწავლო-სამუშაო, გარე სივცრიცეების დასუფთავების წესები და პერიოდულობა. პროცედურა ადგენს როგორც ყოველდღიურ რუტინულ, ისე გენერალური დასუფთავების წესებსა და პერიოდულობას. საშტატო ერთეულით გამოყოფილია დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ვალდებულებას წარმოადგენს რეგულარულად შეამოწმოს კოლეჯის ტერიტორიისა და ნაგებობის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა და უზრუნველყოს სათანდო სისუფთავე. პროცედურის თანახმად, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს კოლეჯის დირექტორი.

   კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 4 დეკემბრის N7656 ბრძანებით დამტკიცებული „დებულების“ თანახმად (მუხლი 18), სასწავლო გარემოსა და ადმინისტრაციული ოთახების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე, პასუხისმგებელობა ასევე ევალება შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსს.

   კოლეჯში, ბოლო პერიოდის საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესი, საქართველოს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად წარიმართა ჰიბრიდულად, უმრავლეს შემთხვევაში დისტანციურად. კოლეჯში გამართული სასწავლო პროცესისთვის უზრუნველყოფილია ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე პრევენციული ზომების გატარება (ყველგან უზრუნველყოფილია სანიტაიზერები, ჰიგიენური საშაულებები, თერმოკონტროლი, დისტანცირების შეზღუდვის ნიშნები). აღნიშნული ასევე დასტურდება ფაქტობრივი მდგომარეობით.

4. ***პსდ-ს მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.*** სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლია მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის მენეჯერი. გათბობის სისტემის ფუნქციონირება დასტურდება როგროც ფაქტობრივი გარემოებებით, ისე კომუნალური გადასახადის ქვითრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5. ***<u>დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.</u>*** დაწესბულების შინაგანაწესით, განსაზღვრულია ვალდებულებები, როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის მიმართ (თავი 5; თავი 6). შექმნილია შესაბამისი სამსახური, 2 საშტატო ერთეულით (შუს-ის უფროსი და შუ სპეციალისტი). შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისია საკანონმდებლო და დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების.

PdfFiller Free

სამსახურის მიერ, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით, ხორციელდება რისკების შეფასება და მათი მინიმიზების/აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავება. რისკების მართვის ღონისძიებების გეგმა გადახედვას ექვემდებარება 6 თვეში ერთხელ. პსდ-ს დირექტორის 2021 წლის 24 მაისის #01/51 ბრძანებით დამტკიცებულია „ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები“, რომლითაც გაწერილია ინსტრუქციები და მითითებები ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის შესახებ. წესი ასევე არეგულირებს ლაბორატორიაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ლაბორატორიული ნარჩენების მართვის საკითხებს.

ფაქტობრივი დათვალიერების, პროფესიულ სტუდენტებთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პირებს ინსტრუქტაჟი ჩატარებული აქვთ, თუმცა არაა შესაბამისი ჩანაწერები. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა სასწავლო პროცესში გამოყენებული აღჭურვილობის მონტაჟის, პერიოდული მონიტორინგის, შეკეთების ამსახველი დოკუმენტები და უსაფრთხოების დასკვნები, რაც ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისი ინფორმაცია ასახულია მხოლოდ რისკების მართვის ღონისძიებების გეგმაში. კბილის სატექნიკო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აღინიშნა, რომ ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება ადგილზე, შეკეთების საჭიროების შემთხვევაში ხდება მომსახურეობის შესყიდვა. დაწესებულების მიერ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წარმოდგენილი იქნა ასევე დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 11 მარტის ბრძანება #1613, რომლითაც განსაზღვრულია გახარჯული მასალა-ნედლეულის და მატერიალური-ტექნიკური ბაზის მონიტორინგის ჯგუფი. თუმცა, დოკუმენტში არაა მითითებული მონიტორინგის განხორციელებისა და ანგარიშგების ფორმა და ვადები.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

1. შემუშავდეს კბილის ტექნიკოსის დარგობრივ კაბინეტში სამუშაოთა შესრულების უსაფრთხოების წესები.
2. დარგობრივ კაბინეტებში სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით განთავსდეს სამუშაოების შესრულებისთვის უსაფრთხოების ნიშნები/ინსტრუქციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

3. შემუშავდეს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების გეგმა/პოლიტიკა, სადაც იდენტიფიცირდება ყველა რგოლის/პირის პასუხისმგებლობის სფეროები, რისკების შეფასების, პერსონალის სწავლების პროცესები და ამ მათ მართვასთან დაკავშირებული საკითხები.
4. მოხდეს ინსტრუქტაჟის პროგრამების/თემატიკის განსაზღვრა/შემუშავება და განხორციელებული ინსტრუქტაჟის დოკუმენტირება.
5. განისაზრვროს დარგობრივი კაბინეტების მოწყობილობების/ინსტრუმენტების მონიტორინგის პერიოდი/სიხშირე მათი რისკის შემცველობიდან გამომდინარე და უზრუნველყოფილი იქნეს მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება.

6. ***<u>დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები,</u>*** რომლებიც გაწერილია მატერიალური რესურსების განკარგვისა (06.07.2020, #01/45, მუხლი 2. „დაწესებულების საქმიანობისთვის ინვენტარის მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენება“) და სასწავლო პროცესის მარეგულერებელ წესებში (მუხლი 51). რეგულაციების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი მოდულების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესაძენ სიას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის ხელმძღვანელი ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პროგრამის განმახორციელებელ პირთან ერთად და შეჯერებულ სიას წარუდგენს დირექტორს მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა. დირექტორი რეზოლუციით, შესყიდვისთვის გადაეცემა სამეურნეო და შესყიდვების სამსახურის მენეჯერს ან/და ფინანსური მენეჯერს. საჭირო რესურსის შესყიდვა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოდულის განხორციელებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.

ამავე პროცედურით განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ: პრაქტიკის ობიექტზე, პარტნიორი დაწესებულება თავად უზრუნველყოფს მასალა-ნედლეულით პროცესს, გამონაკლისის შემთხვევაში კი, პსდ იღებს ვალდებულებას, პარტნიორის ბაზაზე თავად უზრუნველყოს საჭირო რესურსით პრაქტიკული კომპონენტი, რაც აისახება პარტნიორ ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. სამეურნეო და შესყიდვების მენეჯერის მიერ, საჭირო რესურსის (მასალები, ინსტრუმენტები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და სხვა) უშუალოდ მოდულის განამახორციელებელ პირზე/მასწავლებელზე გადაცემა ხდება, მოდულის დაწყებამდე, რაც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით. ანალოგიურად, მიღება-ჩაბარების აქტითვე გადაეცემა პროგრამის/კომპონენტის დასრულების შემდეგ გაუხარჯავი მასალა-ნედლეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
აღნიშნული დასტურდება მოდულების/პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგებით და წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით.

7. ***<u>ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.</u>*** პსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფისათვის იდენტიფიცირებული აქვს შიდა დოკუმენტით (ბრძანება #01/87, 13,08 2021) შიდა და გარე მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, განვითარება და სრულყოფა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინისტრციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ობიექტის, კურსდამთავრებულების, ადმინისტრაციული პერსონალის) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით. კითხვარების ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილი საჭიროებების/ინიციატივების შემთხვევაში, დაწესებულება დაგეგმავს შესაბამის რეაგირების ღონისძიებებს. კვლევის შედგები/ანგარიშები საჯაროა, გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

პსდ-ში ფუნქციონირებს ასევე შიდა მხარდაჭერის ჯგუფი (ხარისხის მენეჯერი, ადმინისტრაციის წარმომდგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი). ჯგუფი შეიმუშავებს გეგმას, რომლის აქტივობები მოიცავს: სასწავლო პროცესზე დასწრებას, დაკვირვების კითხვარების შეგროვება-ანალიზს, ***<u>გარე მხარდაჭერის</u>*** *<u>ჯგუფისთვის ანგარიშის მომზადებას.</u>* თუმცა, პროცედურა არ აკონკრეტებს თუ ვინ შედის გარე მხარდაჭერის ჯგუფში ან რა უფლებამოსილება გააჩნია.

პროცედურის თანახმად, სასწავლო პროცესის/საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთაც წარუდგენს პსდ-ს დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ ახორციელებენ მეცადინეობებსა და შეფასების პროცესზე ურთიერთდასწრებას. ჩართულები არიან შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცესებში. პერსონალის მიერ პოზიტიურად შეფასდა ადმინისტრაციისა და კოლეგების მხრიდან, მხარდაჭერის აღნიშნული პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
პსდ-ში მატერიალური რესურსის/ინფრასტრუქტურის მონიტორინგის/შეფასების საკითხებს ითვალისწინებს შიდა დოკუმენტი “მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ (პუნქტი 1.6).

გაწერილი პროცედურებისა, პსდ-ს დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ცალსახად იკვეთება რომ ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მიზანი არის რესურსებით კმაყოფილების, საკმარისობის მხოლოდ ზოგადი, ტექნიკური შეფასება და არ მოიცავს სისტემურ მიდგომას, ანალიტიკას, ეფექტიანობის შეფასებას, პროცესების შეფასების კონკრეტულ ინდიკატორებს. კვლევით მიღებული შედეგები/ანგარიში მხოლოდ სტატისტიკური შინაარსისა და არ მოიცავს ანალიზს/დასკვნას, მაშინაც კი, როდესაც ფიქსირდება რეპოდენტის უარყოფითი ან „ნაწილობრივი“ შეფასება.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაციები:</u>

- პსდ-მ უზრუნველყოს, რომ კონტროლი/მონიტორინგი იყოს მუდმივი პროცესი. მონიტორინგი არ იყოს მხოლოდ მატერიალური რესურსის შეფასებაზე ორიენტირებული, არამედ მოიცვას ყველა ის ძირითადი და დამხმარე პროცესი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო პროცესის განხორციელებასთან. მათ შორის მოიცვას, ის გარე მომწოდებლებიც, რომლებიც საქმიანობის/სასწავლო პროცესის ხარისხზე ახდენენ ზეგავლენას.
- პროცესების და მათი კონტროლის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად განსაზღვროს შეფასების/მონიტორინგის მეთოდები/მექანიზმები. შეფასებისა და კონტროლის, მათ შორის პროცესების შესრულებისთვის, გამოიყენოს გაზომვის მეთოდები (შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები).
- გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და დაკონკრეტდეს გარე მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები, საქმიანობის რეგლამენტი.

8. ***<u>პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები,</u>*** რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით (ცხელი, ცივი), აქვს უწყვეტი განათება (ბუნებივი, ხელოვნური) და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფილია ჰიგიენის საშუალებებით. ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის;

9. ***<u>ყველა სასწავლო ფართს, მათ შორის ბიბლიოთეკას, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობისთვის გამოყოფილ სივრცეებს აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.</u>*** გარდა ამისა კბილის ტექნიკოსის დარგობრივი კაბინეტის და ბიბლიოთეკის, ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

სამუშაო ადგილი/მაგიდა დამატებით აღჭურვილია მაგიდის სანათებით. ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფილია ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი რეკრეციული სივრცე.

10. ***სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.*** არაა ერთმანეთში გამავალი ოთახები. ყველა პროგრამისთვის გამოყოფილია ინდივიდუალური სასწავლო აუდიტორია/აუდიტორიები. აუდიტორიებში შესვლა შესაძლებელია ბარიერის და შეზღუდვების გარეშე.

11. ***<u>პსდ-ში მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად .</u>*** პსდ-ს ბიბლიოთეკა ასრულებს სასწავლო, ინფორმაციულ და საგანმანათლებო ფუნქციებს. რაც გულისხმობს საბიბლიოთეკო ფონდების ფორმირება-ორგანიზება-დაცვას, კოლეჯის უზრუნველყოფას სასწავლო მასალით (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, აუდიო-ვიზუალური ფონდი და სხვ.) და წიგანდი ფორნდის მუდმივ გადახედვა-განახლებას.

პსდ-ს ბიბლიოთეკის საქმიანობის რეგულირებისთვის შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლის თანახმად, ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: დილის 10.00 სთ-დან – 18.00-მდე, ხოლო შაბათს - დილის 10.00 სთ-დან-14.00 სთ-მდე.

კოლეჯის ბიბლიოთეკის მკითხველად რეგისტრირება შეუძლია დაწესებულების ყველა თანამშრომელსა და პროფესიულ სტუდენტს; ბიბლიოთეკის მოსმახურებით (ასლების გადაღება, ბეჭდვა, ელ ვერსიის შექმნა/ჩაწერა) სარგებლობა უფასოა.

დაწესებუელბის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio”, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები (რუბრიკაში „ელკატეგორია“).

ბიბლიოთეკაში მკითხველისთვის განთავსებულია 4 სამუშაო მაგიდა (სულ 14 სამუშაო ადგილი), რომლებიც აღჭურვლია დამატებითი მაგიდის სანათებით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი, მათ შორის 2 მკითხველისთვის, პრინტერი ასლის გადაღების (მათ შორიე ელექტრონული) ფუქციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

წიგნადი ფონდი ინვენტარიზებულია და დამუშავებულია საბიბლიოთეკო სტანდარტების შესაბამისად. არსებობს აღრიცხვის როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული და ალფავიტური კატალოგები. საბიბლიოთეკო ფონდი, მოიცავს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, ელ და CD მატარებელზე რესურსებს. დაწესებულებას, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საკანონმდებლო მაცნესთან, ბიბლიოთეკის კომპიუტერებიდან შესაძლებელია წვდომა ბაზასთან.

პსდ-ში არსებული ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ყველა კომპიუტერში, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მიმართულების კაბინეტების კომპიუტერებშიც. ინფორმაციის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით ელექტრონული წიგნადი ფონდი ასევე ინახება პსდ-ს სერვერზე და დამატებით მატარებელზე. ბიბლიოთეკაში წარმოებს წიგნის გაცემის ჟურნალი როგორც ელექტრონული ისე მატერიალური სახით. ჟურნალებში არსებული ჩანაწერებით დასტურდება ბიბლიოთეკით სარგებლობის ფაქტები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტიდან (მომზადების თარიღი 29.11.2021)
2. შენობის აზომვითი ნახაზები
3. ინვენტარიზაციის დოკუმენტები
4. მატერიალური რესურსის შესყიდვის/ფლობის დოკუმენტაცია
5. შენობაში ფართების ფუნქციური განაწილების აღწერა (ბრძანება #01609 11.03.2022)
6. ინსპექტირების ორგანოს შპს„რეალექსპერტი“ მიერ გაცემული შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა 27.07.2020
7. ბრძანება #07475 29/11/2021 „შპს ორიენტირის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“
8. საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება #2012-2/2 (06.02.2012),
9. ბრძანება # 07466 (29/11/2021) „შპს ორიენტირის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“
10. ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი/კატალოგები და წიგნის გაცემის აღრიცხვის ჟურნალები
11. სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”-სთან გაფორმებული ხელშეკრულება
12. პსდ-ს ვებგვერდი https://orientiri.edu.ge/biblio და ვებ-გვერდის რუბრიკა „ელკატეგორია“ (პსდ-ს ელექტრონული რესურსი)
13. „შპს ორიენტირის მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ (ბრძანება 301/45 06.07. 2020)
14. „შპს ორიენტირის პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“ (ბრძანება #01/156, 17.11. 2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

15. შპს ორიენტირის დებულება (ბრძანება #7656 04.12.2021)
16. შპს ორიენტირის შრომის შინაგანაწესი (ბრძანება #1050 18.02.2022)
17. შპს ორიენტირში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
18. შპს ორიენტირის რისკების შეფასებისა და მართვის ღონისძიებები გეგმა
19. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების პირადი საქმეები
20. „ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები“ (ბრძანება # 01/51, 24.05.2021; ცვლილება ბრძანება #0772, 08.02.2022)
21. შპს ორენტირის დირექტორის 2022 წლის 11 მარტის ბრძანება #1613 „შპს ორიენტირში გახარჯული მასალა ნედლეულის და მატერიალური-ტექნიკური ბაზის მონიტორინგის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ (ცვლილება ბრძანება #1679 14.03.2022)
22. მასალა-ნედლეულის, ინვენტარის მოთოვნისა და მიღება-ჩაბარების აქტები
23. „ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ბრძანება #01/87, 13,08 2021)
24. პსდ-ს თვითშეფასების დოკუმენტი
25. პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს, შპს „რეალექსპერტი“-ს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგრადობის ინსპექტირების შედეგების შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო წესებსა და ნორმატივების მოთხოვნებს.

   პსდ-მ წარმოადგინა ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, პსდ-ში განხორციელებული სახანძრო უსაფრთხოების აუდიტის დასკვნა. შეფასების საფუძველზე გატარებულია გამოვლენილი შეუსაბამობების შესახებ მაკორექტირებელი ღონისძიებები, რომლის საფუძველზეც სრულად იქნა აღმოფხვრილი გამოვლენილი ხარვეზები და გაიცა დადებითი დასკვნა.

   დაწესებულების მთელ პერიმეტრზე განთავსებულია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებები, მათ შორის დარგობრივ კაბინეტებში. ასევე კვამლი აღმომჩენი დეტექტორები. უზრუნველყოფილია დაწესებულების როგორც შიდა, ისე გარე სივრცეების ვიდეოკონტროლის სისტემა.

2. ***<u>დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები:</u>*** შექმნილია სტრუქტურული ერთეული, საშტატო განრიგით გამოყოფილია 2 პირი (პირველადი გდაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურის უფროსი და მედდა). გაფორმებულია ხელშეკრულება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებთან. შემუშავებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (საგანგებო სიტუაციების მექანიზმები, მუხლი 4.). აღნიშნული მექანიმზები ასევე გაწერილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ლაბორატორიაში ქცევისა და უსაფრთხოების წესებითაც. დოკუმენტებში დეტალურადაა გაწერილი პეროსნალის და პროფესიული სტუდენტების ქმედებები ასეთი გარემოების დადგომის შემთხვევაში.

პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის გამოყოფილია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი ოთახი. შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი (112).

მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასებით, კოლეჯი სათანადოდ რეაგირებს პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით. ახორციელბს COVID-19-თან დაკავშირებულ პრევენციულ ღონისძიებებს, გამოკრულია საინფორმაციო პოსტერები, დისტანცირების შეზღუდვის ნიშნები, ხორციელდება თერმოკონტროლი, მთელ შენობაში უზრუნველყოფილია სანიტაიზერები. დარგობრივ კაბინეტებში განთავსებულია პირველადი დახმარების აფთიაქები.

პერსონალისთვის ჩატარებულია ტრენინგი პირველადი დახმარების აღმოჩენის წესების შესახებ. შესაბამისი ინფორმაცია და მტკიცებულები განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე,

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.** კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის #7468 ბრძანებით დამტკიცებულის, შპს ორიენტირის საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები, რომელიც განსაზღვრავს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, დაწესებულებაში უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმებს.

პსდ შემუშავებული აქვს ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომლის თანახმად შექმნილია შტაბი (5 წევრი), რომელიც წარმოადგენს საგენგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. შტაბს ხელმძღვანელობს პსდ-ს დირექტორი. დოკუმენტით გაწერილია შტაბის წევრების ფუნქცია-მოვალეობები (ს. 1.3.), განსაზღვრულია სხვადასხვა სცენარის შემთხვევაში მოქმედებათა არეალი, კონკრეტულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირები, საგანგებო სიტუაციებში კომუნიკაციის და განგაშის ფორმები/მექანიზმები. დაწესებულების „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ შეთანხმებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (კორესპონდენცია 30/12.2021 (MIA 6 21 03446506)).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 მაისის 01/51 ბრძანებით დამტკიცებულია „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს შპს ორიენტირში პროფერსიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს, ქცევის წესებს. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმებით და პსდ-ს „შრომის შინაგანაწესით“ (მუხლი 34. „შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები“).

სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრითი, დაწესებულების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და ექსპლოატაციისთვის ვარგისი ცეცხლმაქრები. კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ტარდება ინსტრუქტაჟი და გავარჯიშება, ასევე ჩატარებულია მოწვეული სპეციალისტის მიერ ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოებასა და საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოებასა და ევაკუაციაზე პასუხისმგებელი პირი/პირები (დირექტორის ბრძანებები: 15 03.2022 #1751; #01/37(თ) 19.04.2021).

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

<u>სასურველია საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული პროცესების მართვისთვის შეიქმნას ერთი პროცედურა, რომელიც დაარეგულირებს მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

4. *დაწესებულებას, საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილი აქვს დაცვის სამსახური.* საშტატო განრიგით გამოყოფილია 2 საშტატო ერთეული (დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და დაცვის თანამშრომელი). შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს 2 პირი, რომელთა მოვალეობებშიც შედის როგორც კოლეჯის შიდა, ისე მის მიმდებარე პერიმეტრზე უსაფრთხოების კონტროლი და დაცვა.

უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის შიდა და მიმდებარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო კონტროლის სისტემით. პსდ-ს შიდა რეგულაციებით გაწერილია საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით ვიდეოკონტროლის განხორციელება, გამოყოფილია კონტროლსა და ვიდეოჩანაწერებთან წვდომაზე პასუხისმგებელი პირი.

დამატებით, კოლეჯს მომსახურების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს უსაფრთხოების კომპანია „ტიგონოსთან“, დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტების, მონტაჟისა და ექსპლოატაციის შესახებ. ხელშეკრულების მიზანია დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ელექტროსიგნალიზაციის მოწყობილობების მეშვეობით. პსდ-ს მთელ შენობაში დამონტაჟებულია ელექტროსიგნალიზაცია, ამავე ხელშეკრულების ფარგლებში კომპანია უზრუნველყოფს შენობის კონტროლსა და დაცვას.

დაწესებულების „შრომის შინაგანაწესის“ 35-ე მუხლი „თამბაქოს მოხმარების აკრძალვა“ არეგულირებს კოლეჯის ტერიტორიაზე მისი მოხმარების, წესის დარღვევისას პასუხისმგებლობების საკითხებს. ყველა სართულზე განთავსებულია თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვის ნიშანი და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისი ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს, შპს „რეალექსპერტი“-ს მიერ გაცემული დასკვნა
2. შპს უსაფრთხოების კომპანია „ტიგონოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება #22.11.21
3. სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურთან მიმოწერა
4. „შპს ორიენტირის საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ (ბრძანება # 07468, 29.11. 2021)
5. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძანება #01/51 , 24.05.2021)
6. „შპს ორიენტირის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ (ბრძანება # 01/139, 03.11. 2021)
7. საგანგებო მართვის გეგმა (ბრძანება #01/127, 22.10.2021)
8. შპს ორენტირის დირექტორის 2022 წლის 11 მარტის ბრძანება #1613 „შპს ორიენტირში გახარჯული მასალა ნედლეულის და მატერიალური-ტექნიკური ბაზის მონიტორინგის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“
9. ვიდეო კონტროლის კამერების შესყიდვისა და მონტაჟის დოკუმენტაცია
10. დაწესებულების ვებგვერდი
11. განხორციელებული ტრენინგების, გავარჯიშის შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა
12. სახანძრო უსაფრთხოების წესების ინსტრუქტაჟისა და ხანძრის დროს პერსონალის გავარჯიშების შესახებ ბრძანებები
13. ინსტრუქტაჟის რევული
14. შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კორესპონდენცია საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ (30/12.2021 MIA 6 21 03446506)
15. ბრძანებები სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ (15 03.2022 #1751; 19.04.2021 #01/37(თ))

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***<u>პსდ-ში შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.</u>***

ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის მფლობელობაში აქვს 63 ერთეული კომპიუტერი, რომელთაგან 10 ერთეული განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის (მათ შორის 2 მასწავლებელთა სამუშაო ოთახში), 3 ერთეული - ბიბლიოთეკისთვის, 51 ერთეული - სასწავლო პროცესისთვის, მათ შორის 22 კომპიუტერი განთავსებულია B სასწავლო გარემოში (პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილი), ასევე 1 AB სასწავლო გარემო 16 კომპიუტერით (პროფესიული სტუდენტისთვის 15 სამუშაო ადგილით და „საფინანსო სერვისების“ პროგრამისთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით). კომპიუტერების პარამეტრები შესაბამისია პსდ-ს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესებისა. აუდიტორიები და კაბინეტები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით (მონიტორებით) და ასლის გადაღების/ბეჭდვის საშუალებებით. შესაბამისი ტექნიკითა და სადემონსტრაციო საშუალებებით (პროექტორი, სადემოსნტრაციო ეკრანი, ხმის გამაძლიერებლები, კომპიუტერი) აღჭურვილია საკონფერენციო დარბაზიც.

დაწესებულების მთელ პერიმეტრზე ხელმისაწვდომია ინტერნეტი. დაწესებულება აღჭურვილია ვიდეო კონტროლის კამერებით. მოწყობილია შიდა ქსელი, რაც უზრუნველყოფილია სერვერით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFErase Free

2. *<u>პსდ კოლეჯი ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვას</u>*. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები: ორგანიზაციული, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის, ფიზიკური (არავტორიზებული წვდომა) უსაფრთხოება, ინფორმაციული ინციდენტების იდენტიფიცირება, ინფორმაციული აქტივების, კომუნიკაციების, ოპერაციების და წვდომის კონტროლის მართვა, ინფორმაციული სისტემების დანერგვა და მხარდაჭერა, საკანონმდებლო მოთხოვნებთან თავსებადობა (შპს „ორიენტირში“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება #01/65 29.06.2021, მუხლი 3.). საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვასა და უსაფრთხოების საკითხების მარეგულირებელ პუნქტებს მოიცავს ასევე შინაგანაწესის მუხლები (მუხლი 25. დასაქმებულის ვალდებულებები; თავი 9. ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის პოლიტიკა)

პსდ-ს შიდა ინფორმაციისა დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ავტომატურად ხდება პროგრამების, ოპერაციული სისტემებისა და ინფორმაციის სარეზერვო ასლების აღება „ქლაუდ სერვერზე“ და რისკის დადგომის შემთხვევაში სრულად ხდება ინფორმაციის აღდგენა. პსდ ასევე უზრუნველყოფს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის სარეზერვო მატარებელზე შენახვას და პერიოდულ განახლებას.

მუდმივად ხდება მისი მართვა, განახლება და უსაფრთხოების დაცვა. კომპიუტერებში ხდება პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია/განახლება, სისტემური და პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისგან დაცვა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და შეკეთება. კომპიუტერული ტექნიკისათვის ინტერნეტის მიწოდების უზრუნველყოფა ან/და საჭიროებისას შეზღუდვა. კომპიუტერები უზრუნველყოფილია ვირუსისგან დამცავი სისტემით, რომელიც პერიოდულად ახლდება.

სამუშაო პროცესებისა და ვებ-გვერდის მუშაობის სისტემატური რეჟიმის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება უზრუნველყოფს მომსახურების/სააბონენტო გადასახადების წინსწრებით დაფარვას, რაც ასევე წარმოადგენს პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მათი მოქმედების ვადის ავტომატური განახლების პირობას.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერს. გამოყოფილია პერსონალი (სამსახურის უფროსი), რომელიც მართავს საინფორმაციო ტექნოლოგიებს და მასთან დაკავშირებულ პროცესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

3. ***<u>დაწესებულებას პერსონალურ მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით,</u>*** შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“, რომლითაც განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები და საფუძვლები. ამავე პროცედურით განსაზღვრულაი პსდ-ში ვიდეოკონტროლის საფუძვლები, კონტროლს დაქვემდებარებული არეალი/პერიმეტრი, ინფორმაციის წვდომასა და დამუშავება-დაცვაზე პასუხსიმგებელი პირები. აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციას მოიცავს ასევე დაწესებულების მიერ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პუნქტები. ***პსდ-ს დოკუმენტები ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის უფლებებსა და ინტერესებს, შეესაბამება არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.***

4. ***<u>პსდ დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.</u>*** ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი აკონტროლებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას, მიმდინარე პროცესებს და ადგენს მათი გაუმჯობესების აუცილებლობას. პერიოდულად ახდენს მათ შეკეთება-განახლებას. შესრულებული სამუშაოს/მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება და ანგარიშგება ხდება მოხსენებითი ბარათებით.

5. ***<u>კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის, სასწავლო მიზნებისთვის, მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა,</u>*** რაც რეგულირდება დაწესებულების შიდა დოკუმენტით „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ (ბრძანება #01/45 06.07.2020) და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება #0622 31/01/2022, მუხლი 41“კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესი). მატერიალური რესურსის გამოყენების შესახებ ინფორმაცია ასახულია ასევე, პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაში.

სასწავლო პროცესისთვის გამოიყენება შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერები (დეტალური ინფორმაცია იხ. ინდიკატორთან 5.1.1.). ყველა კომპიუტერზე ხელმისაწვდომია ინტერნეტი. პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ასევე ბიბლიოთეკასა და სააქტო/საკონფერენციო დარბაზში არსებული IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და სივრცეები, რაც პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის დამატებით გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის. სასწავლო პორცესის მარეგულირებელი წესების თანახმად, კომპიუტერული კლასის გამოყნება შეუძლია კოლეჯში მყოფ ნებისმიერ პირს, ყველა სამუშაო დღეს (09:00-18:00), თუმცა არ არის განსაზღვრული ვის უნდა მიმართოს ან რა შეზღუდვა/გამონაკლისია გათვალისწინებული, რათა ხელი არ შეეშალოს კაბინეტში დაგეგმილ მოდულების განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:

1. *სასურველია, რეგულაციით განისაზღვროს კომპიუტერიული კლასის გამოყენების დეტალებივის, უნდა მიმართოს პირმა, ან რა ფორმით, კლასით სარგებლობისთვისან რა შემთხვევაში გამოიყენება ადმინისტრაციის მხრიდან შეზღუდვები ან სხვა დამატებითი პირობები.*

6. *<u>პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.</u>* კოლეჯის „დომეინით“ შექმნილია ელ-ფოსტის მისამართები პროფესიული სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. პსდ ასევე, კომუნიკაციისთვის იყენებს google-ს სერვისებს და Facebook Messenger-ს. უფრო აქტიურად პროფესიულ სტუდენტებისთვის ინფორმაციის და მასალების მიწოდება ხდება Facebook Messenger-ის გამოყენებით ნაკადებისთვის ინდივიდუალურად შექმნილ ჯგუფებში. პსდ დისტანციურ რეჟიმში სწავლებასთან დაკავშირებით იყენებს Zoom-ის ფასიან მომსახურებას.

ინდიკატორის შესაბამისობა დასტურდება პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და პსდ-ს ელ კორესპონდენციითა და სოციალური ქსელის გვერდით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხელშეკრულება #09/74 შპს „კავკასიის დომენების რეგისტრატორი“ დომენის რეგისტრაციის შესახებ (15.11.2021)
2. ხელშეკრულება #06 შპს „ჰოსტნოუდსი“ ჰოსტინგის შესყიდვის შესახებ (14.03.2022)
3. შპს „ორიენტირში“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ (ბრძანება #01/65 29.06.2021);
4. „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ (ბრძანება #01/45 06.07.2020);
5. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება #0622 31/01/2022)
6. Zoom პლატფორმის ფასიანი მომსახურების ინვოისები;
7. ინტერნეტ პროვაიდერთან („ახალი ქსელები“) გაფორმებული ხელშეკრულება (#456786 04.07.2014);
8. **„ალტა სოფთვეარი“-თან გაფორმებული ხელშეკრულება.**
9. იტ რესურსების, ვიდეო კამერები შესყიდვისა და ფლობის დოკუმენტაცია;
10. ინფორმაციული ტექნოლოგიების სემოწმებისა და შეფასების შედეგები
11. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯრის მოხსენებითი ბარათები ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების შედეგების შესახებ
12. შპს ორენტირის დირექტორის 2022 წლის 11 მარტის ბრძანება #1613 „შპს ორიენტირში გახარჯული მასალა ნედლეულის და მატერიალური-ტექნიკური ბაზის მონიტორინგის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“
13. შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება N01/119 „შპს ორიენტირის პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების თაობაზე“ (30.11.2020)
14. შპს „ორიენტირის“ დირექტორის ბრძანება #7526 „შპს ორიენტირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ (30/11/2021)
15. შპს ორიენტირის შრომის შინაგანაწესი
16. პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები
17. პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
□ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს როგორც ელექტრონული ისე მატერიალური საქმისწარმოების მარეგულირებელ პუნქტებს. ***საქმისწარმოების წესი შესაბამისია საკანონმდებლო მოთხოვნების.*** პროცედურით განსაზღვრულია დოკუმენტის სახეები, მათი წარმოების, რეგისტრაციის, დოკუმენტების შესრულებისა და კონტროლის წესები. დოკუმენტი მოიცავს ასლების მომზადება-გაცემის, პირადი საქმეების სახეებსა და წარმოების, ასევე დოკუმენტაციის არქივირების წესებს. დოკუმენტის შენახვა-განადგურებაზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წარდგენის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს პსდ-ს დირექტორი. მიუხედავად იმისა, რომ პსდ კერძო დაწესებულებაა და არ წარმოადგენს ეროვნული არქივის დაკოპლექტების წყაროს, სასურველია, დოკუმენტაციის არქივში გადაცემის, მით უფრო განადგურების პროცედურები, იმართებოდეს მოქმედი ერთიანი საქმისწარმოებს წესების შესაბამისად, კერძოდ პსდ-ში შექმნას დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი ორგანო და შემუშავდეს კომისიის რეგლამენტი.

   საქისწარმოების სისტემატიზაციის მიზნით, პსდ-ს შემუშავებული აქვს საქმეთა ნომენკლატურა, რომელიც მოიცავს მხოლოდ უშუალოდ საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის შესასრულებელი საქმეების ჩამონათვალს. დოკუმენტი შედგენილია საქმისწარმოების ერთიანი წესებთ დადგენილი სტრუქტურით, თუმცა არ მოიცავს ტიპური დოკუმენტების სენახვის ვადის ნუსხით განსაზღვრულ ვადებსა და შესაბამის მუხლებზე მითითებას. პსდ-ს საქმისწარმოების სისტემატიზაციის მიზნით, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელმა პირმა და სტრუქტურულმა ერთეულებმა უზურუნველყონ დაწესებულების ყველა საქმის იდენტიფიცირება და ნომენკლატურაში ასახვა შესაბამისი შენახვის ვადების მითითებით. ასევე, პსდ-მ უზრუნველყოს დოკუმენტის დამტკიცების პროცესის დადგენილი წესით შესაბამისად შესრულება (დამტკიცებამდე დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედ კომისიასთან შეთანხმება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლისას, გამოიკვეთა რიგი უზუსტობები - დუბლირებული მუხლები (პსდ-ს „წესდება“, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“, „ბიბლიოთეკის დებულება“ „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“) და სხვა ტექნიკური შინაარსის შეუსაბამობები. შინაარსის დუბლირებას ადგილი აქვს როგორც ერთი დოკუმენტის შიგნით, ასევე სხვადასხვა დოკუმენტში (ერთი საკითხი რეგულირდება სხვადასხვა პროცედურით). პსდ-ს რიგ ბრძანებებში, განკარგულებით ტექსტით/დანართით არა მიკვლევადი ცვლილებები, ასევე ახალი ვერსიის გამოცემისას, განკარგულებითი ნაწილი არ მოიცავს პუნქტს ძველი რედაქციის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტების გამოცემამდე კონტროლი, შიდა დოკუმენტაციის მართვა, რომელიც მოიცავს დოკუმენტის სასიცოცხლო ციკლის კონტროლს ყველა ეტაპზე.

საქმისწარმოებაზე ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებს საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. საშატატო ერთეულით ასევე განსაზღვრულია არქივარიუსი. საშტატო ერთეულით განსაზღვრული პოზიციით შესასრულებელი სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე სასურველია დაიყოს პოზიცია მიმართულებებად ან/და შეიქმნას სტრუქტურული ერთეული საქმიანობის ხარისხის და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

1. *გადაიხედოს საქმიწარმოების ინსტრუქცია, დოკუმენტაციის არქივში გადაცემისა და განადგურების პროცედურებთან მიმართებით და პსდ-ში დაინერგოს დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი კომისიის პრაქტიკა.*
2. *დოკუმენტების ცვლილებების/დამტკიცებისას დაცული იქნეს მმართველობითი დოკუმენტების წარმოების წესები (შინაარსი, სტრუქტურა).*
3. *შემუშავდეს შიდა დოკუმენტაციის მართვისა და კონტროლის პროცედურა/მექანიზმები, რომელიც მოიცავს დოკუმენტის მოქმედების სრული ციკლის (შემუშავება, შეთანხმება, დამტკიცება, ცვლილება, გაუქმება, შენახვა) კონტროლს ყველა ეტაპზე, მათ შორის დოკუმენტების პერიოდულ კონტროლს.*
4. *საქმეთა ნომენკლატურა შემუშავდეს პსდ-ს ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის/პოზიციისთვის საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნების გათვალისწინებით.*
5. *სასურველია, პსდ-მ შექმნას საქმისწარმოების სტრუქტურული ერთეული ან/და გაზარდოს აღნიშნული მიმართულებით საშტატო ერთეული.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFEraser Free

2. ***პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები.*** პერსონალი უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით (კომპიუტერი, ბეჭდვის, ასლის გადაღების საშუალებები და სხვ), ვიდეოკონტროლის სისტემა, საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფა. საქმისწარმოებისთვის, გარდა მატერიალური ფორმის დოკუმენტბრუნვისა, იყენებს ელექტრონულ სისტემას e-flow-ს. დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის იყენებს სოციალური ქსელებს, Google-ის პლატფორმას, ელექტრონულ ფოსტას. პსდ სასწავლო პროცესის მართვაში ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ტექნოლოგიები, პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოებს აწარმოებს როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულადაც, დოკუმენტებს განათავსებს google drive პლატფორმაზე. ასევე იყენებს Google-ს სერვისებს საქმიანობის სხვადასხვა პროცესებისთვის, როგორცაა კვლევები, თათბირები. სასწავლო პროცესში, მეცადინეობებისა და კონსულტირებისთვის იყენებს Zoom პლატფორმას. დაწესებულებაში მოწყობილია ასევე შიდა ქსელი/სერვერი.

3. ექსპერტების მიერ გადამოწმდა, დაწესებულების მიერ გამოცემული აქტების (ბრძანებები პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ), ასევე დაწესებულების, პერსონალის და საგანმანათლებო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მართვა საინფორმაციო სისტემაში. ***დაწესებულება უზრუნველყოფს მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილ წესებისა და ვადების დაცვით ასახვას.***

4. დაწესებულების საქმისწარმოების შიდა რეგულაციით განსაზღვრული აქვს დოკუმენტაციის შესრულების კონტროლი, რომლითაც განსაზღვრულია საკანონმდებლო მოთხოვნათა შესაბამისი კონტროლის ვადები და მეთოდები. პსდ-ს „საქმიწარმოების ერთიანი ინსტრუქციით დადგენილია შემოსული დოკუმენტების შესრულების ვადები (მაქსიმალური 10 სამუშაო დღე). წესის თანახმად, დაწესებულება ასევე უფლებამოსილია განსაზღვროს შესრულებისთვის ინდივიდუალური ვადა, ზაკ-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. პსდ-ს საქმისწარმოების ერთიანი წესის თანახმად, შემსრულებლის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დოკუმენტი შესასრულებლად გადაეცემა სხვა პირს, ხოლო კონტროლი შესრულებაზე, დოკუმენტბრუნვის სრული ციკლის მანძილზე, ევალება საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის და ადამიანური რესურსის მართვის მენეჯერს.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა ინდიკატორის მოთხოვნების შესრულების მტკიცებულებები (პსდ-ს გასული კორესპონდენცია), რითაც დადასტურდა, რომ ***პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბრძანება # 00007485 29/11/2021 „შპს ორიენტირის საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“
2. ა(ა)იპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული 2021 წლის 11 ნომებრის ხელშეკრულება #09/76 ელექტრონულ სიტემაში (eFlow) ჩართვის შესახებ;
3. შპს „ორიენტირის“ 2022 წლის საქმეთა ნომენკლატურა;
4. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები და შემოწმების შედეგები
5. შპს „ორიენტირის“ კორესპონდენცია, განკარგულებითი აქტები, შიდა დოკუმენტები და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია: დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესთან დაკავშრებული აქტივობების შესახებ. სიახლეების განთავსება ატარებს სისტემატურ ხასიათს, ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიწოდების ინტერესს.

ვებ-გვერდზე განთავსებულია სტანდარტით დადგენილი პსდ-ს შესახებ აუცილებელი ინფორმაცია: მისია, ხედვა ღირებულებები, პსდ-ს სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, წლიური ანგარიში, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები, მარეგულირებელი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები. განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია როგორც სპეციალურ რუბრიკებში, ისე კატალოგში. ინფორმაცია იდენტურია ჩარჩო დოკუმენტის შინაარსისა, შესაბამისად მოიცავს, სტანდარტით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო ინფორმაციას. ვებ გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება, ელექტრონული ბიბლიოთეკა („Open Biblio") და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ელექტრონული სასწავლო რესურსი; ასევე, გზამკვლევები სტუდენტებისთვის, რომელიც სასწავლო პროცესის ძირითად პროცედურებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის სტატუსის მოპოვების შესახებ. ვებ-გვერდზე განთავსებულია ასევე განხორციელებული გამოკითხვების/კვლევების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

სტატისტიკური მაჩვენებლები და ანგარიშები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგია დოკუმნეტი (ბრძანება #7464 29.11.2021), რომელიც მიზნად ისახავს კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანობისა და ცნობადობის ზრდას. დოკუმენტით განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულის მიზანი, ხედვა და სტრატეგიული მიზნები. დაგეგმილია მიზნების მისაღწევი კონკრეტული აქტივობები. დოკუმენტით დეკლარირებული მიზნებია: კოლეჯის საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა და ინფორმაციის ხელმისაწდომობა, საკომუნიკაციო მომსახურების გაუმჯობესება, საზოგადოებასთან ღია დიალოგის წარმოება, შიდა და გარე კომუნიკაციის სისტემის გამართვა.

დოკუმენტი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერის სამოქმედო გეგმას, თუმცა გეგმაში არა არის ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა კარიერული და პიროვნული განვითარება. გეგმაში ასევე არაა განსაზღვრული ფინანსური/მატერიალური რესურსი/ბიუჯეტი.

დოკუმენტით განსაზღვრულია მიზნობრივი ჯგუფები, თუმცა ექსპერტთა შეფასებით, არაა სრულყოფილად განსაზღვრული სამიზნე აუდიტორია/დაინტერესებული მხარეები. არაა წარმოდგენილი სტრუქტურები/ინსტიტუციები (სახელმწიფო, კერძო და ა.შ.), რომლებიც მჭიდრო კავშირიშია პროფესიულ განათლებასთან და შესაძლოა ასევე პირდაპირი ზეგავლენა იქონიოს პსდ-ს საქმიანობასა და განვითარებაზე.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

1. *სტარტეგიული ამოცანები, შესრულების ინდიკატორები შემუშავდეს პსდ-ს სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებით, განისაზრვროს გეგმის შესრულების საპროგნოზო ბიუჯეტი. ასევე, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერის სამოქმედო გეგმას, სასურველია ასახული იყოს პსდ-ს ხედვა კარიერული და პიროვნული განვითარების საკითხებთან მიმართებაშიც.*
2. *გადახედილი იქნეს სამიზნე ჯგუფები/დაინტერსებული მხარეები, განისაზღვროს ყველა არსებული და პოტენციური სამიზნე ჯგუფი/დაინტერესებული მხარე. შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების ნუსხა.*

2. დაწესებულების მისია არ მოიცავს განაცხადს უცხოენოვანი პროგრამების განხორციელების შესახებ, პსდ-ს საგანამანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროგრამები ქართულენოვანია. შესაბამისად, პსდ-ს ვებ-გვერდი მხოლოდ ქართულენოვანია.

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებას უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი. ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებულია როგორც პროგრამების შესახებ, ასევე კოლეჯში მიმდინარე სხვადასხვა პროცესების შესახებ ინფორმაცია, ანონსები და სხვა.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგისთვის ვებ-გვერდზე გამოყოფილია ცალკე სივრცე/რუბრიკა. კატალოგი მოიცავს დაწესებულების შესახებ საკონტაქტო და ავტორიზაციის შესახებ ინფორმაციას, ასევე კოლეჯის დაარსებისა და განვითარების ისტორიას. კატალოგში დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარებულია დაწესებილების მისია, ხედვა, ღირებულებები. შეტანილია პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები. კატალოგში ასახულია პროგრამების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია (პროგრამის დონე, კრედიტები, კვალიფიკაცია, მისაღწევი სწავლის შედეგები და შეფასების მეთოდები, მოდულების, სწავლის ხანგრძლივობა, დასაქმების შესაძლებლობები), შშმ/სსსმ პირების მხარდაჭერის სერვისები. კატალოგი ილუსტრირებულია თუთოეული პროგრამისთვის საგანმანათლებლო სივრცისა და პსდ-ს ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალით. კატალოგში წარმოდგენილია დაწესებულების პარტნიორები.

<u>საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.</u>

5. პროგრამების კატალოგი პსდ-ს მიერ ახლდება ყოველწლიურად. ვებ-გვერდზე წარმოდგენილია 2022 წლის კატალოგი და 2019-2021 წლებში შემუშავებული კატალოგების არქივი, რომელბშიც ასახულია საანგარიშო წლების განმავლობაში პსდ-ში საგანმანათლებლო საქმიანობაში განხორციელბული ცვლილებები (ახალი პროგრამები).

6. ***საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.*** აღნიშნული კრიტერიუმის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია, მათ შორის დაინეტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მასწავლებლები და ა.შ.) კვლევის შესაბამისი ინსტრუმენტები/კითხვარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის ანგარიშში პერსონალის უმრავლესობა (73,3%) როგორც პერსონალური, ისე ინსტიტუციური განვითარებისთვის აუცილებელ აქტივობად მიიჩნევს ტრენინგების ჩატარებას სხვადასხვა მიამრთულებით. კითხვარებით ამოსული ტრენინგები შეტანილია დაწესებულების სამოქმედო გეგმაში. ადმინისტრაციის მიერ ჩატრებულია მთელი რიგი ტრენინგები, ვებინარები, როგორც ადმინისტრაციული პერსონალისთვის , ისე მასწავლებლებისთვის. განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ გვერდზე. ტრენინგების განხორციელება დადასტურდა პერსონალსა და პროფესიული სტუდენტებთან გასაუბრებისას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „შპს ორიენტირის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ (ბრძანება # 7464 29.11.2021)
2. პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები
3. პსდ-ს ვებ-გვერდი https://orientiri.edu.ge/ და სოცოლური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/orientiri/
4. შპს „ორიენტირი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები;
5. ჰოსტინგის ხელშეკრულება #6435 კომპანიასთან „დეჰოსთ ლიმითედ“ (12.04.2006);
6. დომენის ხელშეკრულება კომპანიასთან „ინტერნეტის განვითარების ჯგუფი-საქართველო“ (17.03.2006);
7. შპს „ორიენტირი“-ს დირექტორის ახსნა-განმარტებითი ბარათი;
8. შპს „ორიენტირი“-ს დირექტორის ბრძანება #01/107 „შპს ორიენტირში დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ“ (29.09.2021);
9. შპს „ორიენტირი“-ს დირექტორის ბრძანება #01/08(თ) „შპს ორიენტირის დირექტორის მოადგილისთვის (მ.ჯ.) და საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის და ადამიანური რესურსის მართვის მენეჯერისთვის (ი.კ.) საყვედურის გამოცხადების შესახებ“ (30.09.2021);
10. ელექტრონული/დისტანციური სწავლების შესახებ კვლევის ანგარიში;
11. შპს „ორიენტირი“-ს შრომის შინაგანაწესი“
12. პსდ-ს კატალოგები (2019, 2020, 2021, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.*** პსდ-ს ბიუჯეტი ითვალისწინებს: სახელფასო ფონდს (ადმინისტრაციული, განმახორციელებელი პერსონალი), საოფისე-ადმინისტრაციულ და მოდულის განხორციელების ხარჯებს, რომელიც მოიცავს: მასალების, სასწავლო რესურსების, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, კულტურულ-სპორტული ღონისძიებების, ასევე პერსონალის მომზადებისა და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს, რომელიც დაახლოებით 3,5-ჯერ აღემატება იდენტიფიცირებული ხარჯების საერთო რაოდენობას. ბიუჯეტით განსაზრვრული ხარჯები მოიცავს სტარტეგიული და სამოქმედო გეგმების მიზნებს/ამოცანებს. ამასთან პსდ-ს ფინანსური მენეჯერის განმარტებით, გაუთვალისწინებელი ხარჯების დიდი წილი, განკუთვნილია სწორედ დასახული გეგმების რეალიზაციისთვის. რაც შეეხება დაფინანსების სახეებს, ის მოიცავს: პროფესიული სტუდენეტების მიერ შემოტანილ გადასახადებს, სახელმწიფოს მიერ სტუდენტების ვაუჩერული დაფინანსებითა და პსდ-ს მიერ განხორციელებული სხვადასხვა პრექტებით (პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები, საიჯარო და სხვა) მიღებულ შემოსავლებს.

ინდიკატორს ადასტურებს არსებული ფაქტობრივი გარემოება და პსდ-ს მიერ შესრულებული აქტივობები: პსდ-ს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც გამოიხატება უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფით (კომპეტენტური ორგანოების შეფასება და დასკვნები), ინკლუზიური/ადაპტირებული გარემოს შექმნა (შენობაში შესასვლელი პანდუსის მონტაჟი), სპორტული მოედნის მოწყობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება/ავტორიზაცია, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება და სხვა, რაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ამოცანებია.

2. ***საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.*** პსდ-ს 2022 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს ყველა საჭირო ხარჯს როგორც ადმინისიტრაციული, ისე საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. საპროგნოზო ბიუჯეტში შეტანილია შემდეგი ხარჯები ფულადი რესურსებით: სახელფასო ფონდი (380000 ₾), საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო მასალები/რესურსები (70 000 ₾), პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხარჯი (45 000 ₾). ბიუჯეტი განაწილებულია ასევე ადამინური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლების (4000 ₾), ავტორიზაციისა (15 000 ₾), ექსტრაკურიკულურ ღონისძიებების ჩატარების ხარჯებს (საჯარო ლექციები, კულტურილი/სპორტული ღონისძიებები), საოფისე, კომუნალური, სარემონტო, ასევე სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, რომელიც დაახლოებით 3,5-ჯერ აღემატება იდენტიფიცირებულ ხარჯების საერთო რაოდენობას.

3. **დაწესებულება** ახორციელებს ყოველწლიურ შეფასებას და ანგარიშგებას, რომელსაც განიხლავს პარტნიორთა კრება. პსდ ანგარიშები (2018 წ. 2019წ. 2020 წ.) გამოქვეყნებულია ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე (https://reportal.ge/).

პსდ-ს მიერ ასევე წარმოდგენილია 2017-2021 წლების პერიოდის შემოსავლებისა და მათი სახეების შესახებ მონაცემები (შპს „ორიენტირის“ დაფინანსების დინამიკა). მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პერიოდში შეინიშნება უარყოფითი გრადაცია, კოლჯის ფინანსური მდგომარეობის სურათი და შემოსავლების დინამიკა, საერთო ჯამში პოზიტიურია. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკსა და კოლეჯის სალაროებში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთისგან. ანგარიშებში ასევე ასახულია ფინანსური ვალდებულებები (2013-2024 წწ), სამეწარმეო რეესტიდან ამონაწერით ვალდებულებები არ ფიქსირდება (მომზადების თარიღი 29.11.2021).

პსდ-ს ფინანსური მენეჯერის განცხადებით, დაწესებულება ბიუჯეტის მდგრადობას უზრუნველყოფს შემოსავლების დივერსიფიცირებით (სახელმწიფო დაფინანსებით განხორციელებული პროგრამები, თვითდაფინანსებით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები, შრომის უნარების განვითარების პროექტები, დასაქმების სახელმწიფო პროგრამების და სხვა პროექტების განხორციელებით). საჭიროების შემთხვევაში მენეჯმენტს აქვს შემუშავებული ბიუჯეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
ოპტიმიზაციის პროექტები ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხი, ხოლო დაინტერესებული მხარეების ინტერესები გათვალისწინებული.

4. დაწესებულება ახორციელებს ყოველწლიურ ანგარიშგებას, რომელსაც განიხლავს პარტნიორთა კრება. სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელიც მოიცავს განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. ასევე აწარმოებს დაფინანსების დინამიკას, საგანმანათლებლო პროგარმების ბიუჯეტების (საპროგნოზო, განხორციელების) ანალიზს, რომლის საფუძველზეც, ბიუჯეტების დაგეგმვისას, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის კორექტირებას.

პსდ-ს პერსონალი პრაქტიკაში ასევე აქტიურად იყენებს შესრულებული სამუშაოების შესახებ მენეჯმენტის ინფორმირებას მოხსენებითი ან/და სამსახურებრივი ბარათების გამოყენებით, რომლითაც ხდება როგორც ოპერატიული დავალებების, ისე განხორციელებული პროექტების შესახებ ანგარიშგება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „ორიენტირი“ ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
2. შპს „ორიენტირი“ ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
3. „შპს ორიენტირის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 02 დეკემბრის N01/125;
4. პსდ-ს ვებ-გევრდი, რუბრიკა „წლიური ანგარიშები შეფასებული პარტნიორთა საერთო კრების მიერ“
5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტიდან (მომზადების თარიღი 29.11.2021)
6. ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების სპორტალი.
7. პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საექთნო განათლება"

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ც. დადიანის ქ. №26
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	126
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „საქთნო განათლება“

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული აქვს პროცედურა „შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“ (ბრძანება #07488, 29.11.2021), რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, პსდ-ს რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფები. ე.წ. დაგეგმვის ჯგუფი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის,კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი, დარგის წარმომადგენელი კოლეჯიდან ან/და მოწვეული, ფინანსური მენეჯერი) ახდენს პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენას. მიზანშეწონილობის არგუმენტი მისაღებია თუ:
- არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით;
- პსდ აფართოებს მომსახურების/პროგრამების სპექტრს პროფილური მიმართულებით;
- პროგრამის ფარგლებში შეძენლი უნარები იძლევა თვითდასაქმების/პიროვნული განვითარების/პიროვენბის სოციალურ ინტეგრაციის შესაძლებლობას.

პროცედურით არგუმენტირებისთვის გამოყენებული კვლევების შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად ასევე მეორად სანდო წყაროებს. არგუმენტირების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი და ქმნის სამუშაო ჯგუფს, პროგრამის ადაპტირება-შემუშავებისთვის, რომელიც უშუალოდ მუშაობს პროგრამის ადაპტირებაზე, სასწავლო გეგმის შექმნაზე, სასწავლო რესურსის დამუშავებასა და სხვ. პროგრამის პროექტს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დასამტკიცებლად წარუდგენს პსდ-ს დირექტორს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საქთნო განათლება“ შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. განხორციელების მიზანშეწონილობა ერთი მხრივ განპირობებულია პროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის (მომართვიანობის) და მაღალი დასაქმების მაჩვენებლებით, მეორე მხრივ საქართველოს მთავრობის დადგენილებით (#134 16.07.2019 „საქთნო საქმის განვითარების სტრატეგია“), რომლის თანახმად ექთანათა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ქვეყნის ჯანდაცვის სიტემის პრიორიტეტია, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFEraser Free

დაწესებულების მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის შემუშავების გადაწყვეტილება/ინიციატივა შესაძლებლია მოდიოდეს თავად დაწესებულების დირექტორისგან, ან უკვე განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე. *სასურველია მეთოდოლოგიაში უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლო შემთხვევები. ამასთან დოკუმენტი მოიცავს პუნქტებს, რომელიც ასახავს პროგრამის ცვლილებისას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და გაუქმების შემთხვევაში მობილობის პროცედურის შესახებ შინაარსს. აღნიშნული საკითხები რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც. სასურველია პროფესიული სტუდენტის მომსახურების/უფლებების შესახებ პუნქტები ამოღებული იქნეს დოკუმენტიდან და ის მხოლოდ მოიცავდეს სათაურის შესაბამის შინაარს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი).*

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“, აისახოს აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებული შინაარსი. ასევე სასურველია დოკუმენტში ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლებლობები.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობები და სტატუსის მოპოვება რეგულირდება პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (ბრძანებით# 01/138, 03.11.2021 თავი 3.). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის (09109-პ) მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; რაც დასტურდება პსდ-ს დოკუმენტაციით. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. *პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით* (პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის ბრძანება #01/121), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ხელმძღვანელების რაოდენობას.

კოლეჯს, მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, დათვლილი აქვს წლების მიხედვით და ჯამში 3 წელზე შეადგენს 126 პროფესიულ სტუდენტს. თითოეულ წელს მიიღებს 42 პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო გეგმის მიხედვით პარალელური რეჟიმში, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევს 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, ანუ კოლეჯი შეუფერხებლად განახორციელებს 84 (42+42) პროფესიული სტუდენტის სწავლებას. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, მეორე წლის მეორე ნახევრიდან სასწავლო პროცესი გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ შემთხვევაშიც, კოლეჯის ბაზაზე პარალელური სწავლება, ასევე უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს (84 პროფესიული სტუდენტი). პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პარტნიორ დაწესებულებებში კლინიკური სწავლება უზრუნველყოფილია პრაქტიკის ხელმძღვანელებით, თანაფარდობით - 1/7.

საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ოთხ პარტნიორ კლინიკასთან:

1. შპს #5 კლინიკური საავადმყოფო (15.07.2021) - 35 სტუდენტი ერთ ნაკადზე;
2. სს ევექსის ჰოსპიტლები (01.04.2019, ბოლო შეთანხმება 21.01.2021) - 126 პროფესიული სტუდენტი ერთ ნაკადზე;
3. ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ (01.03.2021) - 126 პროფესიული სტუდენტი ერთ ნაკადზე;
4. შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი (18.11.2021) - 50 პროფესიული სტუდენტი ერთ ნაკადზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დარგობრივი ექსპერტის გადაწყვეტილებით შეირჩა პარტნიორი, #5 კლინიკა, რომლის წარმომადგენელთანაც გასაუბრება განხორციელდა ონლაინჩართვით. კლინიკის წარმომადგენელმა დაადასტურა მზაობა, რომ მიიღებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგნმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. *ასევე შემოწმებული იქნა პარტნიორი ორგანიზაციების სახელმწიფო ლიცენზიების სფერო, რომლითაც დასტურდება, რომ შერჩეული კლინიკები ფარავენ საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური მოდულების სწავლის შედეგების შინაარსს.*

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ, 2019 წლის 10 მაისის #01/29 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორცილებულია ბრძანება №7660, 04.12.2021). პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, პსდ-ს წესდების (02.11.2021) 5.4 პუნქტითა და დებულების 7.3. პუნქტით (ბრძანება #7656 04.12.2021).

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „საექთნო განათლება“ ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. ***პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.*** შემუშავების საფუძველია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი (09109-პ). დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ (90 კრედიტი), ასევე კლინიკური (90 კრედიტი) სწავლების კომპონენტსაც. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 180 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 31,25 სასწავლო თვე, 125 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 210 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 36,25 სასწავლო თვე, 145 სასწავლო კვირა).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. თუმცა პროგრამის მე-15 პუნქტი, რომელიც დოკუმენტის შემუშავების საფუძვლებზე მითითებას წარმოადგენს, პსდ-ს მიერ ადაპტირებულია შემდეგი სახით: საგანმანათლებლო პროგრამის მე-15 პუნქტი *„სამართლებრივი საფუძვლები ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებისა, რომლის მიხედვითაც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა“, მითითებულია საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძვლები.* გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის შემუშავების საფუძველს ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს, უნდა მიეთითოს პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საქთნო განათლება“ შემუშავების საფუძვლები (ჩარჩო დოკუმენტი და სხვა შესაძლო შიდა დოკუმენტი) და არა თავად ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების საფუძვლები.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

კორექტირდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მუხლი, დოკუმენტის შემუშავების საფუძვლების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესი“ (ბრძანება №7488,29.11.2021)
2. პსდ-ს მისია და სტრატეგიული გეგმა
3. დაწესებულების წესდება;
4. შპს ორიენტირის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათები, მიზანშეწონილობის დასაბუთების შესახებ.
5. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
6. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, შპს ორიენტირის დირექტორის 04/12/2021-ის ბრძანება № 7660 (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
7. ,,შპს ორიენტირის ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 დეკემბრის N 7650 ბრძანება.
8. „შპს ორიენტირში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის N 01/121 ბრძანება;
9. შპს ორიენტირის დებულება (ბრძანება №7656, 04.12.2021წ.)
10. შპს ორიენტირის პროგრამების დაგეგმვისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება 07.08.2020 N01/63.
11. შპს ორიენტირში „ღონისძიების ორგანიზების“ (ინტეგრირებული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის დამატების, „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე კვოტის გაზრდის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება 02.03.2021 01/13
12. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან
13. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთა, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFErase Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;</u>

შპს ორიენტირი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ თეორიულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 26, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

- A სასწავლო გარემო - აუდიტორიები #12, #25, თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილით.
- AC სასწავლო გარემო - აუდიტორია #19, პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილით. აუდიტორია აღჭურვილია სამედიცინო საწოლებით/ტახტებით, პროგრამის მატერიალური რესურსით გათვალისწინებული მანეკენებითა (2ც) და საჭირო ინსტრუმენტებით. სიმულაციური გარემოში ასევე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოდული ,,პირველადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

გადაუდებელი დახმარება“. სასწავლო ცხრილების, მოდულების საკონტაქტო საათების ანალიზით სიმულაციური გარემო გამტარუნარიანია ორივე პროგრამისთვის არსებული კვოტის ფარგლებში.

- B სასწავლო გარემო/კომპიუტერული კლასი - აუდიტორია #13 პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა გარემოს გამტარუნარიანობა, გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსური სერვისები“, რომელიც საჭიროებს პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლას, ხორციელდება დარგობრივ კაბინეტში #16. ხოლო კოლეჯის B სასწავლო გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის განხორციელებისთვის.

ყველა აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).

„საქთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: სს „ევექსის ჰოსპიტლები“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 01.04.2019), ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი - 01.03.2021), შპს „№5 კლინიკური საავადმყოფო“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 15.07.2021), შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 18.11.2021).

პარტნიორი დაწესებულებები ბაზარზე ცნობილი კლინიკებია, აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება კოლეჯის 2019 და 2020 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7 (შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალა. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება. პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებს თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
განსახორციელებლი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია. ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ასევე ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ შეთანხმებას.

დაწესებულების მიერ *პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 126 პროფესიულ სტუდენტს.* თითოეულ წელს მიიღებს 42 პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო გეგმის მიხედვით პარალელური სწავლებისას, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევთ 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯი შეუფერხებლად განახორციელებს 84 (42+42) პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან პროგრამის განხორციელება გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ ეტაპზეც, ანალოგიურად პარალელურად სწავლება უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ჯამურად არის მაქსიმუმ 84 პროფესიული სტუდენტი. პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პრაქტიკის ხელმძღვანელები თანაფარდობით - 1/7.

ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა 99 აქტიური პროფესიული სტუდენტი, მათ შორის თვითდაფინანსებით 35, ხოლო სახელმწიფო დაფინანსებით - 64. სტატუსი შეჩერებული აქვს სულ 8 პირს.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 62 პირი, მათ შორის 7 ზოგადი მოდულების (2 - საინფორმაციო ტექნოლოგია, 3 - უცხო ენა, 2 - კომუნიკაცია) განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 55, საქედან 18 პირი სს „ევექსი“-ს პრაქტიკის ხელმძღვანელი, ხოლო 11 - ფსიქიატრიის კომპონენტის პრაქტიკის ხელმძღვანელი. მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი, უმრავლეს შემთხვევაში - 3.

ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ***პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.*** ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „საქქთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის/დარგობრივი საქმიანობის ნებართვის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

ვიზიტის დროს შედგა ასევე გასაუბრება, „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლების“ , „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზიის“, ,,თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლების“, ,,პედიატრია და მოზარდების“ მოდულების, განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება.

განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული გნათლების მასწვალებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

4. ***<u>საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.</u>*** რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ პროგრამის ხელმძღვანელი კვალიფიკაციით არის ექიმი, დარგში მუშაობის გამოცდილებით და საექთნო საქმის დარგობრივი კომპეტენციების უნარების ფლობით. პრგრამის ხელმძღვანელს აქვს პროფესიული განათლებლის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებაც (2016 წლიდან-დღემდე). პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება პირის შესაბამისობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

საგანმანმდებლო და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან (პსდ-ს დებულების 24-ე მუხლი).

პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში, პერიოდულად ესწრება მეცადინეობებზე, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნავს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, ასევე დარგობრივი კაბინეტების კომპიუტერებში. დაწესებუელბის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio", სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები (რუბრიკაში „ელკატეგორია").

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადაამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება" მოდულებში მითითებული რესურსი. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომიაროგორც ელექტრონული ისე მატერიალური სახით.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პსდ უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. პსდ-ს შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, როგორიცაა ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

(„სასწავლო პროცესის მარეგურილებელ წესი“ მუხლები 30, 48). ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ისგ-ს შედგენის პროცედურა. წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, სასწავლო მასალები და კომუნალური ხარჯები, რეკლამისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 12 პროფესიული სტუდენტი (107 172 ₾). პროგრამისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. თუმცა სასურველია პსდ-ს ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშნელოვანი მუხლები, როგორიცაა პროგრამის/განმახორციელბელი პირების/სასწავლო რესურსების განვითარება-გაუმჯობესებისთვის გასაწევი ხარჯები. *სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების პროცედურა, რომლითაც დარეგულირდება ხარჯებისა და მათი დასაშვები წილის ოდენობა/თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტში, რაც ფინანსურად მეტად მდგრადს გახდის პროგრამის განხორციელებას.*

ინდიკატორის განმავითრებელი რეკომენდაცია

- *სასურველია შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც ასევე აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ თანდართული დოკუმენტაციით
2. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
4. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
5. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
6. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***<u>პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან,</u>*** პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პსდ-ს ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით (ბრძანება #01/87, 13.08.2021), ასევე შემუშავებულია კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია (ბრძ.#01/51, 20.05.2021), სადაც მითითებულია კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები, სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინსტრაციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ობიექტი განმახორციელებელი პირი/ხელმძრვანელი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე გამოკითხვის პერიოდულობა/სიხშირე (პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ; პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების კვლევა - წელიწადში ერთხელ; კურსდამთავრებულთა დასაქმებლის მაჩვენებლის კვლევა - სწავლის დასრულებიდან 1 წლის შემდეგ). კითხვარების ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილი საჭიროებების/ინიციატივების შემთხვევაში, დაწესებულება გეგმავს შესაბამის რეაგირების ღონისძიებებს. კვლევის შედგები/ანგარიშები საჯაროა, გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

ხარისხის მექანიზმების თანხმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წამომადგენელი/წარმომადგენლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. გეგმა ითვალისწინებს: სასწავლო პროცესზე დასწრებას, დაკვირვების კითხვარების შეგროვება-ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები ფორმდება სხდომის ოქმით, მოხსენებითი ბარათებით.

ექსპერტების მიერ ასევე განხილული იქნა შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი (#26 17.12.2021), სადაც განხილული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების, მათ შორის „საექთნო განათლების“ მოდულის („ჰისტოლოგია“) პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები. კვლევის შედეგების მიხედვით, გაცემული იყო რეკომენდაციები: პროფესიულ სტუდენტების შეფასებასთნ და მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირის გაძლიერებისა და სასწავლო რესურსის/მასალებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება, ჯგუფის წევრები აგროვებენ ინფორმაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისხს ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

<u>პსდ-ს პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFErase Free

2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორცილებეული ცვლილებების შესახებ გამოცემული ბრძანებები. ცვლილება განხორციელბულია შიდა პროცედურის დაცვით. თუმცა გამოცემული ბრძანებებით (#07661 04.12.2021, #07660 04.12.2021) რთულია იდენტიფიცირება რა ცვლილებები განხორციელდა. პსდ-მ უნდა უზრუნველყოს ბრძანების შინაარსის ინფორმაციულობა და მიკვლევადობა (აღნიშნული საკითხის შესახებ რეკომენდაცია გაიცა მე-5 სტანდარტთან, საქმისწარმოების კომპონენტის ფარგლებში).

პსდ-ს მიერ ასევე უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილებისას, შესაბამისობაში მოსვლისა და სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირების ვადები (მაგ. დისტანციური სწავლების მეთოდების დამატება საგანმანათლებლო პროგრამაში და სხვა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს #01/87 ბრძანება „ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები“.
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის #7488 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“;
3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები (#26 17.12.2021, #25 01.12.2021)
4. შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება #7660 „შპს ორიენტრში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის #01/29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
5. კვლევის ანგარიშები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის კმაყოფილების, მოდულების განხორციელების, დისტანციური სწავლების კვლევაების შესახებ)
6. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“ პსდ-ს მოთხოვნების თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 3 აკადემიურ წელზე. არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 31,25 სასწავლო თვე, 125 სასწავლო კვირა (180 კრედიტი), ხოლო არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 36,25 სასწავლო თვე, 145 სასწავლო კვირა (210 კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს (სწავლების პირევლი და მე-2 წელს შეადგენს კვირაში საშუალოდ 35,7 სთ. ხოლო მე-3 წელს - 37 საათი). სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2. პსდ-ში არსებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურებით.

COVID-19 პანდემიის პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე, კოლეჯმა პროფესიული სტუდენტების და განმახორციელებელი პირების საჭიროებების (ინტერნეტთან წვდომა, IT უნარების ფლობა, დისტანციური სწავლების პლატფორმების მართვის ფლობა) შესახებ ელექტრონული გამოკითხვა განახორციელა. პსდ-ს მიერ განხორციელდა ასევე შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძებები. დაწესებულების მიერ, პარტნიორ კოლეჯებთან ერთობლივად, იდენტიფიცირდა პროგრამის/სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობები. ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, დაემატა სწავლების დისტანციური მეთოდი, ელექტრონული სასწავლო რესურსი). დისტანციური სწავლების შეუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელების მიზინით შეძენილი იქნა Zoom-ის ფასიანი სერვისი. ცვლილებები განხორციელდა და დაიგეგმა ისე, რომ სასწავლო პროგრამის განხორციელების ვადები არ გახანგრძლივებულა.

პანდემიიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის 3 პროფესიულ სტუდენტთან დადგა ინდივიდულური გეგმის შექმნის საჭიროება (ინტერნეტთან წვდომის შეზღუდვიდან გამომდინარე ვერ ერთვებოდნენ მეცადინეობებზე დასწრებას). პსდ-ს ადმინისტრაციამ, პროფესიული სტუდენტების ჩართულობით, შეიმუშავა მათი საჭიროებების გათვალისწინებით ისგ.

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ისგ-ის შემუშავების დოკუმენტაცია: მოდულები, რომლებიც მოიცვა ისგ-მ („გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები“, „ინფექციის კონტროლის საფუძვლები“, „საექთნო პრქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედინიცო დაწესებულებებში“). სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის საჭიროებასთან დაკავშირებით (N03/22, 03.12.2020) და ისგ, რომლშიც ასახულია მოდულების, პროფესიული მასწავლებლების, საკონტაქტო საათების რაოდენობის და განხორციელების გრაფიკის შესახებ ინფორმაციას.

სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან , ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

<u>პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.</u>

3. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დისტანციური სწავლება და ელრესურსების გამოყენება. ასევე მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინეტრაქციული ლექცია, სემინარი, დისკუსია, შემთხვევის ანალიზი, პრაქტიკული მეცადინეობა მეთვალყურეობის ქვეშ. კლინიკური სწავლებისთვის შერჩეული პროვაიდერების მატერიარულ-ტექნიკური ბაზა, არჭურვილია დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულ პროექტებში (საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა/ცვლილებების ინიცირება, უნიფიცირებული შეფასების ინსტრუმნეტების შემუშავება).

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პსდ-ს რეგულაციებით შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს როგორც შშმ, ის სსსმ პროფესიულ სტუდნეტები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზებით, ასევე დეტალურად აქვს იდენტიფიცირებული შშმ პირების არსებობების შემთხვევაში, მათ იდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის სედგების მიღწევის სესაძლებლობები (მუხლები: 29, 30, 38, 48). ამ მიზნით, ასევე გამოყოფს სივრცეებს/საათებს ჯგუფური და დამატებითი მეცადინეობებისთვის. შეხვედრები იგეგმება მასწავლბელებთან ონლაინ, დამატებითი კოსულტაციების მიწოდების მიზნით, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც.

ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი იქნა მობილობის, სტატუსის აღდგენის ამსახველი დოკუმენტაცია და ამ გარემოებიდან გამომდინარე შემუშავებული ისგ. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ პსდ-ს ადმინისტრაციის მიერ, **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ასვე 2.4.1 (2) და 3.1.1. (5) ინდიკატორების აღწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

5. პსდ-ს თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით. დოკუმენტი ითვალისწინებს როგორც უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის, ისე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებულებებს გარდა ამისა, კლინიკური სწავლებისთვის აუცილებელი სახარჯი მასლის გამოყოფას და პროფესიული სტუდენტებისთვის სავალდებულო ინსტრუქტაჟების განხორციელებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა. განსაზღვრულია - განსახორციელებელი მოდულები, მათი მოცულობა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების კვოტა, მოთხოვნები პრაქტიკის განმახორციელებელი პირების მიმართ.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ოთხ კლინიკასთან:

1. შპს #5 კლინიკური საავადმყოფო (15.07.2021) - მისაღები პროფესიული სტუდენეტების რაოდენობა 35 სტუდენტი ერთ ნაკადზე;
2. სს ევექსის ჰოსპიტლები (01.04.2019, ბოლო შეთანხმება 21.01.2021) - მისაღები პროფესიული სტუდენეტების რაოდენობა 126 სტუდენტი ერთ ნაკადზე;
3. ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ (01.03.2021) - მისაღები პროფესიული სტუდენეტების რაოდენობა 126 სტუდენტი ერთ ნაკადზე;
4. შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი (18.11.2021) - მისაღები პროფესიული სტუდენეტების რაოდენობა 50 სტუდენტი ერთ ნაკადზე;
   დაწესებულებას ხელშეკრულებები აქვს ასევე გაფორმებული პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პირებთან, პრაქტიკის ხელმძღვანელის პოზიციაზე.

ექსპერტთა ჯგუფი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გაესაუბრა პარტინორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ იცნობენ ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, რაც დასტურდება როგორც შესაბამისი ხელშეკრულებით/შეთანხმებებით, ისე ფაქტობრივი გარემოებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში,** რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კავლიფიკაციის პირებისა და სამსახურების არსებობა. კოლეჯში ფუქციონირებს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური (2 პერსონალი) და შრომის უსაფრთოების სამსახური (2 პირი). შრომის უსაფრთოების სამსახურის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და შემუშავებულია პრევენციული ღონისძებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ-ში დაცულია სასწავლო/სამუშაო პროცესი განხორციელებისას COVID-რეგულაციები. პსდ-ს შემუშავებული აქვს ასევე „საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „სასწავლო პროცესის მრეგულირებელი წესი“ (03.11. 2021 ბრძანება #01/138)
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“
3. სასწავლო გეგმები
4. მიდგომები დისტანციური სწავლების შესახებ
5. დისტანციური სწავლების შეფასების კვლევის ანგარიში
6. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან
7. პრაქტიკსი ხელმძღვანელებთან გაფორმებული ხელსეკრულებები
8. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და შრომის უსაფრთხოების სამსახურების პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
9. რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გეგმები
10. საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი
11. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემას (თავი IV), სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია და განისაზღვრება 10 კალენდარული დღით. ამავე წესის თანახმად, განმეორებითი შეფასების დაადსტურება, პროგრამის ბოლოს დაგეგმილი მოდულებისთვის, შესაძლებელია, პროგრამის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში. *თუმცა გაურკვევლი ჩანაწერია ამავე მუხლში (44.8.) სადაც წერია, რომ "სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება". დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტის შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება/ამოღება.*

რეგულაციით, განმეორებითი შეფასებისთვის, დაწესებულება შეფასების სხვა ინსტრუმენტს. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. წესის თანახმად შეფასების შედეგების ადმინისტრაციისთვის მიწოდება ხდება შეფასებიდან ერთ სამუშაო დღეში. პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს ადმინსიტრაციას. პსდ-ს შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით, რამდენად არის პსდ-ს შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები დარგის ექსპერტის შეფასებით იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არა ობიექტური შეფასების ფაქტი. პროფესიულმა სტუდნეტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა რეგულაციების შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება.

2. ***<u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს,</u>*** რომელიც ხორციელდება პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის №01/52 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, პსდ-ს შესაბამისი ადამანური რესუსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა (რეესტრი), რომელიც აფასებს შემდეგ გარემოებებს: „დამწყები“ და „სანდო“ პროფესიული მასწავლებლების/პრაქტიკის ხელმძღვანელების შეფასებას, ასევე შემთხვევები, როდესაც შეფასებისას გამოყენებულია ბევრი პრაქტიკული დავალება ან ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად რამდენიმე სწავლის შედეგი ფასდება. გამოვლენილი რისკ-ფაქტორები ფასდება 4 ბალიანი სისტემით ე.წ. „კოეფიციენტით“ (დაბალი - 1ქ; საშუალო - 2ქ; მაღალი - 3ქ; კრიტიკული - 4ქ.).

<u>გამომდინარე იქიდან, რომ პსდ-ს მიერ განსაზღვრული წესით, რისკ-ფაქტორების გამოვლენის რეესტრმა უნდა მოიცვას დაწესებულების ყველა განმახორციელებელი პირისა და შეფასების ინსტრუმენტის ანალიზი, სასურველია თითოეული გარემოებისთვის ცალ-ცალკე დოკუმენტი შეიქმნას. ასევე პროცედურაში განსაზღვრულია ვერიფიკაციით უარყოფითი შეფასების დადგომის გარემოებაც (პ.8.3.), რომლის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დროსაც პსდ-ს მიერ დამატებით მოხდება შერჩევითი შეფასება განსხვავებული პრინციპით, მაგ. სტუდენტების სიით ანბანის პირველი 10 ასო ან სხვა, რაც ექსპერტთა აზრით, ვერ იქნება ეფექტური, ამასთან პროცესის დანერგვის საწყის ეტაპზე, სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს ტოტალური კონტროლი და უარყოფითი შეფასების დადგომისას, შემოწმებული იქნეს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%. პროცედურით განსაზღვრული არაა რისკების იდენტიფიცრებისას, გარემოების შეფასებისას, რომელი კოეფიციენტისას რა მოცულობის დოკუმენტაცია იქნება შეფასებული. ასევე არაა განსაზღვრული, რა მოცულობის მტკიცებულებები/შეფასების ინსტრუმენტები უნდა შემოწმდეს, რომ თავად ვერიფიკაციის პროცესი ჩაითვალოს ვალიდურად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ფარგლებში პსდ-ს მიერ ვერიფიკაცია ჩატარებულია 2020 წელს, დირექტის მიერ შექმნილი ჯგუფის მიერ (ბრძანება #01/115 24.11. 2020). ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა და პროცესის განხორციელება მოხდა პროცედურის შესაბამისად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო, ასევე, ვერიფიკაციის ჯგუფების სხდომის ოქმები (ოქმი 09.12.2021), რომელიც მოიცავს ინფორმაციას კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შესახებ, შეფასების პროცესების გამჭვირვალობისა და ობიექტურობის დასადგენად. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია ჯგუფის რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტებში ტესტური დავალებების მრავალფეროვნებასა და რაოდენობის შესახებ, ასევე მოდულის „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლების“ შეფასება განხორციელდეს მთლიანად მოდულის სწავლის შედგების დონეზე და არა კრიტერიუმებისა.

ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიზიტის დროს გასაუბრებოდნენ ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს, რომლებმაც დაადსტურეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია. ექსპერტები ასევე დაინტერესდნენ ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე განხორციელდა თუ ცვლილებები, რაზეც პსდ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსმა და პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადეს, რომ დაწესებულება მას მერე რაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შექმნა ე.წ. „შეფასების ინსტრუმენტების ბანკი“, აღნიშნული მოდულის შეფასებისას იყენებს უნიფიცირებულ ინსტრუმენტებს.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

1. *ვერიფიკაციის მექანიზმებით განსაზღვრული გარემოებებისთვის, სასურველია შემუშავდეს ცალ-ცალკე დოკუმენტი.*
2. *ვერიფიკაციის პროცესში (მით უფრო დანერგვის ეტაპზე), უარყოფითი შეფასების გარემოების დადგომისას, სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%-ის შემოწმება;*
3. *ვერიფიკაციის პროცესის ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვროს რისკების იდენტიფიცრებისას, სხვადასხვა გარემოებების კონკრეტული კოეფიციენტით შეფასებისას, რა მოცულების დოკუმენტაცია უნდი იქნეს შეფასებული. ანალოგიურად,*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

განისაზღვროს შესამოწმებელი მტკიცებულებები/შეფასების ინსტრუმენტების მოცულობა, რა მაცვენებლითაც ვერიფიკაციის პროცესი ჩაითვლება ვალიდურად.

3. პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 44). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება უვადოდ (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 49). შეფასების ინსტრუმენტები, უწყისები იდენტიფიცირებულია, აღირიცხება სპეციალურ რეესტრებში.

ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სტუდენტის პორტფოლიოები და პრაქტიკის გავლის მტკიცებულებები (მოდული „კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია მოზარდები“), სადაც ასახული იყო ინფორმაცია მორიგეობის განრიგის, პრაქტიკის თემატიკის შესახებ. პროცედურების შესაბამისად მოცემულია ჩეკლისტები, რითაც დასტურდება პროფესიული სტუდენტის შეძენილი კომპეტენციები (განმსაზღვრელი შეფასების მტკიცებულება). შეფასების ფურცელს ხელს აწერს, როგორც პროფესიული სტუდენტი ისე მასწავლებელი.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.** პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება ინდივიდუალურად ან ჯგუფში, პროფესიული სტუდენტების თანხმობით. წერილობითი ან/და ონლაინ შეფასებისას უკუკავშირი ხორციელდება პირად ელფოსტაზე შეტყობინებით. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. რის საფუძველზეც სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. პროფესიულ სტუდენტებთან და მასაწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ ონლაინ კონსულტაციებსა და უკუკავშირს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ‘სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,“ 03.11.2021, ბრძანება #01/138
2. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია 15.12.2021 ბრძანება #7927
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის #01/52 ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმები;
4. შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება #01/155 16.11.2021 შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ
5. ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრის ამსახველი სქრინები, ვერიფიკაციის ჯგუფის სხდომის ოქმი 09.12.2021
6. ვერიფიკაცის დასკვნა, ხარისიხს მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი (09.12.2021)
7. სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
8. ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ც. დადიანის ქ. №26
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFEraser.Free

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული აქვს პროცედურა „შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“ (ბრძანება #07488, 29.11.2021), რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, პსდ-ს რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფები. ე.წ. დაგეგმვის ჯგუფი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის,კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი, დარგის წარმომადგენელი კოლეჯიდან ან/და მოწვეული, ფინანსური მენეჯერი) ახდენს პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენას. მიზანშეწონილობის არგუმენტი მისაღებია თუ:

- არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით;
- პსდ აფართოებს მომსახურების/პროგრამების სპექტრს პროფილური მიმართულებით;
- პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების/პიროვნული განვითარების/პიროვენბის სოციალურ ინტეგრაციის შესაძლებლობას.

პროცედურით არგუმენტირებისთვის გამოყენებული კვლევების შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად ასევე მეორად სანდო წყაროებს. არგუმენტირების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, და ქმნის სამუშაო ჯგუფს, პროგრამის ადაპტირება-შემუშავებისთვის, რომელიც უშუალოდ მუშაობს პროგრამის ადაპტირებაზე, სასწავლო გეგმის შექმნაზე, სასწავლო რესურსის დამუშავებასა და სხვ. პროგრამის პროექტს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დასამტკიცებლად წარუდგენს პსდ-ს დირექტორს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ამასთან პსდ-ს აქვს ამ მიმართულების პროგრამის მრავალწლიანი გამოცდილება, ანალოგიურ პროგრამებს ის ახორციელებს 2000 წლიდან. განხორციელების მიზანშეწონილობა, ასევე განპირობებულია ერთი მხრივ პროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის (მომართვიანობის) და მაღალი დასაქმების მაჩვენებლებით, მეორე მხრივ ჯანდაცვის მიმართულების პრიორიტეტულობა, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებას. ასევე ეროვნულ ბაზარზე, არსებული ფარმაცევტული კომპანიების „შპს ფარმა-ავერსისა“ და „იბერკომპანი+“-ის ინიციატივები პროფესიული კადრის მიწოდება/დასაქმების შესახებ. გარდა ამისა, პსდ-ს მიერ 2021 წელს განხორციელებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, რომლის შედეგების ანალიზით 92%

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასაქმებულია მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად. კვლევის მონაცემებით, კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმებულია შპს „პსპ აფთიაქი“-ს, შპს „გეფასა“ და შპს „ჯი პი სი“-ს სააფთიაქო ქსელებში.

დაწესებულების მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის შემუშავების გადაწყვეტილება/ინიციატივა შესაძლებლია მოდიოდეს თავად დაწესებულების დირექტორისგან, ან უკვე განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე. *სასურველია მეთოდოლოგიაში უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლო შემთხვევები. ამასთან დოკუმენტი მოიცავს პუნქტებს, რომელიც ასახავს პროგრამის ცვლილებისას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და გაუქმების შემთხვევაში მობილობის პროცედურის შესახებ შინაარსს. აღნიშნული საკითხებია რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც. სასურველია პროფესიული სტუდენტის მომსახურების/უფლებების შესახებ პუნქტები ამოღებული იქნეს დოკუმენტიდან და ის მხოლოდ მოიცავდეს სათაურის შესაბამის შინაარს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი).*

<u>პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>

<u>ინდიკატორის განვითარების რეკომენდაცია</u>

დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“ , აისახოს აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებული შინაარსი. ასევე სასურველია დოკუმენტში ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლებლობები.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (ბრძანებით# 01/138, 03.11.2021 თავი 3.). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის (09110-პ) მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; რაც დასტურდება პსდ-ს დოკუმენტაცით. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. ***პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით*** (პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის ბრძანება #01/121), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

„ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 120. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აქვს სამი A და ერთი B (21 სამუშაო ადგილი პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო. პრაქტიკული კომპონენტისთვის **3 AC საასწავლო გარემო:**

1. *ქიმიურ-სააფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის.*
2. *სააფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის.*
3. *სააფთიაქო ბლოკი - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის.*

პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად შპს „ორიენტირს“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „პსპ ფარმასთან“ (#09/75, 22.11.2018, შეთანხმება #1 24.04.2019, შეთანხმება #2 22.11.2021) 120 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ მიიღებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგნმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ, 2019 წლის 10 მაისის #01/29 ბრძანებით (ცვლილებები განხორციელებულია შემდეგი აქტებით: #01/62 21.06.202; #7660, 04.12.2021). პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, პსდ-ს წესდების (02.11.2021) 5.4 პუნქტითა და დებულების 7.3. პუნქტით (ბრძანება #7656 04.12.2021)

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. ***პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა*** „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ***შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.*** შემუშავების საფუძველია საქთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, დისტანციური სწავლების მიდგომები, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტსაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 120 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 21 სასწავლო თვე, 84 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 150 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე, 104 სასწავლო კვირა).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. თუმცა პროგრამის მე-15 პუნქტი, რომელიც დოკუმენტის შემუშავების საფუძვლებზე მითითებას წარმოადგენს, პსდ-ს მიერ ადაპტირებულია შემდეგი სახით: საგანმანათლებლო პროგრამის მე-15 პუნქტი *„სამართლებრივი საფუძვლები ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებისა, რომლის მიხედვითაც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა“, მითითებულია საგანმანათლბელო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძვლები.* გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის შემუშავების საფუძველს ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს, უნდა მიეთითოს პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავების საფუძვლები (ჩარჩო დოკუმენტი და სხვა შესაძლო შიდა დოკუმენტი) და არა თავად ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების საფუძვლები.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

კორექტირდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მუხლი, დოკუმენტის შემუშავების საფუძვლების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესი“ (ბრძანება №7488,29.11.2021)
2. შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება №01/29 10.05.2019 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცების და ცვლილებების №01/62 (21.06.2021), N7660 (04.12.2021) შესახებ.
3. პსდ-ს მისია და სტრატეგიული გეგმა
4. დაწესებულების წესდება;
5. შპს ორიენტირის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათები, მიზანშეწონილობის დასაბუთების შესახებ.
6. „2021-2022 წწ სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 04 აგვისტოს N01/83 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 15 ნოემბრის N01/154 ბრძანება;
7. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
8. ,,შპს ორიენტირის ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 დეკემბრის N 7650 ბრძანება.
9. „შპს ორიენტირში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის N 01/121 ბრძანება;
10. შპს ორიენტირის დებულება (ბრძანება №7656, 04.12.2021წ.)
11. შპს ორიენტირის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურეობრივი ბარათი (17.03.2022 წ. #1827)
12. შპს ორიენტირის პროგრამების დაგეგმვისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება 07.08.2020 N01/63.
13. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან - „პსპ ფარმასთან“ (#09/75, 22.11.2018, შეთანხმება #1 24.04.2019, შეთანხმება #2 22.11.2021);
14. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთა, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
2. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
3. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
4. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით „ფარმაცია (სააფთიაქო)“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით:

შპს ორიენტირი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ თეორიულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 26, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

-A გარემო აუდიტორიები #3, #11, თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის 20 სამუშაო ადგილით. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

-B გარემო/კომპიუტერული კლასი - აუდიტორია#13 პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილით. აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი). ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა, გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსური სერვისები“, რომელიც საჭიროებს პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლას, ხორციელდება დარგობრივ კაბინეტში #16. ხოლო კოლეჯის B გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის განხორციელებისთვის.

-AC გარემო - აუდიტორია #19 აუდიტორია,21 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით. აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით მოდულისთვის ***„პირველადი გადაუდებელი დახმარება“.*** აღნიშნული გარემო, ასევე წარმოადგენს „საექთნო განათლების“ პროფესიული პროგრამის სასწავლო ერთ-ერთ AC გარემოს. სასწავლო ცხრილების, მოდულების საკონტაქტო საათების ანალიზით სიმულაციური გარემო გამტარუნარიანია ორივე პროგრამისთვის არსებული კვოტის ფარგლებში.

- AC გარემო - ***ქიმიურ-საფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი*** - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: სველი წერტილი, სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, მაშრობი კარადა, მაცივარი, შტატივები, სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით, წყლის აბაზანა, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ხსნარის მოცულობითი ზრდის კოეფიციენტების ცხრილები,მილესილსაცობიანი კოლბები, გრადუირებული გამზომი ცილინდრები (10, 50, 100, 500 მლ), მინის კოლბები, შტანგლასები, წყლის აბაზანა, თერმომეტრების ნაკრები, სასწორები (ხელის), საწონების კომპლექტი, სპირტქურები, როდინები, არეომეტრები, ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადების წესებთან დაკავშირებით, მიკროსკოპები, ლუპა და სხვა.

-**AC გარემო** - ***საფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი*** - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: სველი წერტილი, მაშრობი კარადა, სამუშაო ლაბორატორიული მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, მაცივარი, მაშრობი კარადა, სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, მოცულობითი ზრდის კოეფიციენტების ცხრილები, გრადუირებული გამზომი ცილინდრები, მინის კოლბები, შტანგლასები, წყლის აბაზანა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

სასწორები (მორის), საწონების კომპლექტები, სპირტქურები, შტატივები, როდინები (სხვადასვა ტევადობის), ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადების წესებთან დაკავშირებით, მიკროსკოპები, წყლის აბაზანა და სხვა.

-AC გარემო - *საფთიაქო ბლოკი* - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით, სიმულაციური აფთიაქი (პრეპარატები, ბავშვთა კვება, დეკორატიული კოსმეტიკა, ავადმყოფის მოვლის საგნები), შესაბამისი აღჭურვილობით.

ამავე სივრცეებში განთავსებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით აღჭყრვილი სიმულაციური აფთიაქები. ექსპერტების მიერ მოხდა სამივე AC გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსის დათვალიერება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „პსპ ფარმასთან“. ხელშეკრულებას თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებლი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია.

დაწესებულების მიერ *პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (საფთიაქო)“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 120 პროფესიულ სტუდენტს.* თითოეულ წელს მიიღებს 60-60 პროფესიულ სტუდენტს (თითოეულ ნაკადზე 3 ჯგუფი), ამასთან საგანმანათლებლო პროგრამის 26 მოდულიდან, სასწავლო გეგმით 8 მოდული ხორციელდება პრაქტკის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებაში, შპს „პსპ ფარმა“-ში, რომელიც უზრუნველყოფს ყოველწლიურად 60 სტუდენტის მიღებასა და პრაქტიკული კომპონენტის გატარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა 110 აქტიური პროფესიული სტუდენტი, მათ შორის თვითდაფინანსებით 12, ხოლო სახელმწიფო დაფინანსებით - 98. სტატუსი შეჩერებული აქვს სულ 6 პირს (მ.შ. 1 სახელმწიფო დაფინანსებით, ხოლო 5 თვითდაფინანსებით).

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

2. პროგრამის პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 28 პირი, მათ შორის 7 ზოგადი მოდულების განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 21. ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.** ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი, პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. განმახორციელებელი პროფესიული გნათლების მასწვალებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

4. ***საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი,*** რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი დარგობრივი განათლების მქონე პირი, დარგის ექსპერტი. აქვს დარგობრივი საქმიანობისა და სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან შესაბამისობა, რომელიც გაწერილია პსდ-ს დებულების 24-ე მუხლით.

პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში, პერიოდულად ესწრება მეცადინეობებზე, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნავს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, ასევე დარგობრივი კაბინეტების კომპიუტერებში. დაწესებუელბის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio”, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები (რუბრიკაში „ელკატეგორია“). პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით.

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები, რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში, მათი უმრავლესობა გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე. პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისთვის და პერსონალისთვის პირადი ავტორიზებული მომხმარებლების სახით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში და საჭიროების შემთხვევაში ისინი ახდენენ განმახორციელებლი პირების ინფორმირებას განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პსდ უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. პსდ-ს შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, როგორიცაა ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება და სხვა („სასწავლო პროცესის მარეგურილებელ წესი“ მუხლები 30, 48). ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ისგ-ს შედგენის პროცედურა. წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, სასწავლო მასალები და კომუნალური ხარჯები, რეკლამისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 10 პროფესიული სტუდენტი (63 420 ₾). პროგრამისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. თუმცა სასურველია პსდ-ს ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშნელოვანი მუხლები, როგორიცაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროგრამის/განმახორციელებელი პირების/სასწავლო რესურსების განვითარება-გაუმჯობესებისთვის გასაწევი ხარჯები. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების პროცედურა, რომლითაც დარეგულირდება ხარჯებისა და მათი დასაშვები წილის ოდენობა/თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტში, რაც ფინანსურად მეტად მდგრადს გახდის პროგრამის განხორციელებას.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

სასურველია შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც ასევე აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის მექანიზმები,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (საექთნო)“ თანდართული დოკუმენტაციით
2. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
3. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები
4. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე
5. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება და შეთანხმებები
6. საკანონმდებლო მაცნესთან გაფორმებული ხელშეკრულება
7. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:
შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***<u>პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.</u>*** პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პსდ-ს ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით (ბრძანება #01/87, 13.08.2021), ასევე შემუშავებულია კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია (ბრძ.#01/51, 20.05.2021), სადაც მითითებულია კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები, სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინისტრაციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ობიექტი განმახორციელებელი პირი/ხელმძრვანელი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე გამოკითხვის პერიოდულობა/სიხშირე (პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ; პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების კვლევა - წელიწადში ერთხელ; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევა - სწავლის დასრულებიდან 1 წლის შემდეგ). კითხვარების ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილი საჭიროებების/ინიციატივების შემთხვევაში, დაწესებულება გეგმავს შესაბამის რეაგირების ღონისძიებებს. კვლევის შედგები/ანგარიშები საჯაროა, გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

ხარისხის მექანიზმების თანხმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წამომადგენელი/წარმომადგენლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. გეგმა ითვალისწინებს: სასწავლო პროცესზე დასწრებას, დაკვირვების კითხვარების შეგროვება-ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები ფორმდება სხდომის ოქმით, მოხსენებითი ბარათებით.

ექსპერტების მიერ ასევე განხილული იქნა შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი (#25 01.12.2021), სადაც განხილული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულის, „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები. კვლევის შედეგების მიხედვით, გაცემული იყო რეკომენდაციები: პროფესიულ სტუდენტების შეფასებასთნ და მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირის გაძლიერებისა და სასწავლო რესურსის/მასალებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება, ჯგუფის წევრები აგროვებენ ინფორმაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისიხს ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

<u>პსდ-ს პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.</u>

2. ***<u>პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.</u>*** გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებეული ცვლილებების შესახებ გამოცემული ბრძანებები. ცვლილება განხორციელბულია შიდა პროცედურის დაცვით. თუმცა გამოცემული ბრძანების (#07660 04.12.2021) რთულია იდენტიფიცირება რა ცვლილებები განხორციელდა. პსდ-მ უნდა უზრუნველყოს ბრძანების შინაარსის ინფორმაციულობა და მიკვლევადობა (აღნიშნული საკითხის შესახებ რეკომენდაცია გაიცა მე-5 სტანდარტთან, საქმისწარმოების კომპონენტის ფარგლებში).

პსდ-ს მიერ ასევე უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილებისას, შესაბამისობაში მოსვლისა და სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირების ვადები (მაგ. დისტანციური სწავლების მეთოდების დამატება საგანმანათლებლო პროგრამაში და სხვა).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს #01/87 ბრძანება „ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები“.
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის #7488 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“;
3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები (#26 17.12.2021, #25 01.12.2021)
4. შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება #7660 „შპს ორიენტრში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის #01/29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
5. კვლევის ანგარიშები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის კმაყოფილების, მოდულების განხორციელების, დისტანციური სწავლების კვლევაების შესახებ)
6. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პსდ-ს მოთხოვნების თანახმად შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 21 სასწავლო თვე, 84 სასწავლო კვირა, ხოლო არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 26 სასწავლო თვე, 104 სასწავლო კვირა.

საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ-ში არსებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურებით. COVID-19 პანდემიის პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე, კოლეჯმა პროფესიული სტუდენტების და განმახორციელებელი პირების საჭიროებების (ინტერნეტთან წვდომა, IT უნარების ფლობა, დისტანციური სწავლების პლატფორმების მართვის ფლობა) შესახებ ელექტრონული გამოკითხვა განახორციელა. პსდ-ს მიერ განხორციელდა ასევე შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძებები. დაწესებულების მიერ, პარტნიორ კოლეჯებთან ერთობლივად, იდენტიფიცირდა პროგრამის/სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობები. ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, დაემატა სწავლების დისტანციური მეთოდი, ელექტრონული სასწავლო რესურსი). დისტანციური სწავლების შუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით შეძენილი იქნა Zoom-ის ფასიანი სერვისი. ცვლილებები განხორციელდა და დაიგეგმა ისე, რომ სასწავლო პროგრამის განხორციელების ვადები არ გახანგრძლივებულა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად დისტანციური სწავლებისა, შედეგების დადასტურება ხდება, ადგილზე სასწავლებელში.

პსდ-ს აქვს ისგ-ს შემუშავების პრაქტიკა. საჭიროების შემთხვევაში პსდ ადგენს პროფესიულ სტუდენტის ჩართულობით, მის საჭიროებაზე მორგებულ ისგ-ს, რომლშიც ასახულია მოდულების, პროფესიული მასწავლებლების, საკონტაქტო საათების რაოდენობის და განხორციელების გრაფიკის შესახებ ინფორმაცია. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პსდ-ში შემუშავებული ისგ-ის დოკუმენტაცია. ისგ შემუშავებულია პსდ-ს რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან , ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დისტანციური სწავლება და ელრესურსები. ასევე მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინეტრაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, გონებრივი იერიში, ფოტო-ვიდეო მასალების ჩვენება-განხილვა, ჯგუფური სამუშაო, პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა, როლური თამაში, პრაქტიკული დავალება და სხვ. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია დარგის ლიდერი კომპანია, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულ პროექტებში (საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა/ცვლილებების ინიცირება, უნიფიცირებული შეფასების ინსტრუმნეტების შემუშავება).

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პსდ-ს რეგულაციებით შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიულ სტუდნეტები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატისის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზებით, ასევე დეტალურად აქვს იდენტიფიცირებული შშმ პირების არსებობების შემთხვევაში, მათ იდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის სედგების მიღწევის სესაძლებლობები (მუხლები: 29, 30, 38, 48). ამ მიზნით, ასევე გამოყოფს სივრცეებს/საათებს ჯგუფური და დამატებითი მეცადინეობებისთვის. შეხვედრები იგეგმება მასწავლბელებთან ონლაინ, დამატებითი კოსულტაციების მიწოდების მიზნით, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც.

ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი იქნა მობილობის, სტატუსის აღდგენის ამსახველი დოკუმენტაცია და ამ გარემოებიდან გამომდინარე შემუშავებული ისგ. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებზე/საჭიროებებზე პსდ-ს ადმინისტრაციის ორიენტირება. (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ასვე 2.4.1 (2) და 3.1.1. (5) ინდიკატორების აღწერა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. ***პსდ-ს თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან.*** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „პსპ ფარმასთან“ (22.11.2021, N2018/06) ხელშეკრულებით დარეგულირებულია: ხელშეკრულების საგნის შესახებ ინფორმაცია, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების (8 პროფესიული მოდული) და სწავლის შედეგების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა (წელიწადში 120 პროფესიული სტუდენტის მიღება), მატერიალურ - ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც გატანილია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად პრაქტიკის ბაზაზე. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ იცნობსნ ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნებს.

პსდ-ს **თანამშრომლობა, პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, დასტურდება როგორც ხელშეკრულებით/შეთანხმებებით, ისე ფაქტობრივი გარემოებით.**

7. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კავლიფიკაციის პირებისა და სამსახურების არსებობა. კოლეჯში ფუქციონირებს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური (2 პერსონალი) და შრომის უსაფრთოების სამსახური (2 პირი). შრომის უსაფრთოების სამსახურის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და შემუშავებულია პრევენციული ღონისძებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ-ში დაცულია სასწავლო/სამუშაო პროცესი განხორციელებისას COVID-რეგულაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დაწესებულებაში AC გარემოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დამუხტული ცეცხლმაქრები), გამოკრულია უსაფრთხოების წესები ქიმიურ ლაბორატორიაში, ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები, უბედური შემთხვევის დროს მოქმედების წესები. პროგრამის დარგობრივ კაბინეტებში განთავსებულია გამწოვი კარადა. დაწესებულება სისტემატიურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების შეგროვებას. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ) შპს ეკო ლაინთან (01.07.2021 ს.კ. 405357867), რომელიც უზრუნველყოფს - სამედიცინო არასახიფათო და სახიფათო (გარდა რადიაციული) ნარჩენების გაუვნებელყოფის სამუშაოებს (სპეციალურ კონტეინერებში განთავსება, სპეც. მანქანით ტრანსპორტირება საბოლოო დანიშნულებამდე). პსდ-ს შემუშავებული აქვს „ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხო წესები“, რომელიც მოცავს: ქიმიურ ლაბორატორიასა და ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესებს, აგრეთვე უბედური შემთხვევების დროს რეაგირების/პირველადი დახმარების, ქიმიური/ფარმაცევტული ნარჩენების მართვის და ხანძარსაწინააღმდეგო წესებს. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 3 ნოემბრის #01/138 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება №0622, 31/01/2022) „სასწავლო პროცესის მრეგულირებელი წესი“;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მოხსენებითი ბარათი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის საჭიროებასთან დაკავშირებით (N03/22, 03.12.2020) და შემუშავებული ისგ;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დანართებითურთ;
4. კვლევის ანგარიში-ელექტრონული/დისტანციური სწავლების შეფასება პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების ამსწავლებლების მიერ
5. ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან - შპს „პსპ ფარმა“ (#09/75, 22.11.2018, შეთანხმება #1 24.04.2019, შეთანხმება #2 22.11.2021) ;
6. ხელშეკრულება (ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ) შპს „ეკო ლაინთან“ (01.07.2021 ს.კ. 405357867);
7. შპს ორიენტირის დირექტორის24.05.2021 #01/51 ბრძანებით დამტკიცებული ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხო წესებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

8. უსაფრთხოების საშუალებათა/პერსონალური დაცვის საშუალებათა უზრუნველყოფის (შესყიდვის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
9. შპს ორიენტირის დირექტორის №7468 29/11/2021 ბრძანება შპს ორიენტირის საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
10. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემას (თავი IV), სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია და განისაზღვრება 10 კალენდარული დღით. ამავე წესის თანახმად, განმეორებითი შეფასების დაადსტურება, პროგრამის ბოლოს დაგეგმილი მოდულებისთვის, შესაძლებელია, პროგრამის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში. თუმცა გაურკვევლი ჩანაწერია ამავე მუხლში (44.8.) სადაც წერია, რომ “სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება“. დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტის შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება/ამოღება.

რეგულაციით, განმეორებითი შეფასებისთვის, დაწესებულება შეფასების სხვა ინსტრუმენტს. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. წესის თანახმად შეფასების შედეგების ადმინისტრაციისთვის მიწოდება ხდება შეფასებიდან ერთ სამუშაო დღეში. პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს ადმინსიტრაციას. პსდ-ს შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით, რამდენად არის პსდ-ს შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები დარგის ექსპერტის შეფასებით იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არა ობიექტური შეფასების ფაქტი. პროფესიულმა სტუდნეტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა რეგულაციების შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება.

2. ***<u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს,</u>*** რომელიც ხორციელდება პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის №01/52 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, პსდ-ს შესაბამისი ადამანური რესუსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა (რეესტრი), რომელიც აფასებს შემდეგ გარემოებებს: „დამწყები“ და „სანდო“ პროფესიული მასწავლებლების/პრაქტიკის ხელმძღვანელების შეფასებას, ასევე შემთხვევები, როდესაც შეფასებისას გამოყენებულია ბევრი პრაქტიკული დავალება ან ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად რამდენიმე სწავლის შედეგი ფასდება. გამოვლენილი რისკ-ფაქტორები ფასდება 4 ბალიანი სისტემით ე.წ. „კოეფიციენტით“ (დაბალი - 1ქ; საშუალო - 2ქ; მაღალი - 3ქ; კრიტიკული - 4ქ.).

<u>გამომდინარე იქიდან, რომ პსდ-ს მიერ განსაზღვრული წესით, რისკ-ფაქტორების გამოვლენის რეესტრმა უნდა მოიცვას დაწესებულების ყველა განმახორციელებელი პირისა და შეფასების ინსტრუმენტის ანალიზი, სასურველია თითოეული გარემოებისთვის ცალ-ცალკე დოკუმენტი შეიქმნას. ასევე პროცედურაში განსაზღვრულია ვერიფიკაციით უარყოფითი შეფასების დადგომის გარემოებაც (პ.8.3.), რომლის დროსაც პსდ-ს მიერ დამატებით მოხდება შერჩევითი შეფასება განსხვავებული პრინციპით, მაგ. სტუდენტების სიით ანბანის პირველი 10 ასო</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFEraser Free

ან სხვა, რაც ექსპერტთა აზრით, ვერ იქნება ეფექტური, ამასთან პროცესის დანერგვის საწყის ეტაპზე, სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს ტოტალური კონტროლი და უარყოფითი შეფასების დადგომისას, შემოწმებული იქნეს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%. პროცედურით განსაზღვრული არაა რისკების იდენტიფიცირებისას, გარემოების შეფასებისას, რომელი კოეფიციენტისას რა მოცულობის დოკუმენტაცია იქნება შეფასებული. ასევე არაა განსაზღვრული, რა მოცულობის მტკიცებულებები/შეფასების ინსტრუმენტები უნდა შემოწმდეს, რომ თავად ვერიფიკაციის პროცესი ჩაითვალოს ვალიდურად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ფარგლებში ვერიფიკაცია ჩატარებულია მოდულების: „მიკრობიოლოგიის საფუძვლები“, „მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“, „ბიოქიმია“ შეფასების პროცესზე. ვერიფიკაცია შიდა რეგულაციის თანახმად განხორციელდა სპეციალურად შექმნილი ჯგუფის მიერ, რომელშიც მოწვეული იყო პარტნიორი კოლეჯის წარმოამდგენელი, დარგის გარე ვერიფიკატორი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო, ასევე, ვერიფიკაციის ჯგუფების სხდომის ოქმები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შესახებ, შეფასების პროცესების განჭვირვალობისა და ობიექტურობის დასადგენად. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია ჯგუფის რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტებში ტესტური დავალებების მრავალფეროვნებასა და რაოდენობის შესახებ.

ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიზიტის დროს გასაუბრებოდნენ ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს, რომლებმაც დაადსტურეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია. პსდ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსისა და პროგრამის ხელმძრავნელის განცხადებით, ამ ეტაპისთვის დაწესებულება იყენებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრის მიერ შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტებს, რომლის შემუშავების ჯგუფშიც ჩართული იყო პროგრამის ხელმძღვანელი.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

- *ვერიფიკაციის მექანიზმებით განსაზღვრული გარემოებებისთვის, სასურველია შემუშავდეს ცალ-ცალკე დოკუმენტი.*
- *ვერიფიკაციის პროცესში (მით უფრო დანერგვის ეტაპზე), უარყოფითი შეფასების გარემოების დადგომისას, სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%-ის შემოწმება;*
- *ვერიფიკაციის პროცესის ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვროს რისკების იდენტიფიცირებისას, სხვადასხვა გარემოებების კონკრეტული კოეფიციენტით შეფასებისას, რა მოცულობის დოკუმენტაცია უნდა იქნეს შეფასებული. ანალოგიურად, განისაზღვროს ვერიფიკაციის პროცესი ვალიდურობის ინდიკატორი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

3. პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 44). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება უვადოდ (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 49). შეფასების ინსტრუმენტები, უწყისები იდენტიფიცირებულია, აღირიცხება სპეციალურ რეესტრებში.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფში, პროფესიული სტუდენტის თანხმობით, ხოლო წერილობითი ან/და ონლაინ შეფასებისას უკუკავშირი ხორციელდება დამატებით პირად ელფოსტაზე შეტყობინებით. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. მიღებული შედეგების მიხედვით სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. უკუკავშირის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ ონლაინ კონსულტაციებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 'სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" 03.11.2021, ბრძანება #01/138
2. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია 15.12.2021 ბრძანება #7927
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის #01/52 ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმები;
4. შიდა ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი მასალა (ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, ჯგუფის სხდომის ოქმები, ფოტო მასალა)
5. ვერიფიკაცის დასკვნა, ხარისიხს მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი (09.12.2021)
6. სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
7. ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კბილის სატექნიკო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ც. დადიანის ქ. №26
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFEraser.Free

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „ კბილის სატექნიკო საქმე „

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული აქვს პროცედურა „შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“ (ბრძანება #07488, 29.11.2021), რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

უმღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, პსდ-ს რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფები. ე.წ. დაგეგმვის ჯგუფი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის,კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი, დარგის წარმომადგენელი კოლეჯიდან ან/და მოწვეული, ფინანსური მენეჯერი) ახდენს პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენას. მიზანშეწონილობის არგუმენტი მისაღებია თუ:

- არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით;
- პსდ აფართოებს მომსახურების/პროგრამების სპექტრს პროფილური მიმართულებით;
- პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების/პიროვნული განვითარების/პიროვნების სოციალურ ინტეგრაციის შესაძლებლობას.

პროცედურით არგუმენტირებისთვის გამოყენებული კვლევების შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად ასევე მეორად სანდო წყაროებს. არგუმენტირების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, და ქმნის სამუშაო ჯგუფს, პროგრამის ადაპტირება-შემუშავებისთვის, რომელიც უშუალოდ მუშაობს პროგრამის ადაპტირებაზე, სასწავლო გეგმის შექმნაზე, სასწავლო რესურსის დამუშავებასა და სხვ. პროგრამის პროექტს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დასამტკიცებლად წარუდგენს პსდ-ს დირექტორს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შპს ორიენტირის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურეობრივი ბარათი (17.03.2022 წ. #1827), რომელიც წარმოადგენს პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. დოკუმენტი ეყრდნობა როგორც პსდ-ს ისე მეორად კვლევას, რომელშიც იკვეთება კბილის სატექნიკო საქმით დაინტერესება და კვალიფიკაციური კადრის ნაკლებობა შრომის ბაზარზე. სამსახურებრივი ბარათი ასახავს ასევე პსდ-ს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს, რომლითაც ირკვევა, რომ 2021 წლის კურდამთავრებულთა 74% დასაქმებულია მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად. პროგრამის განხორციელების არგუმენტია,ასევე კოლეჯის ტრადიცია და ანალოგიურ პროგრამების განხორციელების 30 წლიანი გამოცდილება. დაწესებულება დაარსების დღიდან ამზადებს კბილის ტექნიკოსებს:

- 1992 - 2000 წწ ახორციელებდა საგანმანათლებლო პროგრამას „ორთოპედიული სტომატოლოგია“
- 2007-2016 წწ - კბილის ტექნიკოსი-ის IV-V საფეხურის ე.წ. საგნობრივ პროგრამებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“ შემუშავებულია პსდ-ს მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

დაწესებულების მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის შემუშავების გადაწყვეტილება/ინიციატივა შესაძლებლია მოდიოდეს თავად დაწესებულების დირექტორისგან, ან უკვე განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე. სასურველია მეთოდოლოგიაში უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლო შემთხვევები. ამასთან დოკუმენტი მოიცავს პუნქტებს, რომელიც ასახავს პროგრამის ცვლილებისას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და გაუქმების შემთხვევაში მობილობის პროცედურის შესახებ შინაარსს. აღნიშნული საკითხები რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც. სასურველია პროფესიული სტუდენტის მომსახურების/უფლებების შესახებ პუნქტები ამოღებული იქნეს დოკუმენტიდან და ის მხოლოდ მოიცავდეს სათაურის შესაბამის შინაარს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი).

<u>პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია</u>
დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“, აისახოს აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებული შინაარსი. ასევე სასურველია დოკუმენტში ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლებლობები.

2. საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (ბრძანებით# 01/138, 03.11.2021 თავი 3.). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კბილის სატექნიკო საქმე“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და დასტურდება პსდ-ს დოკუმენტაციით. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ პროგრამაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე „კბილის სატექნიკო საქმე“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. ***პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით*** (პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის ბრძანება #01/121), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 3 დეკემბრის №7650 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ორიენტირის ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, მათ შორის კბილის სატექნიკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. კოლეჯს მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დათვლილი აქვს წლების მიხედვით და ჯამში 2 წელზე შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს. თითოეულ წელს მიიღებს 15 პროფესიულ სტუდენტს.

კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია შემდეგი აუდიტორიები:
-C გარემო სატექნიკო ლაბორატორია -აუდიტორია #18, პროფესიული სტუდენტისთვის 15 სამუშაო ადგილით
-A გარემო - აუდიტორია #12, პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილით
-B გარემო - აუდიტორია #13, პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილით

პსდ-ს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ორ პარტნიორ სტომატოლოგიურ კლინიკასთან:
1. შპს დენტალ ლაბი (15.11.2021) - 15 პროფესიული სტუდენტი ერთ ნაკადზე;
2. შპს დენტა (28.11.2021 #09/80) - 15 პროფესიული სტუდენტი ერთ ნაკადზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დარგობრივი ექსპერტის გადაწყვეტილებით შეირჩა პარტნიორი დაწესებულება შპს „დენტალ ლაბი“, რომლის წარმომადგენელთანაც გასაუბრება განხორციელდა ონლაინ. კომპანია გამოხატავს მზაობას, რომ მიიღებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

4. პსდ-ს მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ვიდეო ზარის გამოყენებით, შემოწმებული იქნა პარტნიორი ორგანიზაციის რესურსი, რომლითაც დასტურდება, რომ შერჩეული სტომატოლოგიური კლინკა სრულად ფარავს საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მოდულების სწავლის შედეგების შინაარსს.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ, 2021 წლის 12 აპრილის #01/33 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია ბრძანება №7661, 04.12.2021). პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, პსდ-ს წესდების (02.11.2021) 5.4 პუნქტითა და დებულების 7.3. პუნქტით (ბრძანება #7656 04.12.2021)

3.საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „კბილის სატექნიკო საქმე“, შესაბამისია ჩარჩო დოკუმენტით და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და მისაღწევი კომპეტენციების შინაარსის. აქედან გამომდინარე, სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი.

4.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „დენტალური საქმე“ (09110-პ). დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ სწავლების კომპონენტსაც. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 85 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 16,5 სასწავლო თვე, 66 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 115 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 21,5 სასწავლო თვე, 86 სასწავლო კვირა).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. თუმცა პროგრამის მე-15 პუნქტი, რომელიც დოკუმენტის შემუშავების საფუძვლებზე მითითებას წარმოადგენს, პსდ-ს მიერ ადაპტირებულია შემდეგი სახით: საგანმანათლებლო პროგრამის მე-15 პუნქტი *„სამართლებრივი საფუძვლები ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებისა, რომლის მიხედვითაც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა“, მითითებულია საგანმანათლბელო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძვლები.* გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის შემუშავების საფუძველს ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს, უნდა მიეთითოს პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმის“ შემუშავების საფუძვლები (ჩარჩო დოკუმენტი და სხვა შესაძლო შიდა დოკუმენტი) და არა თავად ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების საფუძვლები.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

კორექტირდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მუხლი, დოკუმენტის შემუშავების საფუძვლების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

1. შპს ორიენტირის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესი“ (ბრძანება №7488,29.11.2021)
2. სასწავლო პროცესის მრეგულირებელი წესი (ბრძანება # 01/138 03.11.2021;ცვლილება №0622, 31/01/2022)
3. შპს ორიენტირის დებულება (ბრძანება #7656 , 04.12.2021)
4. შპს ორიენტირის მისია;
5. დაწესებულების წესდება;
6. „შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 7 წლიანი სტრატეგიული, ერთწლიანი სამოქმედო გეგმების და 2020-2021 სასწავლო წლის საპროგნოზო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 29 ივლისის N01/57 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის N01/152 ბრძანება;
7. „2021-2022 წწ სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 04 აგვისტოს N01/83 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 15 ნოემბრის N01/154 ბრძანება;
8. შპს ორიენტირის დირექტორის 2019 წლის 10 მაისი N01/29 ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ. ცვლილება: 2021 წლის 04 დეკემბერი N 7660
9. პროგრამის დამტკიცების შესახებ. ცვლილება №01/62 21.06.2021. ბოლო ცვლილება - N7660, 04.12.2021;
10. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
11. ,,შპს ორიენტირის ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 დეკემბრის N 7650 ბრძანება;
12. „შპს ორიენტირში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების გადამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის N 01/121 ბრძანება;
13. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
14. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან - შპს დენტალ ლაბი (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 15.11.2021); შპს დენტა (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 28.11.2021);
15. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:
☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;***

შპს ორიენტირი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კბილის სატექნიკო საქმის“ თეორიულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 26, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

- A გარემო აუდიტორიები #12, პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილით. აუდიტორია გამოიყენება ასევე „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნითაც. კვოტის გაანგარიშების დოკუმენტით განმარტებულია, რომ „კბილის სატექნიკო საქმის“ პროგრამის თეორიული კომპონენტისთვის აუდიტორია იტვირთება კვირაში მხოლოდ 3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დღე, ხოლო დანარჩენი დღეები ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც ხორციელდება კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში. ამასთან „საქთნო განათლებისთვის“ დაწესებულება იყენებს ასევე სხვა A გარემოსაც. აღნიშნული დასტურდება ასევე სასწავლო ცხრილებით. აუდიტორების განსაზღვრული კვოტის და პროგრამების საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით გამტარუნარიანია.

- C გარემო - აუდიტორია #18 „კბილის სატექნიკო ლაბორატორია” რომელიც აღჭურვილია: 15 სამუშაო სატექნიკო მაგიდითა და ინდივიდუალური განათებით. სატექნიკო ლაბორატორია უზრუნველყოფილია პროგრამით (დანართი N34) განსაზღვრული მატერიალური რესურსით, ზღვრული რაოდენობის შესაბამისად.
- B გარემო/კომპიუტერული კლასი - აუდიტორია#13 პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა, გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსური სერვისები“, რომელიც საჭიროებს პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლას, ხორციელდება დარგობრივ კაბინეტში #16. ხოლო კოლეჯის B გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის განხორციელებისთვის.

ყველა აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).

პსდ-ს გაფორებული აქვს ასევე ხელშეკრულებები სტომატოლოგიურ კლინკებთან - შპს „დენტა“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 28.11.2021), შპს ,,დენტალაბი’’ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 15.11.2021). კლინიკები აცხადებენ მზაობას განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თითოეულ ნაკადზე მიიღონ 15-15 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულებას თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებლი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია.

დაწესებულების მიერ *პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კბილის სატექნიკო საქმე“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს .* ((15+15) თითოეულ წელს - 15 პროფესიული სტუდენტი).

ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა 26 აქტიური პროფესიული სტუდენტი, სტატუსი შეჩერებული აქვს სულ 2 პირს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სტომატოლოგიური კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 25 პირი, მათ შორის 10 ზოგადი მოდულების განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 15, მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი.

ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა „კბილის სატექნიკო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. შედგა გასაუბრება ,,პირის ღრუს ანატომიური სტრუქტურის იდენტიფიცირება'', ,, კბილების ძერწვა და მოდელირება'', მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის დამზადება'', ,,ცირკონოკერამიკა“ მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ტრენინგები, შეფასების სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავალებლები ჩართულები იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კბილის სატექნიკო საქმე'' მოდულების განმახორციელებელ პირებად აყვანილი ჰყავს ასევე საკუთარი კურსდამთავრებული კბილის ტექნიკოსები.

4. ***საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი,*** რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კბილის სატექნიკო საქმის“ პროგრამის ხელმძღვანელი კვალიფიკაციით არის ექიმი სტომატოლოგი, ნებადართული საქმიანობა „ორთოპედიული სტომატოლოგია“, დარგში მუშაობისა გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროფესიული განათლებლის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებაც (2007 წლიდან-დღემდე). პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან შესაბამისობა, რომელიც გაწერილია პსდ-ს დებულების 24-ე მუხლით.

პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში, პერიოდულად ესწრება მეცადინეობებზე, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნავს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, ასევე დარგობრივი კაბინეტების კომპიუტერებში. დაწესებულების ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio”, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები (რუბრიკაში „ელკატეგორია“).

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადაამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული ისე მატერიალური სახით. მოდულისთვის „კად-კამი და სინთერიზაცია“ სასწავლო რესურსებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

მითითებულია მხოლოდ ვიდეო მასალები, პროფესიული მასწავლებელთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოდულისათვის მასწავლებლებს შექმნილი აქვთ ე.წ. „რიდერები“, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ, როგორც ელექტრონული ისე მატერიალური სახით.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

- სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ, მოდულისთვის „კად კამი და სინთერიზაცია“, მომზადებული სასწავლო რესურსი (რიდერი) მითითებული იყოს მოდულში და ასევე განთავსდეს ბიბლიოთეკაში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

პსდ უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. პსდ-ს შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, როგორიცაა ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება და სხვა („სასწავლო პროცესის მარეგურილებელ წესი“ მუხლები 30, 48). ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ისგ-ს შედგენის პროცედურა. წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიული სტუდენტის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

გადახდილი სწავლის საფასური და საორგანიზაციო შემოსავალი (დიპლომის საფასური და სხვა). პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, სასწავლო მასალები და კომუნალური ხარჯები, რეკლამისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 10 პროფესიული სტუდენტი (51 200 ₾). პროგრამისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. თუმცა სასურველია პსდ-ს ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშნელოვანი მუხლები, როგორიცაა პროგრამის/განმახორციელებელი პირების/სასწავლო რესურსების განვითარება-გაუმჯობესებისთვის გასაწევი ხარჯები. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების პროცედურა, რომლითაც დარეგულირდება ხარჯებისა და მათი დასაშვები წილის ოდენობა/თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტში, რაც ფინანსურად მეტად მდგრადს გახდის პროგრამის განხორციელებას.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

სასურველია შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც ასევე აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“ თანდართული დოკუმენტაციით
2. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
4. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
5. საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
7. დირექტორის №7466 29/11/2021 ბრძანებით დამტკიცებული შპს ორიენტირის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
8. ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
9. შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის #7656 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების დებულება;
10. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან - შპს დენტალ ლაბი (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 15.11.2021); შპს დენტა (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 28.11.2021);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

11. პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების ინსტრუმენტებით (თვითშეფასების კითხვარები, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების ნაწილში და სხვა), კვლევის შედეგებით;
12. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პარტნიორებთან, პროფესიულ სტუდენტებთან პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის ***<u>შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან,</u>*** პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პსდ-ს ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით (ბრძანება #01/87, 13.08.2021), ასევე შემუშავებულია კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია (ბრძ.#01/51, 20.05.2021), სადაც მითითებულია კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები, სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინისტრციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ობიექტი განმახორციელებელი პირი/ხელმძრვანელი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე გამოკითხვის პერიოდულობა/სიხშირე (პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ; პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების კვლევა - წელიწადში ერთხელ; კურსდამთავრებულთა დასაქმებლის მაჩვენებლის კვლევა - სწავლის დასრულებიდან 1 წლის შემდეგ). კითხვარების ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილი საჭიროებების/ინიციატივების შემთხვევაში, დაწესებულება გეგმავს შესაბამის რეაგირების ღონისძიებებს. კვლევის შედგები/ანგარიშები საჯაროა, გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

ხარისხის მექანიზმების თანხმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წამომადგენელი/წარმომადგენლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. გეგმა ითვალისწინებს: სასწავლო პროცესზე დასწრებას, დაკვირვების კითხვარების შეგროვება-ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები ფორმდება სხდომის ოქმით, მოხსენებითი ბარათებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება, ჯგუფის წევრები აგროვებენ ინფორმაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისიხს ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

პსდ-ს პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

2. ***პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.***

გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორცილებეული ცვლილებების შესახებ გამოცემული ბრძანებები. ცვლილება განხორციელბულია შიდა პროცედურის დაცვით. თუმცა გამოცემული ბრძანებით (#07660 04.12.2021) რთულია იდენტიფიცირება რა ცვლილებები განხორციელდა. პსდ-მ უნდა უზრუნველყოს ბრძანების შინაარსის ინფორმაციულობა და მიკვლევადობა (აღნიშნული საკითხის შესახებ რეკომენდაცია გაიცა მე-5 სტანდარტთან, საქმისწარმოების კომპონენტის ფარგლებში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პსდ-ს მიერ ასევე უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილებისას, შესაბამისობაში მოსვლისა და სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირების ვადები (მაგ. დისტანციური სწავლების მეთოდების დამატება საგანმანათლებლო პროგრამაში და სხვა).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს #01/87 ბრძანება „ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები“.
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის #7488 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“;
3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები (#26 17.12.2021, #25 01.12.2021)
4. შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება #7660 „შპს ორიენტრში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის #01/29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
5. კვლევის ანგარიშები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის კმაყოფილების, მოდულების განხორციელების, დისტანციური სწავლების კვლევაების შესახებ)
6. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კბილის სატექნიკო საქმე“ პსდ-ს მოთხოვნების თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 16,5 სასწავლო თვე, 66 სასწავლო კვირა (85 კრედიტი), ხოლო არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 21,5 სასწავლო თვე, 86 სასწავლო კვირა (115 კრედიტი).

   საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

   ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ-ში არსებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

COVID-19 პანდემიის პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე, კოლეჯმა პროფესიული სტუდენტების და განმახორციელებელი პირების საჭიროებების (ინტერნეტთან წვდომა, IT უნარების ფლობა, დისტანციური სწავლების პლატფორმების მართვის ფლობა) შესახებ ელექტრონული გამოკითხვა განახორციელა. პსდ-ს მიერ განხორციელდა ასევე შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძებები. დაწესებულების მიერ, პარტნიორ კოლეჯებთან ერთობლივად, იდენტიფიცირდა პროგრამის/სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობები. ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, დაემატა სწავლების დისტანციური მეთოდი, ელექტრონული სასწავლო რესურსი). დისტანციური სწავლების შეუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით შეძენილი იქნა Zoom-ის ფასიანი სერვისი. ცვლილებები განხორციელდა და დაიგეგმა ისე, რომ სასწავლო პროგრამის განხორციელების ვადები არ გახანგრძლივებულა.

პსდ-ს აქვს ისგ-ს შემუშავების პრაქტიკა. საჭიროების შემთხვევაში პსდ ადგენს პროფესიულ სტუდენტის ჩართულობით, მის საჭიროებაზე მორგებულ ისგ-ს, რომლშიც ასახულია მოდულების, პროფესიული მასწავლებლების, საკონტაქტო საათების რაოდენობის და განხორციელების გრაფიკის შესახებ ინფორმაცია. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პსდ-ში შემუშავებული ისგ-ის დოკუმენტაცია. ისგ შემუშავებულია პსდ-ს რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

<u>პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დისტანციური სწავლება და ელრესურსები. ასევე მოდულებში გამოყენებულია სწავლების მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული დავალების შესრულება და სხვ. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია კლინიკები თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულ პროექტებში (საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა/ცვლილებების ინიცირება, უნიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება).

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

საგანმანათლებლო პროგრამის „კბილის სატექნიკო საქმე“ სასურველია გადაიხედოს მოდულები და სწავლების მეთოდების მრავალფეროვნების მიზნით დაემატოს სწავლის შედეგების შინაარსიდან გამომდინარე, შემთხვევის ანალიზი/სიტუაციური ამოცანა, სემინარი და სხვა.

4. პსდ-ს რეგულაციებით შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიულ სტუდნეტები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატისის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზებით, ასევე დეტალურად აქვს იდენტიფიცირებული შშმ პირების არსებობების შემთხვევაში, მათ იდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის სედგების მიღწევის სესაძლებლობები (მუხლები: 29, 30, 38, 48). ამ მიზნით, ასევე გამოყოფს სივრცეებს/საათებს ჯგუფური და დამატებითი მეცადინეობებისთვის. შეხვედრები იგეგმება მასწავლბელებთან ონლაინ, დამატებითი კოსულტაციების მიწოდების მიზნით, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც.

ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი იქნა მობილობის, სტატუსის აღდგენის ამსახველი დოკუმენტაცია და ამ გარემოებიდან გამომდინარე შემუშავებული ისგ. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებზე/საჭიროებებზე პსდ-ს ადმინისტრაციის ორიენტირება (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ასვე 2.4.1 (2) და 3.1.1. (5) ინდიკატორების აღწერა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. *პსდ-ს თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან.* პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „დენტალ ლაბი“ და შპს „დენტა“. ხელშეკრულებებით დარეგულირებულია: ხელშეკრულების საგნის შესახებ ინფორმაცია, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, გატანილი მოდულების და სწავლის შედეგის დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, მატერიალურ - ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას.

   ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ იცნობენ ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნებს.

   პსდ-ს თანამშრომლობა, პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, დასტურდება როგორც ხელშეკრულებით/შეთანხმებებით, ისე ფაქტობრივი გარემოებით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კავლიფიკაციის პირებისა და სამსახურების არსებობა. კოლეჯში ფუქციონირებს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური (2 პერსონალი) და შრომის უსაფრთოების სამსახური (2 პირი). შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და შემუშავებულია პრევენციული ღონისძებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ-ში დაცულია სასწავლო/სამუშაო პროცესი განხორციელებისას COVID-რეგულაციები.

   დაწესებულებაში AC გარემოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დამუხტული ცეცხლმაქრები), დარგობრივ კაბინეტებში მოწყობილია სავენტილაციო სისტემა. დაწესებულება სისტემატიურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა შეძენას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ) შპს ეკო ლაინთან (01.07.2021 ს.კ. 405357867), რომელიც უზრუნველყოფს - სამედიცინო არასახიფათო და სახიფათო (გარდა რადიაციული) ნარჩენების გაუვნებელყოფის სამუშაოებს (სპეციალურ კონტეინერებში განთავსება, სპეც. მანქანით ტრანსპორტირება საბოლოო დანიშნულებამდე).

ექსპერტების მიერ გამოთხოვილი იქნა კბილის ტექნიკოსის დარგობრივი კაბინეტში მუშაობის უსაფრთხოების წესები, პედაგოგის მიერ განმარტებული იქნა, რომ პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ შესავალი და ყველა პრაქტიკული სამუშაოს წინ ინსტრუქტაჟი. რაც ასევე დაადასტურებს პროფესიულმა სტუდენტებმა. თუმცა კაბინეტში სამუშაო ადგილებზე მოწყობილია გაზის სანათურები ღია ცეცხლთან მუშაობის უზრუნველსაყოფად, ამასთან სამუშაოების შესრულებისას სტუდენტებს მუშაობა უწევთ მჭრელ ინსტრუმენტებთან, კაბინეტში არაა განთავსებული უსაფრთხოების გააფრთხილებელი ნიშნები/ინსტრუქციები. შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებს მიეცათ რეკომენდაცია შემუშავდეს დარგობრივი კაბნეტისთვის უსაფრთხოების წესები, პსდ-ს რისკების საერთო გეგმაში აისახოს დარგობრივი კაბინეტის რისკები და პრევენციული ღონისძიებები. კაბინეტში განთავსდეს სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით უსაფრთხოების ნიშნები/ინსტრუქციები.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

- *შემუშავდეს კბილის ტექნიკოსის კაბინეტში მუშაობის უსაფრთხოების წესები*
- *პსდ-ს რისკების საერთო გეგმაში აისახოს დარგობრივი კაბინეტის რისკებ/პრევენციული ღონისძიებები.*
- *კაბინეტში სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით განთავსდეს სამუშაოების შესრულებისთვის უსაფრთხოების ნიშნები/ინსტრუქციები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „სასწავლო პროცესის მრეგულირებელი წესი“ (03.11. 2021 ბრძანება #01/138)
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“
3. ისგ შემუშავების დოკუმენტაცია
4. მიდგომები დისტანციური სწავლების შესახებ
5. დისტანციური სწავლების შეფასების კვლევის ანგარიში
6. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან
7. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და შრომის უსაფრთხოების სამსახურების პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
8. რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გეგმები
9. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა

1. პსდ-ს პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემას (თავი IV), სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია და განისაზღვრება 10 კალენდარული დღით. ამავე წესის თანახმად, განმეორებითი შეფასების დაადსტურება, პროგრამის ბოლოს დაგეგმილი მოდულებისთვის, შესაძლებელია, პროგრამის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში. თუმცა გაურკვევლი ჩანაწერია ამავე მუხლში (44.8.) სადაც წერია, რომ “სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება“. დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტის შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება/ამოღება.

რეგულაციით, განმეორებითი შეფასებისთვის, დაწესებულება შეფასების სხვა ინსტრუმენტს. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. წესის თანახმად შეფასების შედეგების ადმინისტრაციისთვის მიწოდება ხდება შეფასებიდან ერთ სამუშაო დღეში. პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს ადმინსიტრაციას. პსდ-ს შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით, რამდენად არის პსდ-ს შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები დარგის ექსპერტის შეფასებით იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არა ობიექტური შეფასების ფაქტი. პროფესიულმა სტუდნეტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა რეგულაციების შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება.

2. ***<u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს,</u>*** რომელიც ხორციელდება პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის №01/52 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, პსდ-ს შესაბამისი ადამანური რესუსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა (რეესტრი), რომელიც აფასებს შემდეგ გარემოებებს: „დამწყები“ და „სანდო“ პროფესიული მასწავლებლების/პრაქტიკის ხელმძღვანელების შეფასებას, ასევე შემთხვევები, როდესაც შეფასებისას გამოყენებულია ბევრი პრაქტიკული დავალება ან ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად რამდენიმე სწავლის შედეგი ფასდება. გამოვლენილი რისკ-ფაქტორები ფასდება 4 ბალიანი სისტემით ე.წ. „კოეფიციენტით“ (დაბალი - 1ქ; საშუალო - 2ქ; მაღალი - 3ქ; კრიტიკული - 4ქ.).

<u>გამომდინარე იქიდან, რომ პსდ-ს მიერ განსაზღვრული ჩვენით, რისკ-ფაქტორების გამოვლენის რეესტრმა უნდა მოიცვას დაწესებულების ყველა განმახორციელებელი პირისა და შეფასების ინსტრუმენტის ანალიზი, სასურველია თითოეული გარემოებისთვის ცალ-ცალკე</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დოკუმენტი შეიქმნას. ასევე პროცედურაში განსაზღვრულია ვერიფიკაციით უარყოფითი შეფასების დადგომის გარემოებაც (პ.8.3.), რომლის დროსაც პსდ-ს მიერ დამატებით მოხდება შერჩევითი შეფასება განსხვავებული პრინციპით, მაგ. სტუდენტების სიით ანბანის პირველი 10 ასო ან სხვა, რაც ექსპერტთა აზრით, ვერ იქნება ეფექტური, ამასთან პროცესის დანერგვის საწყის ეტაპზე, სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს ტოტალური კონტროლი და უარყოფითი შეფასების დადგომისას, შემოწმებული იქნეს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%.

პროცედურით განსაზღვრული არაა რისკების იდენტიფიცრებისას, გარემოების შეფასებისას, რომელი კოეფიციენტისას რა მოცულობის დოკუმენტაცია იქნება შეფასებული. ასევე არაა განსაზღვრული, რა მოცულობის მტკიცებულებები/შეფასების ინსტრუმენტები უნდა შემოწმდეს, რომ თავად ვერიფიკაციის პროცესი ჩაითვალოს ვალიდურად.

22.11.21-07.12.21 პერიოდში ვერიფიკაცია განხორციელდა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კბილის სატექნიკო საქმე“ შემდეგი მოდულების: „პირის ღრუს ანატომიური სტრუქტურის იდენტიფიცირება“ და „პლასტმასის და მეტალის კონსტრუქციები“ შეფასების ინსტრუმენტებისთვის. კბილის სატექნიკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაციის პროცესში სასწავლებელს ჩართული ყავდა მოწვეული დარგის სპეციალისტი/გარე ვერიფიკატორი პარტნიორი პსდ-დან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო, ასევე, ვერიფიკაციის ჯგუფების სხდომის ოქმები (ოქმი 09.12.2021), რომელიც მოიცავს ინფორმაციას კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შესახებ, შეფასების პროცესების განჭვირვალობისა და ობიექტურობის დასადგენად.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

- *ვერიფიკაციის მექანიზმებით განსაზღვრული გარემოებებისთვის, სასურველია შემუშავდეს ცალ-ცალკე დოკუმენტი.*
- *ვერიფიკაციის პროცესში (მით უფრო დანერგვის ეტაპზე), უარყოფითი შეფასების გარემოების დადგომისას, სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%-ის შემოწმება;*
- *ვერიფიკაციის პროცესის ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვროს რისკების იდენტიფიცრებისას, სხვადასხვა გარემოებების კონკრეტული კოეფიციენტით შეფასებისას, რა მოცულობის დოკუმენტაცია უნდა იქნეს შეფასებული. ანალოგიურად, განისაზღვროს ვერიფიკაციის პროცესი ვალიდურობის ინდიკატორი.*

3. პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 44). შენახვის ვადის გასვლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება უვადოდ (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 49). შეფასების ინსტრუმენტები, უწყისები იდენტიფიცირებულია, აღირიცხება სპეციალურ რეესტრებში.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.** პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფში, პროფესიული სტუდენტის თანხმობით, ხოლო წერილობითი ან/და ონლაინ შეფასებისას უკუკავშირი ხორციელდება დამატებით პირად ელფოსტაზე შეტყობინებით. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. მიღებული შედეგების მიხედვით სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. უკუკავშირის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან და მასაწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ ონლაინ კონსულტაციებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 'სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი," 03.11.2021, ბრძანება #01/138
2. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია 15.12.2021 ბრძანება #7927
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის #01/52 ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმები;
4. შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება #01/155 16.11.2021 შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ
5. ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრის ამსახველი სქრინები, ვერიფიკაციის ჯგუფის სხდომის ოქმი 09.12.2021
6. ვერიფიკაცის დასკვნა, ხარისიხს მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი (09.12.2021)
7. სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
8. ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	

დასაბუთება

.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ც. დადიანის ქ. №26
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარე	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიუ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
3. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
5. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
6. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
7. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული აქვს პროცედურა „შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“ (ბრძანება #07488, 29.11.2021), რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, პსდ-ს რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფები. ე.წ. დაგეგმვის ჯგუფი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის,კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი, დარგის წარმომადგენელი კოლეჯიდან ან/და მოწვეული, ფინანსური მენეჯერი) ახდენს პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენას. მიზანშეწონილობის არგუმენტი მისაღებია თუ:

- არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით;
- პსდ აფართოებს მომსახურების/პროგრამების სპექტრს პროფილური მიმართულებით;
- პროგრამის ფარგლებში შეძენლი უნარები იძლევა თვითდასაქმების/პიროვნული განვითარების/პიროვენბის სოციალურ ინტეგრაციის შესაძლებლობას.

პროცედურით არგუმენტირებისთვის გამოყენებული კვლევების შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად ასევე მეორად სანდო წყაროებს. არგუმენტირების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, და ქმნის სამუშაო ჯგუფს, პროგრამის ადაპტირება-შემუშავებისთვის, რომელიც უშუალოდ მუშაობს პროგრამის ადაპტირებაზე, სასწავლო გეგმის შექმნაზე, სასწავლო რესურსის დამუშავებასა და სხვ. პროგრამის პროექტს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დასამტკიცებლად წარუდგენს პსდ-ს დირექტორს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. ხოლო განხორციელების მიზანშეწონილობა ერთი მხრივ განპირობებულია შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებზე ბიზნესის (სს „თი ბი სი“, სს „გუდვილი“) დაწესებულებებისთვის მიწერილობა აღნიშნული კადრის მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამას მოწმობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პირველივე წელს (2019-2020 სასწავლო წელი) გამოცხადებული კვოტა სრულად შევსებაც. თუმცა 2021 წელს კოლეჯს პროგრამაზე არც ერთი სტუდენტი არ მიუღია. თუმცა, არგუმენტირების დოკუმენტით, პსდ ირწმუნება, რომ მომართვიანობა მიღების პროცესის დასრულების შემდეგ უფრო მაღალიიყო, რასაც ხსნის, ახალი ჩარიცხვის წესით /ვადებით და აპლიკანტების/დაინტერსებული მხარეების ნაკლები ინფორმირებულობით.
არგუმენტირების წერილით, დასაქმების მაღალი მაჩვენებელია 2021 წლის კურსდამთავრებულების - 82%.საკუთარ გადაწყვეტილებას, პსდ ასევე ხსნის გარემოებით, რომ მისიის ერთ-ერთი მიმართულება არის სწორედ ბიზნესის სფეროს მიმართულებით პროგრამების განხორციელება და კადრის მიმზადება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დაწესებულების მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის შემუშავების გადაწყვეტილება/ინიციატივა შესაძლებლია მოდიოდეს თავად დაწესებულების დირექტორისგან, ან უკვე განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე. სასურველია მეთოდოლოგიაში უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლო შემთხვევები. ამასთან დოკუმენტი მოიცავს პუნქტებს, რომელიც ასახავს პროგრამის ცვლილებისას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და გაუქმების შემთხვევაში მობილობის პროცედურის შესახებ შინაარსს. აღნიშნული საკითხებიამ რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც. სასურველია პროფესიული სტუდენტის მომსახურების/უფლებების შესახებ პუნქტები ამოღებული იქნეს დოკუმენტიდან და ის მხოლოდ მოიცავდეს სათაურის შესაბამის შინაარს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი).

<u>პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>

<u>ინდიკატორის განვითარების რეკომენდაცია</u>

- *დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“ , აისახოს აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებული შინაარსი. ასევე სასურველია დოკუმენტში ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლებლობები.*
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, სასურველია ითვალისწინებდეს კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლას. დოკუმენტში მოყვანილი იქნეს მეტი სტატისტიკური მაჩვენებლები, თუნდაც კონკრეტული ბიზნესის დაკვეთის/წინადადებების ანალიზი და რაოდენობრივი მაჩვენებლები.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (ბრძანებით# 01/138, 03.11.2021 თავი 3.). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება და ასაკობრივი შეზღუდვა - არანაკლებ 17 წელი, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით „საფინანსო სერვისები“ 04117-პ განსაზღვრულ მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. ***პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით*** (პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის ბრძანება #01/121), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 30 (ჯგუფში 15 პროფ სტუდენტი. სულ 30 სტუდენტი - ორ ცვლაში). AB გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ: AB (აუდიტორია #16) გარემოში განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი და 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, სადაც ასევე განთავსებულია კომპიუტერის 1 კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად, შპს ორიენტირს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები „სს თიბისი ბანკთან“ (09/31, 19.10.2020, შეთანხმება 15.11.2021) და „სს გუდვილთან“ (09/207, 15.09.2019, შეთანხმება 15.11.2021) თითოეულთან 30 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ორივე პარტიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელთაც დაადასტურეს, რომ მიიღებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობას.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი, მიღწევას. ასევე შერჩეული პარტნიორი დაწესებულებების რესურსი, შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ, 2019 წლის 10 მაისის #01/29 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია ბრძანება №7660, 04.12.2021). პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, პსდ-ს წესდების (02.11.2021) 5.4 პუნქტითა და დებულების 7.3. პუნქტით (ბრძანება #7656 04.12.2021)

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. ***პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.*** შემუშავების საფუძველია ამავე დასახელების ჩარჩო დოკუმენტი. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ სწავლების კომპონენტებს. ასევე ქართული ენის მოდულების (A2) სავალდებულოდ გავლას იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 52 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 9,25 სასწავლო თვე, 37 სასწავლო კვირა), ხოლო არა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 67 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 12,25 სასწავლო თვე, 49 სასწავლო კვირა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. თუმცა პროგრამის მე-15 პუნქტი, რომელიც დოკუმენტის შემუშავების საფუძვლებზე მითითებას წარმოადგენს, პსდ-ს მიერ ადაპტირებულია შემდეგი სახით: საგანმანათლებლო პროგრამის მე-15 პუნქტი „სამართლებრივი საფუძვლები ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებისა, რომლის მიხედვითაც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა“, მითითებულია საგანმანათლბელო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძვლები. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის შემუშავების საფუძველს ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს, უნდა მიეთითოს პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისების“ შემუშავების საფუძვლები (ჩარჩო დოკუმენტი და სხვა შესაძლო შიდა დოკუმენტი) და არა თავად ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების საფუძვლები.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

კორექტირდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მუხლი, დოკუმენტის შემუშავების საფუძვლების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის №7488 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესი“
2. პსდ-ს მისია და სტრატეგიული გეგმა
3. დაწესებულების წესდება
4. შპს ორიენტირის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათები, მიზანშეწონილობის დასაბუთების შესახებ.
5. „2021-2022 წწ სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 04 აგვისტოს N01/83 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 15 ნოემბრის N01/154 ბრძანება;
6. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები
7. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, შპს ორიენტირის დირექტორის 04/12/2021-ის ბრძანება № 7660 (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

8. „შპს ორიენტირის ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 დეკემბრის N 7650 ბრძანება.
9. „შპს ორიენტირში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის N 01/121 ბრძანება
10. შპს ორიენტირის დებულება (ბრძანება №7656, 04.12.2021წ.)
11. შპს ორიენტირის პროგრამების დაგეგმვისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება 07.08.2020 N01/63.
12. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან - სს თიბისი ბანკი (09/31, 19.10.2020, შეთანხმება 15.11.2021); სს გუდვილი (09/207, 15.09.2019, შეთანხმება 15.11.2021);
13. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთა, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
პსდ-ს აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, რაც გამოიყენება სასწავლო მიზნების რეალიზაციისათვის. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება პსდ-ს მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას (ჯგუფში 15 პროფ სტუდენტი. სულ 30 სტუდენტი - ორ ცვლაში). პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს AB გარემო (აუდიტორია #16), სადაც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ: პროფესიული სტუდენტის 15 სამუშაო ადგილი (მერხი, სკამი, კომპიუტერი). პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი), დაფით, სადემონსტრაციო საშუალებები და კომბაინი (პრინტერი, ქსეროქსი). კომპიუტერებში ჩატვირთულია საბანკო პროგრამა „ალტას“ დემო ვერსია. პროგრამის მატერიალური რესურსით გათვალისწინებული ინვენტარი: გამომთვლელი, ლუპა, ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი, ფულის სათვლელი მანქანა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

საინვასაციო ჩანთის მულაჟი, ფასეულობებისთვის ქისის მულაჟი, შტამპები (ტვიფრები: ნომრით, „განაღდებულია“, „არ ექვემდებარება დაბრუნებას“, „ასლი დედანთან სწორია“), თემატური თვალსაჩინოებები (შემოსავლის ორდერი; ბალანსგარეშე შემოსავლის ორდერის ფორმა; გასავლის ორდერი; საინკასაციო ნუსხის ფორმა; ბალანსგარეშე გასავლის საბუთის ფორმა; ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა), ბანდეროლის მულაჟი, ფულისა დაა სხვა ფასეულობების მულაჟი, სხვადასხვა პროდუქტის მულაჟი/იმიტაცია. ექპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შემოწმებული აღნიშნული მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პროფესიული პროგრამის „საფინანსო სერვისები“ მოდულის „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა-საფინანსო სერვისები“ სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება „სს გუდვილთან“ და „სს თი ბი სი“ ბანკთან, 30 პროფესიული სტუდენტის მომსახურეობაზე. ასევე მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სავაჭრო ორგანიზაციასთან „სს გუდვილთან“. ხელშეკრულებებს თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახირციელებლი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია. ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ასევე ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ შეთანხმებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ ბანკისა და გუდვილის წარმომადგენლებს. პარტნიორი კომპანიების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს მოდულების პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით.

მიმდინარე სასწავლო წელს, პსდ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, „საფინანსო სერვისები“, აქტიური პროფესიული სტუდენტები არ ფიქსირდება.

დაწესებულების მიერ *პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს, 15* პროფესიულ სტუდენტი 2 ცვლაში (15*2=30).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ექსპერტთ შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 26 პირი, მათ შორის 12 ზოგადი მოდულების განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 14, მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი.
ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, გასაუბრება ჩატარდა პროფესიული მოდულების განმახორციელებელ სამ პროფესიულ მასწავლებელთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთანაც. მათთან ინტერვიუირებისას დადასტურდა, რომ გააჩნდათ შესაბამისი მოდულების განხორციელების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპეტენცია.
განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული გნათლების მასწვალებელთა ნაწილი ჩართული ჩარჩო დოკუმენტისა იყო მოდულური პროგრამის შემუშავება/ადაპტირების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

4. *<u>საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.</u>* რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ პრგრამის ხელმძღვანელს აქვს დარგობრივი მუშაობის, ისე სწავლების გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება პირის შესაბამისობა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან, რომელიც გაწერილია პსდ-ს დებულების 24-ე მუხლით.

პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში, პერიოდულად ესწრება მეცადინეობებზე, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნავს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, ასევე დარგობრივი კაბინეტების კომპიუტერებში. დაწესებუელბის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio”, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები (რუბრიკაში „ელკატეგორია“).

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადაამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომიაროგორც ელექტრონული ისე მატერიალური სახით.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; პსდ უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. პსდ-ს შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, როგორიცაა ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება და სხვა („სასწავლო პროცესის მარეგურილებელ წესი“ მუხლები 30, 48). ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ისგ-ს შედგენის პროცედურა. წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური და საორგანიზაციოს საქმიანობით მიღებული შემოსავალი (23 200 ₾). პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, სასწავლო მასალები და კომუნალური ხარჯები, რეკლამისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 10 პროფესიული სტუდენტი. პროგრამისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. თუმცა სასურველია პსდ-ს ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშნელოვანი მუხლები, როგორიცაა პროგრამის/განმახორციელბელი პირების/სასწავლო რესურსების განვითარება-გაუმჯობესებისთვის გასაწევი ხარჯები. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების პროცედურა, რომლითაც დარეგულირდება ხარჯებისა და მათი დასაშვები წილის ოდენობა/თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტში, რაც ფინანსურად მეტად მდგრადს გახდის პროგრამის განხორციელებას.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

- სასურველია შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ თანდართული დოკუმენტაციით
2. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

3. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
4. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
5. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
6. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის ***<u>შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.</u>*** პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პსდ-ს ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით (ბრძანება #01/87, 13.08.2021), ასევე შემუშავებულია კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია (ბრძ.#01/51, 20.05.2021), სადაც მითითებულია კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები, სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინსტრაციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ობიექტი განმახორციელებელი პირი/ხელმძრვანელი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე გამოკითხვის პერიოდულობა/სიხშირე (პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ; პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების კვლევა - წელიწადში ერთხელ; კურსდამთავრებულთა დასაქმებლის მაჩვენებლის კვლევა - სწავლის დასრულებიდან 1 წლის შემდეგ). კითხვარების ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილი საჭიროებების/ინიციატივების შემთხვევაში, დაწესებულება გეგმავს შესაბამის რეაგირების ღონისძიებებს. კვლევის შედეგები/ანგარიშები საჯაროა, გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

ხარისხის მექანიზმების თანხმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წამომადგენელი/წარმომადგენლები და პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელი შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. გეგმა ითვალისწინებს: სასწავლო პროცესზე დასწრებას, დაკვირვების კითხვარების შეგროვება-ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები ფორმდება სხდომის ოქმით, მოხსენებითი ბარათებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება, ჯგუფის წევრები აგროვებენ ინფორმაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისხს ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

პსდ-ს პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორცილებეული ცვლილებების შესახებ გამოცემული ბრძანებები. ცვლილება განხორციელბულია შიდა პროცედურის დაცვით. თუმცა გამოცემული ბრძანებით (#07660 04.12.2021) რთულია იდენტიფიცირება რა ცვლილებები განხორციელდა. პსდ-მ უნდა უზრუნველყოს ბრძანების შინაარსის ინფორმაციულობა და მიკვლევადობა (აღნიშნული საკითხის შესახებ რეკომენდაცია გაიცა მე-5 სტანდარტთან, საქმისწარმოების კომპონენტის ფარგლებში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პსდ-ს მიერ ასევე უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილებისას, შესაბამისობაში მოსვლისა და სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირების ვადები (მაგ. დისტანციური სწავლების მეთოდების დამატება საგანმანათლებლო პროგრამაში და სხვა).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს #01/87 ბრძანება „ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები“.
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის #7488 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“;
3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები (#26 17.12.2021, #25 01.12.2021)
4. შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება #7660 „შპს ორიენტრში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის #01/29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
5. კვლევის ანგარიშები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის კმაყოფილების, მოდულების განხორციელების, დისტანციური სწავლების კვლევაების შესახებ)
6. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
   სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საფინანსო სერვისები“ პსდ-ს მოთხოვნების თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 9,25 სასწავლო თვე, 37 სასწავლო კვირა (52 კრედიტი), ხოლო არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 12,25 სასწავლო თვე, 49 სასწავლო კვირა (67 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ-ში არსებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურებით. COVID-19 პანდემიის პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე, კოლეჯმა პროფესიული სტუდენტების და განმახორციელებელი პირების საჭიროებების (ინტერნეტთან წვდომა, IT უნარების ფლობა, დისტანციური სწავლების პლატფორმების მართვის ფლობა) შესახებ ელექტრონული გამოკითხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

განახორციელა პსდ-ს მიერ განხორციელდა ასევე შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძებები. დაწესებულების მიერ, პარტნიორ კოლეჯებთან ერთობლივად, იდენტიფიცირდა პროგრამის/სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობები. ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, დაემატა სწავლების დისტანციური მეთოდი, ელექტრონული სასწავლო რესურსი). დისტანციური სწავლების შუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით შეძენილი იქნა Zoom-ის ფასიანი სერვისი. ცვლილებები განხორციელდა და დაიგეგმა ისე, რომ სასწავლო პროგრამის განხორციელების ვადები არ გახანგრძლივებულა.

პსდ-ს აქვს ისგ-ს შემუშავების პრაქტიკა. საჭიროების შემთხვევაში პსდ ადგენს პროფესიულ სტუდენტის ჩართულობით, მის საჭიროებაზე მორგებულ ისგ-ს, რომლშიც ასახულია მოდულების, პროფესიული მასწავლებლების, საკონტაქტო საათების რაოდენობის და განხორციელების გრაფიკის შესახებ ინფორმაცია. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პსდ-ში შემუშავებული ისგ-ის დოკუმენტაცია. ისგ შემუშავებულია პსდ-ს რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დისტანციური სწავლება და ელრესურსები. ასევე მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინეტრაქციული ლექცია, სემინარი, დისკუსია, შემთხვევის ანალიზი, როლური თამაში, პრაქტიკული მეცადინეობა. პრაქტიკის ობიექტების პროვაიდერების მატერიარულ-ტექნიკური ბაზა, არჭურვილია დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულ პროექტებში (საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა/ცვლილებების ინიცირება, უნიფიცირებული შეფასების ინსტრუმნეტების შემუშავება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პსდ-ს რეგულაციებით შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიულ სტუდნეტები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზებით, ასევე დეტალურად აქვს იდენტიფიცირებული შშმ პირების არსებობების შემთხვევაში, მათ იდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის შედგების მიღწევის შესაძლებლობები (მუხლები: 29, 30, 38, 48). ამ მიზნით, ასევე გამოყოფს სივრცეებს/საათებს ჯგუფური და დამატებითი მეცადინეობებისთვის. შეხვედრები იგეგმება მასწავლბელებთან ონლაინ, დამატებითი კოსულტაციების მიწოდების მიზნით, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც.

   ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი იქნა მობილობის, სტატუსის აღდგენის ამსახველი დოკუმენტაცია და ამ გარემოებიდან გამომდინარე შემუშავებული ისგ. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებზე/საჭიროებებზე პსდ-ს ადმინისტრაციის ორიენტირება.

   დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ასვე 2.4.1 (2) და 3.1.1. (5) ინდიკატორების აღწერა.

   პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს როგორც უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის, ისე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებულებებს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის აუცილებელი სახარჯი მასლის გამოყოფის შესახებ ვალდებულება. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ხელშეკრულებებით განსაზღვრულია განსახორციელებელი მოდულები, მათი მოცულობა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების კვოტა.

ექსპერტთა ჯგუფი შემთხვევითი შერჩევით გაესაუბრა პარტიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ იცნობენ ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნებს.

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, რაც დასტურდება როგორც შესაბამისი ხელშეკრულებით/შეთანხმებებით, ისე ფაქტობრივი გარემოებით;

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში,** რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კავლიფიკაციის პირებისა და სამსახურების არსებობა. კოლეჯში ფუქციონირებს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური (2 პერსონალი) და შრომის უსაფრთოების სამსახური (2 პირი). შრომის უსაფრთოების სამსახურის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და შემუშავებულია პრევენციული ღონისძებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ-ში დაცულია სასწავლო/სამუშაო პროცესი განხორციელებისას COVID-რეგულაციები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „სასწავლო პროცესის მრეგულირებელი წესი“ (03.11. 2021 ბრძანება #01/138)
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“
3. სასწავლო გეგმები
4. მიდგომები დისტანციური სწავლების შესახებ
5. დისტანციური სწავლების შეფასების კვლევის ანგარიში
6. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან
7. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და შრომის უსაფრთხოების სამსახურების პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
8. რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გეგმები
9. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემას (თავი IV), სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია და განისაზღვრება 10 კალენდარული დღით. ამავე წესის თანახმად, განმეორებითი შეფასების დაადსტურება, პროგრამის ბოლოს დაგეგმილი მოდულებისთვის, შესაძლებელია, პროგრამის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში. თუმცა გაურკვევლი ჩანაწერია ამავე მუხლში (44.8.) სადაც წერია, რომ “სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება“. დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტის შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება/ამოღება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
რეგულაციით განმეორებითი შეფასებისთვის, დაწესებულება შეფასების სხვა ინსტრუმენტს. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. წესის თანახმად შეფასების შედეგების ადმინისტრაციისთვის მიწოდება ხდება შეფასებიდან ერთ სამუშაო დღეში. პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს ადმინისიტრაციას. პსდ-ს შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით რამდენად არის პსდ-ს შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები დარგის ექსპერტის შეფასებით იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია, ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არაობიექტური შეფასების ფაქტი. პროფესიულ სტუდნეტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა რეგულაციების შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება.

2. ***<u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს,</u>*** რომელიც ხორციელდება პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის №01/52 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, პსდ-ს შესაბამისი ადამანური რესუსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა (რეესტრი), რომელიც აფასებს შემდეგ გარემოებებს: „დამწყები“ და „სანდო“ პროფესიული მასწავლებლების/პრაქტიკის ხელმძღვანელების შეფასებას, ასევე შემთხვევები, როდესაც შეფასებისას გამოყენებულია ბევრი პრაქტიკული დავალება ან ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
რამდენიმე სწავლის შედეგი ფასდება. გამოვლენილი რისკ-ფაქტორები ფასდება 4 ბალიანი სისტემით ე.წ. „კოეფიციენტით“ (დაბალი - 1ქ; საშუალო - 2ქ; მაღალი - 3ქ; კრიტიკული - 4ქ.).

გამომდინარე იქიდან, რომ პსდ-ს მიერ განსაზღვრული წესით, რისკ-ფაქტორების გამოვლენის რეესტრმა უნდა მოიცვას დაწესებულების ყველა განმახორციელებელი პირისა და შეფასების ინსტრუმენტის ანალიზი, სასურველია თითოეული გარემოებისთვის ცალ-ცალკე დოკუმენტი შეიქმნას. ასევე პროცედურაში განსაზღვრულია ვერიფიკაციით უარყოფითი შეფასების დადგომის გარემოებაც (პ.8.3.), რომლის დროსაც პსდ-ს მიერ დამატებით მოხდება შერჩევითი შეფასება განსხვავებული პრინციპით, მაგ. სტუდენტების სიით ანბანის პირველი 10 ასო ან სხვა, რაც ექსპერტთა აზრით, ვერ იქნება ეფექტური, ამასთან პროცესის დანერგვის საწყის ეტაპზე, სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს ტოტალური კონტროლი და უარყოფითი შეფასების დადგომისას, შემოწმებული იქნეს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%.
პროცედურით განსაზღვრული არაა რისკების იდენტიფიცირებისას, გარემოების შეფასებისას, რომელი კოეფიციენტისას რა მოცულობის დოკუმენტაცია იქნება შეფასებული. ასევე არაა განსაზღვრული, რა მოცულობის მტკიცებულებები/შეფასების ინსტრუმენტები უნდა შემოწმდეს, რომ თავად ვერიფიკაციის პროცესი ჩაითვალოს ვალიდურად.

ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიზიტის დროს გაცნობოდნენ პსდ-ს მიერ წარმოდგენილ ვერიფიკაციის ჯგუფების სხდომის ოქმებს, (ოქმი 09.12.2021), რომელიც მოიცავდა კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შესახებ ინფორმაციას, შეფასების პროცესების გამჭვირვალობისა და ობიექტურობის დასადგენად. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია ასევე ჯგუფის რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიზიტის დროს გასაუბრებოდნენ ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს, რომლებმაც დაადასტურეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

— *ვერიფიკაციის მექანიზმებით განსაზღვრული გარემოებებისთვის, სასურველია შემუშავდეს ცალ-ცალკე დოკუმენტი.*
— *ვერიფიკაციის პროცესში (მით უფრო დანერგვის ეტაპზე), უარყოფითი შეფასების გარემოების დადგომისას, სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%-ის შემოწმება;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

— *ვერიფიკაციის პროცესის ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვროს რისკების იდენტიფიცირებისას, სხვადასხვა გარემოებების კონკრეტული კოეფიციენტით შეფასებისას, რა მოცულობის დოკუმენტაცია უნდა იქნეს შეფასებული. ანალოგიურად, განისაზღვროს ვერიფიკაციის პროცესი ვალიდურობის ინდიკატორი.*

3. პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 44). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება უვადოდ (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 49). შეფასების ინსტრუმენტები, უწყისები იდენტიფიცირებულია, აღირიცხება სპეციალურ რეესტრებში.

ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სტუდენტის პორტფოლიოები. ***დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.***

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.** პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფში, პროფესიული სტუდენტის თანხმობით, ხოლო წერილობითი ან/და ონლაინ შეფასებისას უკუკავშირი ხორციელდება დამატებით პირად ელფოსტაზე შეტყობინებით. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. მიღებული შედეგების მიხედვით სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. უკუკავშირის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ ონლაინ კონსულტაციებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

9. 'სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი," 03.11.2021, ბრძანება #01/138
10. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია 15.12.2021 ბრძანება #7927
11. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის #01/52 ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

12. შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება #01/155 16.11.2021 შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ
13. ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრის ამსახველი სქრინები, ვერიფიკაციის ჯგუფის სხდომის ოქმი 09.12.2021
14. ვერიფიკაცის დასკვნა, ხარისიხს მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი (09.12.2021)
15. სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
16. ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ც. დადიანის ქ. №26
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFEraser.Free

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „აღმზრდელი „

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

XI. სტანდარტის შეფასება

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული აქვს პროცედურა „შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“ (ბრძანება #07488, 29.11.2021), რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, პსდ-ს რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფები. ე.წ. დაგეგმვის ჯგუფი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის,კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი, დარგის წარმომადგენელი კოლეჯიდან ან/და მოწვეული, ფინანსური მენეჯერი) ახდენს პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენას. მიზანშეწონილობის არგუმენტი მისაღებია თუ:

— არსებობს მოთხოვნა ან მოთხოვნა პროგნოზირებულია შესაბამის უნარებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით;
— პსდ აფართოებს მომსახურების/პროგრამების სპექტრს პროფილური მიმართულებით;
— პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების/პიროვნული განვითარების/პიროვენბის სოციალურ ინტეგრაციის შესაძლებლობას.

პროცედურით არგუმენტირებისთვის გამოყენებული კვლევების შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად ასევე მეორად სანდო წყაროებს. არგუმენტირების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, და ქმნის სამუშაო ჯგუფს, პროგრამის ადაპტირება-შემუშავებისთვის, რომელიც უშუალოდ მუშაობს პროგრამის ადაპტირებაზე, სასწავლო გეგმის შექმნაზე, სასწავლო რესურსის დამუშავებასა და სხვ. პროგრამის პროექტს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დასამტკიცებლად წარუდგენს პსდ-ს დირექტორს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. ხოლო განხორციელების მიზანშეწონილობა ერთი მხრივ განპირობებულია პროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის (მომართვიანობის) და მაღალი დასაქმების მაჩვენებლებით, მეორე მხრივ სახელმწიფოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიით, რომლის ერთ-ერთი მიზანია „მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სკოლის ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა“. არგუმენტირების დოკუმენტი ასევე, მოიცავს გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის მონაცემებს, რომლის მიხედვით საქართველოში დასაქმებულ პირთა მესამედს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.კვლევის თანახმად, აღმზრდელთა მხოლოდ 67%-ს აქვს გარკვეული განათლება სკოლამდელი განათლების მიმართულებით, აქედან, 35% აქვს საშუალო პროფესიული განათლება, 8%-ს ბაკალავრის, ხოლო 24%ს მაგისტრის ხარისხი. ამასთან არაა მონაცემები დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის შესაბამისობაზე თანამედროვე მოთხოვნებთან. აღნიშნული გარემოებები განაპირობებს მაღალ ინტერესს როგორც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულ კონტიგენტში, ისე აპლიკანტებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ერთ-ერთ არგუმენტირებულ პოზიციად ასევე წარმოდგენილია, რომ კოლეჯს აქვს პროგრამის განხორციელების პრაქტიკა და შესაბამისი რესურსი, რადგან 2016 წლიდან უწყვეტად ახორციელებდა ანალოგიურ მე-5 საფეხურის პროგრამას „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“. კოლეჯის კვლევებით, კურსდამთავრებულთა 87%-მა (სულ 65 პირი), წარმატებით გაიარა ბაგა-ბაღის სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონკურსი და დასაქმდა კვალიფიკაციით. არგუმენტირებული პოზიცია მოიცავს ასევე კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგებს. გამოკითხვიდან ჩანს, რომ უმრავლესობა (87,3%) თვლის, რომ პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ, გაამართლა მათი მოლოდინები, მათ მიიღეს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი ცოდნა და პროფესიული უნარები.

ის რომ მოთხოვნა პროგრამაზე მაღალია, ამის დამადასტურებლად კოლეჯს მოჰყავს რეგისტრირებული აპლიკანტების მაჩვენებლები. მაგ. 2021 წლის მიღებისთვის რეგისტრირებული იყო 89 აპლიკანტი, ხოლო ჩაირიცხა - 32 პირი. *მიმდინარე ეტაპისთვის კოლეჯს ჰყავს 30 აქტიური სტუდენტი პროგრამაზე.*

დაწესებულების მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის შემუშავების გადაწყვეტილება/ინიციატივა შესაძლებლია მოდიოდეს თავად დაწესებულების დირექტორისგან, ან უკვე განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე. სასურველია მეთოდოლოგიაში უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლო შემთხვევები. ამასთან დოკუმენტი მოიცავს პუნქტებს, რომელიც ასახავს პროგრამის ცვლილებისას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და გაუქმების შემთხვევაში მობილობის პროცედურის შესახებ შინაარსს. აღნიშნული საკითხები რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც. სასურველია პროფესიული სტუდენტის მომსახურების/უფლებების შესახებ პუნქტები ამოღებული იქნეს დოკუმენტიდან და მოიცავდეს მხოლოდ სათაურის შესაბამის შინაარს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი).

<u>პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFEraser Free

დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“ , აისახოს აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებული შინაარსი. დოკუმენტში ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლებლობები.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (ბრძანებით# 01/138, 03.11.2021 თავი 3.). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის (02117-პ) მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; რაც დასტურდება პსდ-ს დოკუმენტაციით. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ ჩარიცხულნი პირების, წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს, პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.</u>

3. ***<u>პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით</u>*** (პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის ბრძანება #01/121), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემოს (A, B, C) და პროფესიული სტუდენეტების სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ ჩასარიცხ პირთა ზღვრული რაოდენობა (პსდ-ს დირექტორის ბრძანება №7650, 03.12.2021) განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით.

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის კოლეჯში გამოყოფილი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

- აუდიტორია #14, სასწავლო გარემოს მოდელი A, უზრუნველყოფს სამუშაო (მაგიდა, სკამი) ადგილების რაოდენობას 20 პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილს პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, სადაც ასევე განთავსებულია კომპიუტერის 1 კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, პრინტერი სკანერისა და ასლგადამღები ფუნქციით, მონიტორი, დაფა.
- აუდიტორია #13 B გარემო - უზრუნველყოფილია 21 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი), კომპიუტერის კომპლექტი-21 (ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა აღმზრდელის პროგრამისთვის არის 20), კომპიუტერის 1 კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, მონიტორი, ქსელური პრინტერი სკანერისა და ასლგადამღები ფუნქციით, დაფა.

პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად შპს ორიენტირს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები #43 და #46 საბავშვო ბაღებთან, თითოეულთან ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის, ჯამში 40 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში (იხ. 2.1.1.(3) ინდიკატორის აღწერა). აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას - „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის ა(ა)იპ # 43 (24.03.2021წ. #09/07; ცვლილება 15.11.2021წ.) და ა(ა)იპ # 46 (24.03.2021წ. #09/06; ცვლილება 15.11.2021წ) სახელმწიფო საბავშვო ბაგა–ბაღებთან. აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად პარტნიორი ორგანიზაციები ვალდებულებას იღებენ განახორციელონ მოდულები საკუთარ ბაზაზე, უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა. თითოეული პრაქტიკის ობიექტი შესაძლებლობას იძლევა მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი ერთდროულად. ხელშეკრულებები გაფორმებულია 5 წლის ვადით.

გასაუბრებისას, პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მზაობა გამოთქვა პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტს პსდ აქამდეც ახორციელებდა მათ ბაზაზე, სადაც აღსაზრდელთა ყველა ასაკობრივი ჯგუფია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დაკომპლექტებული. ბაგა-ბაღში დასაქმებულია გამოცდილი და კომპეტენტური კადრი. მიმდინარე სასწავლო წელსაც, პსდ-ს პროფესიულ სტუდენტებს საშუალება მიეცათ დაკვირვებოდნენ სასწავლო სააღმზრდელო პროცესს, გაცნობოდნენ დაწესებულებას, საბავშვო ბაგა-ბაღის ყოველდღიურ რეჟიმსა და სააღმზრდელო ჯგუფებში სხვადასხვა აქტივობებს.
ექსპერტთა მიერ მოდულების მიხედვით შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ლიტერატურა, როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და დადგინდა, რომ შესაძლებელია მათი გამოყენება სასწავლო პროცესში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

5. „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ***არ მოიცავს არჩევით მოდულებს.***

6. საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ, 2021 წლის 12 აპრილის #01/33 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია ბრძანება №7661, 04.12.2021). პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, პსდ-ს წესდების (02.11.2021) 5.4 პუნქტითა და დებულების 7.3. პუნქტით (ბრძანება #7656 04.12.2021).

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „აღმზრდელი“ ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რომლის შემუშავების საფუძველია „აღმზრდელის“ ჩარჩო დოკუმენტი (02117-პ). დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს. ასევე, ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 116 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 19 სასწავლო თვე/76 სასწავლო კვირა), ხოლო არა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 146 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 24 სასწავლო თვე/96 სასწავლო კვირა).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები, გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შესაძლო აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესი“ (ბრძანება №7488,29.11.2021)
1. სასწავლო პროცესის მრეგულირებელი წესი (ბრძანება # 01/138 03.11.2021;ცვლილება №0622, 31/01/2022)
2. შპს ორიენტირის დებულება (ბრძანება #7656 , 04.12.2021)
3. შპს ორიენტირის მისია;
4. შპს ორიენტირის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები
5. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები
6. ,,შპს ორიენტირის ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 დეკემბრის N 7650 ბრძანება.
7. „შპს ორიენტირში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძანება #01/121, 30.11.2020)
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება
9. შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება პროგრამების დაგეგმვისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (07.08.2020, #01/63).
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ შექმნის/ადაპტირების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (#06/04-15 07.12.2019)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

11. შპს ორიენტირში ღონისძიების ორგანიზების (ინტეგრირებული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის დამატების, საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე კვოტის გაზრდის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება (#01/13, 02.03.2021)
12. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
13. ფაქტობრივი გარემოება და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.2 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრათმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შპს ორიენტირი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ თეორიულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: *ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 26*, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:
   - A გარემო აუდიტორია #14 - პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილით.
   - B გარემო/კომპიუტერული კლასი - აუდიტორია #13 - პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა, გამომდინარე იქედან, რომ პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც საჭიროებს პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლას, ხორციელდება დარგობრივ კაბინეტში #16. ხოლო კოლეჯის B

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება“ განხორციელებისთვის.

ორივე აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი).

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის ა(ა)იპ # 43 (24.03.2021წ. #09/07; ცვლილება 15.11.2021წ.) და ა(ა)იპ # 46 (24.03.2021წ. #09/06; ცვლილება 15.11.2021წ) სახელმწიფო საბავშვო ბაგა–ბაღებთან. (იხ. ასევე 2.1.1. მე-3 და მე-4 ინდიკატორების აღწერა), რომლებიც მზაობას აცხადებენ მიიღონ თითოეულ ნაკადზე 20 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულების მიერ *პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს* (2 ცვლა, 20-20 პროფესიული სტუდენტი).

ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა 30 აქტიური პროფესიული სტუდენტი და არც ერთი სტატუსშეჩერებული პირი.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ბაგა-ბაღები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობით, რესურსით და პროფილით უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 18 პირი, მათ შორის 7 ზოგადი მოდულისთვის, ხოლო დარგობრივი მოდულებისთვის - 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პსდ-ს დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის #7467 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის წესი, ხოლო მათი უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის #07656 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით (თავი 3, მუხლი 23). აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების დადასტურებული კომპეტენცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის/დარგობრივი საქმიანობის ნებართვის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული გნათლების მასწვალებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის უფლება–მოვალეობები განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის #7656 ბრძანებით დამტკიცებული დებულებითა (თავი 3, მუხლი 24) და მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. დებულების თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პროგრამის შინაარსის და მის განსახორციელებლად საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, ორგანიზება გაუწიოს კალენდარული გეგმების მომზადებას, პროგრამის სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფას, ჩაერთოს ვერიფიკაციის პროცესსა და პროგრამის მართვის სხვა აქტივობებში, რაც მისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილება.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილს. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში, პერიოდულად ესწრება მეცადინეობებს, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ასევე ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. მონაწილეობს პროგრამის ადაპტაციაში, სასწავლო გეგმების შედგენასა და პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევის პროცესებში. ზრუნავს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე. რაც დასტურდება დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, პროგრამის ხელმძრვანელის მიერ, განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის საკანონმდებლო ცვლილებებისა და სიახლეების გაცნობის მიზნით ორგანიზებული ონლაინ შეხვედრით. რაც ასევე დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, ასევე დარგობრივი კაბინეტების კომპიუტერებში. დაწესებუელბის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio", სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები (რუბრიკაში „ელკატეგორია").

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი" მოდულებში მითითებული რესურსი. ***საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.***

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პსდ უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. პსდ-ს შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, როგორიცაა ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება და სხვა („სასწავლო პროცესის მარეგურილებელ წესი“ მუხლები 30, 48). ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ისგ-ს შედგენის პროცედურა. წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური და სხვა საორგანიზაციო მომსახურებით მიღებული შემოსავალი (რეგისტრაციის, დიპლომის საფასური). პროგრამის განხორციელების ხარჯები მოიაზრებს: *მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებას, პრაქტიკის განხორციელების ხარჯს, საკანცელარიო და კომუნალურ და მატერიალური-ტექნიკური ბაზის ამორტიზაციის ხარჯს, დაგეგმილი მოგებას და სხვა ზედნადებ ხარჯებს.* პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 8 პროფესიული სტუდენტი (31 200 ₾). პროგრამისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. თუმცა სასურველია პსდ-ს ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშნელოვანი მუხლები, როგორიცაა პროგრამის/განმახორციელბელი პირების/სასწავლო რესურსების განვითარება-გაუმჯობესებისთვის გასაწევი ხარჯები. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების პროცედურა, რომლითაც დარეგულირდება ხარჯებისა და მათი დასაშვები წილის ოდენობა/თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტში, რაც ფინანსურად მეტად მდგრადს გახდის პროგრამის განხორციელებას.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

- *სასურველია შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც ასევე აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ერთგვაროვანს გახდის პსდ-ს მიდგომას, პროგრამის ბიუჯეტისთვის ხარჯების იდენტიფიცირებისთვის.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ თანდართული დოკუმენტაციით
2. სასწავლო პროცესის მრეგულირებელი წესი (ბრძანება # 01/138 03.11.2021;ცვლილება №0622, 31/01/2022)
3. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
4. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
5. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
6. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
7. შპს ორიენტირის თვითშეფასების ანკეტა
8. პსდ-ს ვებგვერდი
9. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***<u>პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან,</u>*** პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პსდ-ს ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით (ბრძანება #01/87, 13.08.2021), ასევე შემუშავებულია კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია (ბრძ.#01/51, 20.05.2021), სადაც მითითებულია კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები, სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინისტრაციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ობიექტი განმახორციელებელი პირი/ხელმძრვანელი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე გამოკითხვის პერიოდულობა/სიხშირე (პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ; პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების კვლევა - წელიწადში ერთხელ; კურსდამთავრებულთა დასაქმებლის მაჩვენებლის კვლევა - სწავლის დასრულებიდან 1 წლის შემდეგ). კითხვარების ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილი საჭიროებების/ინიციატივების შემთხვევაში, დაწესებულება გეგმავს შესაბამის რეაგირების ღონისძიებებს. კვლევის შედეგები/ანგარიშები საჯაროა, გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

ხარისხის მექანიზმების თანხმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წამომადგენელი/წარმომადგენლები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. გეგმა ითვალისწინებს: სასწავლო პროცესზე დასწრებას, დაკვირვების კითხვარების შეგროვება-ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები ფორმდება სხდომის ოქმით, მოხსენებითი ბარათებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება. ჯგუფის წევრები აგროვებენ ინფორმაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

2. ***პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.***
გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორცილებეული ცვლილებების შესახებ გამოცემული ბრძანებები. ცვლილება განხორციელბულია შიდა პროცედურის დაცვით. თუმცა გამოცემული ბრძანებით (#07661 04.12.2021) რთულია იდენტიფიცირება რა ცვლილებები განხორციელდა. პსდ-მ უნდა უზრუნველყოს ბრძანების შინაარსის ინფორმაციულობა და მიკვლევადობა (აღნიშნული საკითხის შესახებ რეკომენდაცია გაიცა მე-5 სტანდარტთან, საქმისწარმოების კომპონენტის ფარგლებში).

პსდ-ს მიერ ასევე უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილებისას, შესაბამისობაში მოსვლისა და სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირების ვადები (მაგ. დისტანციური სწავლების მეთოდების დამატება საგანმანათლებლო პროგრამაში და სხვა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს #01/87 ბრძანება „ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები“.
2. შპს ორიენტირის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესი“ (ბრძანება №7488,29.11.2021)
3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები (#26 17.12.2021, #25 01.12.2021)
4. შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება #7660 „შპს ორიენტრში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის #01/29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
5. კვლევის ანგარიშები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის კმაყოფილების, მოდულების განხორციელების, დისტანციური სწავლების კვლევაების შესახებ)
6. ფაქტობრივი გარემოება და გასაუბრების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „აღმზრდელი“ პსდ-ს მოთხოვნების თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 24 სასწავლო თვე/96 სასწავლო კვირა (146 კრედიტი), ხოლო ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 19 სასწავლო თვე/76 სასწავლო კვირა (116 კრედიტი).

   საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები და არსებობის შემთხვევაში განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

   ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ-ში არსებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურებით. COVID-19 პანდემიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე, კოლეჯმა პროფესიული სტუდენტების და განმახორციელებელი პირების საჭიროებების (ინტერნეტთან წვდომა, IT უნარების ფლობა, დისტანციური სწავლების პლატფორმების მართვის ფლობა) შესახებ ელექტრონული გამოკითხვა განახორციელა. პსდ-ს მიერ განხორციელდა ასევე შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძებები. დაწესებულების მიერ, პარტნიორ კოლეჯებთან ერთობლივად, იდენტიფიცირდა პროგრამის/სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობები. ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, დაემატა სწავლების დისტანციური მეთოდი, ელექტრონული სასწავლო რესურსი). დისტანციური სწავლების შეუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით შეძენილი იქნა Zoom-ის ფასიანი სერვისი. ცვლილებები განხორციელდა და დაიგეგმა ისე, რომ სასწავლო პროგრამის განხორციელების ვადები არ გახანგრძლივებულა.

პსდ-ს აქვს ისგ-ს შემუშავების პრაქტიკა. საჭიროების შემთხვევაში პსდ ადგენს პროფესიულ სტუდენტის ჩართულობით, მის საჭიროებაზე მორგებულ ისგ-ს, რომლშიც ასახულია მოდულების, პროფესიული მასწავლებლების, საკონტაქტო საათების რაოდენობის და განხორციელების გრაფიკის შესახებ ინფორმაცია. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პსდ-ში შემუშავებული ისგ-ის დოკუმენტაცია. ისგ შემუშავებულია პსდ-ს რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

<u>პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დისტანციური სწავლება და ელრესურსების გამოყენება. ასევე მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინეტრაქციული ლექცია, სემინარი, დისკუსია, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცია. პრაქტიკული კომპონენტისთვის შერჩეულ ობიექტებს ჰყავს აღსაზრდელების ყველა ასაკის ჯგუფი შესაბამისი მატერიარულ-ტექნიკური ბაზით.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პსდ-ს რეგულაციებით შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიულ სტუდნეტები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზებით, ასევე დეტალურად აქვს იდენტიფიცირებული შშმ პირების არსებობების შემთხვევაში, მათი იდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის შედგების მიღწევის შესაძლებლობები (მუხლები: 29, 30, 38, 48). ამ მიზნით, გამოყოფს სივრცეებს/საათებს ჯგუფური და დამატებითი მეცადინეობებისთვის. მასწავლებელებთან შეხვედრები იგეგმება ონლაინ, დამატებითი კოსულტაციების მიწოდების მიზნით, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც.

ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი იქნა მობილობის, სტატუსის აღდგენის ამსახველი დოკუმენტაცია და ამ გარემოებიდან გამომდინარე შემუშავებული ისგ. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ პსდ-ს ადმინისტრაციის მიერ, **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ასვე 2.4.1 (2) და 3.1.1. (5) ინდიკატორების აღწერა.

5. პსდ თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულებებს და პრაქტიკული კომპონენტისთვის აუცილებელი სახარჯი მასლის გამოყოფას. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას. ხელშეკრულებით განსაზღვრულია განსახორციელებელი მოდულები, მათი მოცულობა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების კვოტა, მოთხოვნები პრაქტიკის განმახორციელებელი პირების მიმართ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში,** რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის პირებისა და სამსახურების არსებობა. კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური (2 პერსონალი) და შრომის უსაფრთოების სამსახური (2 პირი). შრომის უსაფრთოების სამსახურის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და შემუშავებულია პრევენციული ღონისძებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ-ში დაცულია სასწავლო/სამუშაო პროცესი განხორციელებისას COVID-რეგულაციები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „სასწავლო პროცესის მრეგულირებელი წესი“ (03.11. 2021 ბრძანება #01/138)
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“
3. სასწავლო გეგმები
4. მიდგომები დისტანციური სწავლების შესახებ
5. დისტანციური სწავლების შეფასების კვლევის ანგარიში
6. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან
7. პრაქტიკსი ხელმძღვანელებთან გაფორმებული ხელსეკრულებები
8. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და შრომის უსაფრთხოების სამსახურების პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
9. რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გეგმები
10. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემას (თავი IV), სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია და განისაზღვრება 10 კალენდარული დღით. ამავე წესის თანახმად, განმეორებითი შეფასების დაადსტურება, პროგრამის ბოლოს დაგეგმილი მოდულებისთვის, შესაძლებელია, პროგრამის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში. თუმცა გაურკვევლი ჩანაწერია ამავე მუხლში (44.8.) სადაც წერია, რომ “სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება“. დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტის შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება/ამოღება.

რეგულაციით, განმეორებითი შეფასებისთვის, დაწესებულება შეფასების სხვა ინსტრუმენტს. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. წესის თანახმად შეფასების შედეგების ადმინისტრაციისთვის მიწოდება ხდება შეფასებიდან ერთ სამუშაო დღეში. პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს ადმინსიტრაციას. პსდ-ს შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით, რამდენად არის პსდ-ს შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები დარგის ექსპერტის შეფასებით იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არა ობიექტური შეფასების ფაქტი. პროფესიულმა სტუდნეტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა რეგულაციების შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება.

4. ***<u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს,</u>*** რომელიც ხორციელდება პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის №01/52 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, პსდ-ს შესაბამისი ადამანური რესუსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა (რეესტრი), რომელიც აფასებს შემდეგ გარემოებებს: „დამწყები“ და „სანდო“ პროფესიული მასწავლებლების/პრაქტიკის ხელმძღვანელების შეფასებას, ასევე შემთხვევები, როდესაც შეფასებისას გამოყენებულია ბევრი პრაქტიკული დავალება ან ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად რამდენიმე სწავლის შედეგი ფასდება. გამოვლენილი რისკ-ფაქტორები ფასდება 4 ბალიანი სისტემით ე.წ. „კოეფიციენტით“ (დაბალი - 1ქ; საშუალო - 2ქ; მაღალი - 3ქ; კრიტიკული - 4ქ.).

<u>გამომდინარე იქიდან, რომ პსდ-ს მიერ განსაზღვრული წესით, რისკ-ფაქტორების გამოვლენის რეესტრმა უნდა მოიცვას დაწესებულების ყველა განმახორციელებელი პირისა და შეფასების ინსტრუმენტის ანალიზი, სასურველია თითოეული გარემოებისთვის ცალ-ცალკე დოკუმენტი შეიქმნას. ასევე პროცედურაში განსაზღვრულია ვერიფიკაციით უარყოფითი შეფასების დადგომის გარემოებაც (პ.8.3.), რომლის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დროსაც პსდ-ს მიერ დამატებით მოხდება შერჩევითი შეფასება განსხვავებული პრინციპით, მაგ. სტუდენტების სიით ანბანის პირველი 10 ასო ან სხვა, რაც ექსპერტთა აზრით, ვერ იქნება ეფექტური, ამასთან პროცესის დანერგვის საწყის ეტაპზე, სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს ტოტალური კონტროლი და უარყოფითი შეფასების დადგომისას, შემოწმებული იქნეს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%.
პროცედურით განსაზღვრული არაა რისკების იდენტიფიცირებისას, გარემოების შეფასებისას, რომელი კოეფიციენტისას რა მოცულობის დოკუმენტაცია იქნება შეფასებული. ასევე არაა განსაზღვრული, რა მოცულობის მტკიცებულებები/შეფასების ინსტრუმენტები უნდა შემოწმდეს, რომ თავად ვერიფიკაციის პროცესი ჩაითვალოს ვალიდურად.

ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიზიტის დროს გაცნობოდნენ პსდ-ს მიერ წარმოდგენილ ვერიფიკაციის ჯგუფების სხდომის ოქმებს, (ოქმი 09.12.2021), რომელიც მოიცავდა კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შესახებ ინფორმაციას, შეფასების პროცესების გამჭვირვალობისა და ობიექტურობის დასადგენად. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია ასევე ჯგუფის რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიზიტის დროს გასაუბრებოდნენ ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს, რომლებმაც დაადასტურეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

1. ვერიფიკაციის მექანიზმებით განსაზღვრული გარემოებებისთვის, სასურველია შემუშავდეს ცალ-ცალკე დოკუმენტი.
2. ვერიფიკაციის პროცესში (მით უფრო დანერგვის ეტაპზე), უარყოფითი შეფასების გარემოების დადგომისას, სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%-ის შემოწმება;

5. *ვერიფიკაციის პროცესის ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვროს რისკების იდენტიფიცრებისას, სხვადასხვა გარემოებების კონკრეტული კოეფიციენტით შეფასებისას, რა მოცულობის დოკუმენტაცია უნდა იქნეს შეფასებული. ანალოგიურად, განისაზღვროს ვერიფიკაციის პროცესი ვალიდურობის ინდიკატორი.*

6. პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 44). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
უწყისებს, ინახება უვადოდ (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 49). შეფასების ინსტრუმენტები, უწყისები იდენტიფიცირებულია, აღირიცხება სპეციალურ რეესტრებში.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

7. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.** პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება ინდივიდუალურად ან ჯგუფში, პროფესიული სტუდენტების თანხმობით. წერილობითი ან/და ონლაინ შეფასებისას უკუკავშირი ხორციელდება პირად ელფოსტაზე შეტყობინებით. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. რის საფუძველზეც სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. პროფესიულ სტუდენტებთან და მასაწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ ონლაინ კონსულტაციებსა და უკუკავშირს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,“ 03.11.2021, ბრძანება #01/138
2. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია 15.12.2021 ბრძანება #7927
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის #01/52 ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმები;
4. შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება #01/155 16.11.2021 შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ
5. ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრის ამსახველი სქრინები, ვერიფიკაციის ჯგუფის სხდომის ოქმი 09.12.2021
6. ვერიფიკაცის დასკვნა, ხარისიხს მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი (09.12.2021)
7. სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
8. ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

შეფასება:
☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ღონისძიების ორგანიზება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ც. დადიანის ქ. №26
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFEraser.Free

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

სტანდარტის შეფასება
PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

1.პსდ-ს შემუშავებული აქვს პროცედურა „შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“ (ბრძანება #07488, 29.11.2021), რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, პსდ-ს რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფები. ე.წ. დაგეგმვის ჯგუფი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის,კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი, დარგის წარმომადგენელი კოლეჯიდან ან/და მოწვეული, ფინანსური მენეჯერი) ახდენს პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენას. მიზანშეწონილობის არგუმენტი მისაღებია თუ: არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით; პსდ აფართოებს მომსახურების/პროგრამების სპექტრს პროფილური მიმართულებით; პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების/პიროვნული განვითარების/პიროვენბის სოციალურ ინტეგრაციის შესაძლებლობას.

პროცედურით არგუმენტირებისთვის გამოყენებული კვლევების შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად ასევე მეორად სანდო წყაროებს. არგუმენტირების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი და ქმნის სამუშაო ჯგუფს, პროგრამის ადაპტირება-შემუშავებისთვის, რომელიც უშუალოდ მუშაობს პროგრამის ადაპტირებაზე, სასწავლო გეგმის შექმნაზე, სასწავლო რესურსის დამუშავებასა და სხვ. პროგრამის პროექტს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და დასამტკიცებლად წარუდგენს პსდ-ს დირექტორს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. შპს ორიენტირის მისიაში გაცხადებულია, რომ კოლეჯი მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის გზით, უზრუნველყოფს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კვალიფიციური, კომპეტენტური, პასუხისმგებლიანი, კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსის მომზადებსა და დასაქმების ხელშეწყობას, რაც საშუალებას მისცემს მათ, საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარების საქმეში. კოლეჯი ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებად, პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებაზე ჯანდაცვის, განათლებისა და ბიზნესის სფეროებში. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა ეხმიანება ბიზნესის სფეროში პროგრამების განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კურირებით განხორციელდა კვლევა („ივენთმენეჯმენტის განათლება საქართველოში,“ ვარშავის მენეჯმენტის უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა, 2019 წ.), რომლის მიზანი იყო საქართველოს შრომის ბაზარზე, ღონისძიებათა ორგანიზების სპეციალისტების მიმართ მოთხოვნების დადგენა. ამ მიმართულებით, განათლების დონის შესწავლა და ბაზრის საჭიროებათა შესაბამისად ღონისძიების მართვის ძირითადი ფაქტორების განსაზღვრა. ჩატარდა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დარგის ექსპერტებმა, ივენთკომპანიების ხელმძღვანელებმა, საზოგადოებრივი ურთიერთობების და მარკეტინგის დეპარტამენტების წარმომადგენლებმა. კვლევის რესპონდენტების განმარტებით, უმეტესობამ აღნიშნული პროფესია შეისწავლა პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. კვლევის შედეგებმა დაადასტურა, სპეციალისტებზე მზარდი მოთხოვნა და კვალიფიციური კადრების საჭიროება ღონისძიების ორგანიზების სფეროში. კოლეჯს ამ დრომდე არ ჰყოლია პროფესიული სტუდენტები ღონისძიების ორგანიზების ე.წ. „მოდულურ“ პროგრამაზე, თუმცა ამ ფაქტს ხსნიან პანდემიით გამოწვეული პრობლემებით (შეზღუდვებმა ფაქტობრივად დარგის პარალიზება გამოიწვია და აღნიშნული მიმართულება არა აქტუალური გახადა). როგორც გასაუბრებისას პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა, კოლეჯის პარტნიორმა ორგანიზაციებმა აღნიშნეს, სიტუაცია მიმდინარე პერიოდისთვის დასტაბილურდა. ამასთან, კოლეჯმა განახორციელა მოკლევადიანი პროგრამა აღნიშნული მიმართულებით, რაზეც მოთხოვნა საკმაოდ მაღალი იყო. აღნიშნული არგუმნეტებიდან გამომდინარე, კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “ღონისძიებების ორგანიზება“ დამატების შესახებ.

დაწესებულების მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის შემუშავების გადაწყვეტილება/ინიციატივა შესაძლებლია მოდიოდეს თავად დაწესებულების დირექტორისგან, ან უკვე განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე. სასურველია მეთოდოლოგიაში უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლო შემთხვევები. ამასთან დოკუმენტი მოიცავს პუნქტებს, რომელიც ასახავს პროგრამის ცვლილებისას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და გაუქმების შემთხვევაში მობილობის პროცედურის შესახებ შინაარსს. აღნიშნული საკითხებია რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც. სასურველია პროფესიული სტუდენტის მომსახურების/უფლებების შესახებ პუნქტები ამოღებული იქნეს დოკუმენტიდან და ის მხოლოდ მოიცავდეს სათაურის შესაბამის შინაარს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

<u>პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“, აისახოს აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებული შინაარსი. ასევე სასურველია დოკუმენტში ნათლად ჩამოყალიბდეს პროგრამის ინიცირების შესაძლებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (ბრძანებით# 01/138, 03.11.2021 თავი 3.). *პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ღონისძიების ორგანიზება“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის „საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზება“ მოთხოვნასთან.*

საგანმანათლებლო პროგრამაზე „ღონისძიების ორგანიზება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით (პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის ბრძანება #01/121), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულება პროგრამას განახორციელებს A, B და C გარემოში, რომლებიც აღჭურვილია მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ:

- A გარემო, აუდიტორია #4 - აღჭურვილია სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფით, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერით, დემონსტრირების საშუალებით, (აუდიტორია გათვლილია 20 პროფესიულ სტდენტზე);
- B გარემო - აუდიტორია #13/კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც თითოეული სტუდენტისათვის (სულ 21 პროფესიულ სტუდენტზე) გათვალისწინებულია ინდივიდუალური კომპიუტერი და B გარემოსთვის საჭირო სხვა ინვენტარი; აუდიტორია გამტარუნარიანია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგარმებისთვის.
- C გარემო უზრუნველყოფილია შპს ორიენტირის „ღონისძიებების დარბაზში“ (120 ადგილი).

შესაძლებელია სამივე სასწავლო გარემოს გამოყენება ორ ცვლაში.

პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების, პსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისა და პროგრამის ანალიზით, დასტურდება, რომ კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. A, B და C გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

სასწავლო და სამუშაო ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამაზე ***„ღონისძიებების ორგანიზება“, პსდ-ს მიერ ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 20 პროფესიულ სტუდენტით.***

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “ღონისძიებების ორგანიზება“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის სათანადო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

5. დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიებების ორგანიზება“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

8. საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიებების ორგანიზება“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ, 2021 წლის 9 ნოემბრის #115 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 04.12.2021, ბრძანება №7660). პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, პსდ-ს წესდების (02.11.2021) 5.4 პუნქტითა და დებულების 7.3. პუნქტით (ბრძანება #7656, 04.12.2021)

5. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ:** პროფესიული *საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება “ღონისძიებების ორგანიზება“ გამომდინარეობს ჩარჩო დოკუმენტის დასახელებისგან “საოფისე საქმისა და ღონისძიებების ორგანიზება“(სარეგისტრაციო ნომერი 04119-ჰ).* სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. სწავლის შედეგებია: სადღესასწაულო, სპორტულ/სანახაობრივ და ოფიციალურ/საქმიანი ღონისძიებების დაგეგმვა და მოსამზადებელი სამუშაოების კოორდინირება, ურთიერთობა ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან, ღონისძიების ტექნიკური მომსახურებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქორწილის ორგანიზება, ღონისძიების დიზაინი. აღნიშნული შედეგები უშუალოდ არის დაკავშირებული პროფესიასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ღონისძიებების ორგანიზება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“, ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის მოცულობით, 13 პროფესიულ მოდულს 46 კრედიტის მოცულობით.პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამის მოცულობა, რომელზეც დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია შეადგენს 61 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა- 9.75 სასწავლო თვე (39 კვირა). ღონისძიების ორგანიზების საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა სრულად უნდა დააგროვოს პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს: პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების და კრედიტების მინიჭების, მათ შორის სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების სწავლებისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაციას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად მოდულებს, პროფესიულ/საერთო პროფესიულ მოდულებს და სასწავლო გეგმას. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები, რომლის გავლაც სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ მაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების ენის ფლობის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ღონისძიებების ორგანიზება“
2. შპს ორიენტირის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2020-2027 წლებისთვის;
3. შპს ორიენტირის 2021-22 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 აგვისტოს №01/83 ბრძანებით (ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 ნოემბერს №01/154 ბრძანებით);
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “ღონისძიებების ორგანიზება“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბ ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(ცვლილება №0622 31/01/2022)
6. კოლეჯის დირექტორის 30 ნოემბერი 2020 წ 01/121 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
7. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“ დამტკიცებული დირექტორის 29/11/2021 წლის N07488 ბრძანებით
8. „შპს ორიენტირის“ წესდება;
9. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
10. შპს ორიენტირის დირექტორის №07660 04/12/2021ბრძანება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“.
11. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო:

— A გარემო, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, გარემოში განთავსებულია - სათანადო რაოდენობის მაგიდები და სკამები. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, დაფა, სადემონსტრაციო საშალება/მონიტორი. კოლეჯი მიღებას გეგმავს ყოველ წელს 20 ადგილზე. ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

— B გარემო. გათვლილია 21 პროფესიულ სტუდენტზე. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, B გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ გარემო უზრუნველყოფილია კომპიუტერებით როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

— პროგრამის პრაქტიკული კომპონენტისათვის გამოყოფილია სასწავლო გარემოს მოდელი C რომელიც წარმოადგენს შპს ორიენტირის „ღონისძიებების დარბაზს“ (120 ადგილით) .

პროგრამის შემადგენელი ზოგადი და ყველა პროფესიული მოდულის სწავლება სრულად შესაძლებელია დისტანციურად, გარდა მოდულის “პრაქტიკული პროექტი - სპორტულ/სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა“ ერთი სწავლის შედეგისა, რაც დამატებით შესაძლებლობას აჩენს საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის პანდემიის (COVID-19) პირობებში, პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

შპს ორიენტირს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები სტუდენტის მომსახურებაზე შემდეგ კომპანიებთან: სს „გუდვილი“, სპს „მოზაიკა+“, და ჩოგბურთის ფედერაციასთან, თითოეულთან 20-20 პროფესიული სტუდენტის მიღების შესახებ.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე “ღონისძიების ორგანიზების” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია 20 პროფესიული სტუდენტის სწავლების უზრუნველყოფა.

1. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.** კერძოდ: პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 17. მათ შორის 7 პირი პროფესიული მოდულების განმახორციელებელია. პირადი საქმეებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ: დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის, „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“, მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების სახელწოდებები. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ იქნა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაწილს აქვს მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. კოლეჯის ხარისხის სამსახური სისტემატიურად ატარებს შეხვედრებს/სწავლებას საჭიროების მიხედვით. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შრომის კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კერძოდ:** პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის #07465 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში "შპს ორიენტირის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ." დოკუმენტის მიხედვით საკვალიფიკაციო მოთხოვნაა, რომ ხელმძღვანელი იყოს პროგრამის შესაბამისი დარგის სპეციალისტი და ჰქონდეს პროგრამის სწავლებისა და შეფასების გამოცდილება. აღნიშნულ მოთხოვნასთან ხელმძღვანელის შესაბამისობა დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი.

პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის სპეციალისტი, მრავალწლიანი სამუშაო და სწავლების გამოცდილებით, იგი გახლდათ ფასილიტატორი ჩართული იყო როგორც ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ასევე დაწესებულებაში პროგრამის ადაპტირების პროცესში.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ:** საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერები მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი). დაწესებულება იყენებს OpenBiblio-ს და სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge).

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

პსდ უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. პსდ-ს შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, როგორიცაა ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება და სხვა („სასწავლო პროცესის მარეგურილებელ წესი“ მუხლები 30, 48). ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ისგ-ს შედგენის პროცედურა. წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.** კერძოდ: თითოეული სტუდენტის სწავლის საფასური კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე შეადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2200 ლარს, რენტაბელობის ზღვრული რაოდენობაა - 11. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი (25 520 ₾) და ხარჯების ნაწილი (25 520₾). ხარჯების ნაწილი მოიცავს: პედაგოგებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებას, პრაქტიკის მომსახურების, კომუნალურ, რეკლამის, სასწავლო მასალის და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებს.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

- *სასურველია შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც ასევე აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ერთგვაროვანს გახდის პსდ-ს მიდგომას, პროგრამის ბიუჯეტისთვის ხარჯების იდენტიფიცირებისთვის.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
2. გაუმჯობესების გეგმა.
3. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები.
4. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბ ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(ცვლილება №622 31/01/2022)
6. ვიზუალური დათვალიერება;
7. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის N00007465 ბრძანებით დამტკიცებული "შპს ორიენტირის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ."
8. პროგრამის ბიუჯეტი;
9. ბიბლიოთეკა: https://orientiri.edu.ge/biblio/home/index.php
10. კოლეჯის ვებ-გვერდი: www.orientiri.edu.ge
11. ორიენტირის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან: სს გუდვილი, სპს „მოზაიკა+“, ჩოგბურთის ფედერაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

12. კოლეჯის დირექტორის 30 ნოემბერი 2020 წ 01/121 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
13. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
14. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები.
15. ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***<u>პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან,</u>*** პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პსდ-ს ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით (ბრძანება #01/87, 13.08.2021), ასევე შემუშავებულია კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია (ბრძ.#01/51, 20.05.2021), სადაც მითითებულია კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები, სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინსტრციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ობიექტი განმახორციელებელი პირი/ხელმძრვანელი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე გამოკითხვის პერიოდულობა/სიხშირე (პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ; პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების კვლევა - წელიწადში ერთხელ; კურსდამთავრებულთა დასაქმებლის მაჩვენებლის კვლევა - სწავლის დასრულებიდან 1 წლის შემდეგ). კითხვარების ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილი საჭიროებების/ინიციატივების შემთხვევაში, დაწესებულება გეგმავს შესაბამის რეაგირების ღონისძიებებს. კვლევის შედეგები/ანგარიშები საჯაროა, გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

ხარისხის მექანიზმების თანხმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წამომადგენელი/წარმომადგენლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ჯგუფი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. გეგმა ითვალისწინებს: სასწავლო პროცესზე დასწრებას, დაკვირვების კითხვარების შეგროვება-ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები ფორმდება სხდომის ოქმით, მოხსენებითი ბარათებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება, ჯგუფის წევრები აგროვებენ ინფორმაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისხს ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

<u>პსდ-ს პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.</u>

2. ***<u>პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.</u>***

გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორცილებეული ცვლილებების შესახებ გამოცემული ბრძანებები. ცვლილება განხორციელბულია შიდა პროცედურის დაცვით. თუმცა გამოცემული ბრძანებით (#07660 04.12.2021) რთულია იდენტიფიცირება რა ცვლილებები განხორციელდა. პსდ-მ უნდა უზრუნველყოს ბრძანების შინაარსის ინფორმაციულობა და მიკვლევადობა (აღნიშნული საკითხის შესახებ რეკომენდაცია გაიცა მე-5 სტანდარტთან, საქმისწარმოების კომპონენტის ფარგლებში).

პსდ-ს მიერ ასევე უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილებისას, შესაბამისობაში მოსვლისა და სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირების ვადები (მაგ. დისტანციური სწავლების მეთოდების დამატება საგანმანათლებლო პროგრამაში და სხვა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს #01/87 ბრძანება „ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები“.
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის #7488 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“;
3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები (#26 17.12.2021, #25 01.12.2021)
4. შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება #7660 „შპს ორიენტრში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის #01/29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
5. კვლევის ანგარიშები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის კმაყოფილების, მოდულების განხორციელების, დისტანციური სწავლების კვლევაების შესახებ)
6. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1-სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ღონისძიების ორგანიზება“ პსდ-ს მოთხოვნების თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 14,75 სასწავლო თვე, 59 სასწავლო კვირა (91 კრედიტი), ხოლო არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 9,75 სასწავლო თვე, 39 სასწავლო კვირა (61 კრედიტი). სასწავლო გეგმა ითვალისწინებს არა ქართულენოვანი პიებისთვის A2, B1 დონის ქართული ენის მოდულების სწავლებას.

   საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

2. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.** კერძოდ: დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის განხორციელება დაგეგმილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიების გამოყენებით. კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. მოდულებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები (პრეზენტაციები, დისკუსია, სემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში). პრაქტიკული მეცადინეობებისთვის პსდ-ს ღონისძიებების დარბაზი არჭურვილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free
თანამედროვე აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობით. გასაუბრებისას დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა მიდგომებიც.

პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირების დარგობრივი კომპეტენციები უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლების პროცესში.

3. პსდ-ში არსებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურებით.

COVID-19 პანდემიის პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე, კოლეჯმა პროფესიული სტუდენტების და განმახორციელებელი პირების საჭიროებების (ინტერნეტთან წვდომა, იტ უნარების ფლობა, დისტანციური სწავლების პლატფორმების მართვის ფლობა) შესახებ ელექტრონული გამოკითხვა განახორციელა, განხორციელდა შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძებები. პსდ-ს მიერ, პარტნიორ კოლეჯებთან ერთობლივად, იდენტიფიცირდა პროგრამის/სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა. ანალიზის საფუძველზე, განხორციელდა პროგრამაში ცვლილებები, დაემატა სწავლების დისტანციური მეთოდი, ელექტრონული სასწავლო რესურსი). დისტანციური სწავლების შეუფერხებლად განხორციელბის მიზინით შეძენილი იქნა Zoom ფასიანი სერვისი. ცვლილებები განხორციელდა და დაიგეგმა ისე, რომ სასწავლო პროგრამის განხორციელების ვადები არ გახანგრძლივებულა.

სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების აღმოჩენა ადასტურებენ დაწესებულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამების აქტიური პროფესიული სტუდენტებიც.

<u>პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

4. პსდ-ს რეგულაციებით შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს როგორც შშმ, ის სსსმ პროფესიულ სტუდნეტები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატისის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზებით, ასევე დეტალურად აქვს იდენტიფიცირებული შშმ პირების არსებობების შემთხვევაში, მათ იდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის სედგების მიღწევის სესაძლებლობები (მუხლები: 29, 30, 38, 48). ამ მიზნით, ასევე გამოყოფს სივრცეებს/საათებს ჯგუფური და დამატებითი მეცადინეობებისთვის. შეხვედრები იგეგმება მასწავლბელებთან ონლაინ, დამატებითი კოსულტაციების მიწოდების მიზნით, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც.

ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი იქნა მობილობის, სტატუსის აღდგენის ამსახველი დოკუმენტაცია და ამ გარემოებიდან გამომდინარე შემუშავებული ისგ. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებზე/საჭიროებებზე პსდ-ს ადმინისტრაციის ორიენტირება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ასვე 2.4.1 (2) და 3.1.1. (5) ინდიკატორების აღწერა.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. შპს „ორიენტირს“ ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: შპს „მოზაიკა +“, სს „გუდვილთან“, ა(ა)იპ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციასთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით. სამივე ორგანიზაცია გამოთქვამს მზაობას, რომ ერთდროულად შეძლებენ 20-20 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება შპს +“-ის წარმომადგენელთან. აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ წაყვან ორგანიზაციას ღონისძიებების მოწყობის და უზრუნველყოფის სფეროში. მათ აქვთ სწავლების გამოცდილებაც და აქვთ ინტერესი, კომპანიების საქმიანობაში ჩართონ წარმატებული კურსდამთვრებულები.

პსდ-ს და პრაქტიკის ობიექტების თანამშრომლობის ხელშეკრულებები ასევე ითვალისწინებს კოლეჯის კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობას და პრაქტიკის განხორციელების პერიოდში პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში,** რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კავლიფიკაციის პირებისა და სამსახურების არსებობა. კოლეჯში ფუქციონირებს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური (2 პერსონალი) და შრომის უსაფრთოების სამსახური (2 პირი). შრომის უსაფრთოების სამსახურის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და შემუშავებულია პრევენციული ღონისძებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ-ში დაცულია სასწავლო/სამუშაო პროცესი განხორციელებისას COVID-რეგულაციები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „სასწავლო პროცესის მრეგულირებელი წესი“ (03.11. 2021 ბრძანება #01/138)
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“
3. სასწავლო გეგმები
4. მიდგომები დისტანციური სწავლების შესახებ
5. დისტანციური სწავლების შეფასების კვლევის ანგარიში
6. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან
7. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და შრომის უსაფრთხოების სამსახურების პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
8. რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გეგმები
9. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემას (თავი IV), სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ.

   შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია და განისაზღვრება 10 კალენდარული დღით. ამავე წესის თანახმად, განმეორებითი შეფასების დაადსტურება, პროგრამის ბოლოს დაგეგმილი მოდულებისთვის, შესაძლებელია, პროგრამის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში. თუმცა გაურკვევლი ჩანაწერია ამავე მუხლში (44.8.) სადაც წერია, რომ “სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება“. დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტის შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება/ამოღება.

   რეგულაციით, განმეორებითი შეფასებისთვის, დაწესებულება შეფასების სხვა ინსტრუმენტს. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. წესის თანახმად შეფასების შედეგების ადმინისტრაციისთვის მიწოდება ხდება შეფასებიდან ერთ სამუშაო დღეში. პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს ადმინსიტრაციას. პსდ-ს შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით, რამდენად არის პსდ-ს შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები დარგის ექსპერტის შეფასებით იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არა ობიექტური შეფასების ფაქტი. პროფესიულმა სტუდნეტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

<u>ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა რეგულაციების შემოწმება და ტექნიკური ხარვეზების/ურთიერთგამომრიცხავი დებულებების კორექტირება.

4. ***<u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს,</u>*** რომელიც ხორციელდება პსდ-ს დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის №01/52 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, პსდ-ს შესაბამისი ადამანური რესუსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა (რეესტრი), რომელიც აფასებს შემდეგ გარემოებებს: „დამწყები“ და „სანდო“ პროფესიული მასწავლებლების/პრაქტიკის ხელმძღვანელების შეფასებას, ასევე შემთხვევები, როდესაც შეფასებისას გამოყენებულია ბევრი პრაქტიკული დავალება ან ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად რამდენიმე სწავლის შედეგი ფასდება. გამოვლენილი რისკ-ფაქტორები ფასდება 4 ბალიანი სისტემით ე.წ. „კოეფიციენტით“ (დაბალი - 1ქ; საშუალო - 2ქ; მაღალი - 3ქ; კრიტიკული - 4ქ.).

<u>გამომდინარე იქიდან, რომ პსდ-ს მიერ განსაზღვრული ჩვსით, რისკ-ფაქტორების გამოვლენის რეესტრმა უნდა მოიცვას დაწესებულების ყველა განმახორციელებელი პირისა და შეფასების ინსტრუმენტის ანალიზი, სასურველია თითოეული გარემოებისთვის ცალ-ცალკე დოკუმენტი შეიქმნას. ასევე პროცედურაში განსაზღვრულია ვერიფიკაციით უარყოფითი შეფასების დადგომის გარემოებაც (ა.8.3.), რომლის დროსაც პსდ-ს მიერ დამატებით მოხდება შერჩევითი შეფასება განსხვავებული პრინციპით, მაგ. სტუდენტების სიით ანბანის პირველი 10 ასო ან სხვა, რაც ექსპერტთა აზრით, ვერ იქნება ეფექტური, ამასთან პროცესის დანერგვის საწყის ეტაპზე, სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს ტოტალური კონტროლი და უარყოფითი შეფასების დადგომისას, შემოწმებული იქნეს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

პროცედურით განსაზღვრული არაა რისკების იდენტიფიცრებისას, გარემოების შეფასებისას, რომელი კოეფიციენტისას რა მოცულობის დოკუმენტაცია იქნება შეფასებული. ასევე არაა განსაზღვრული, რა მოცულობის მტკიცებულებები/შეფასების ინსტრუმენტები უნდა შემოწმდეს, რომ თავად ვერიფიკაციის პროცესი ჩაითვალოს ვალიდურად.

ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიზიტის დროს გაცნობოდნენ პსდ-ს მიერ წარმოდგენილ ვერიფიკაციის ჯგუფების სხდომის ოქმებს, (ოქმი 09.12.2021), რომელიც მოიცავდა კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შესახებ ინფორმაციას, შეფასების პროცესების გამჭვირვალობისა და ობიექტურობის დასადგენად. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია ასევე ჯგუფის რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიზიტის დროს გასაუბრებოდნენ ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს, რომლებმაც დაადსტურეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია

- *ვერიფიკაციის მექანიზმებით განსაზღვრული გარემოებებისთვის, სასურველია შემუშავდეს ცალ-ცალკე დოკუმენტი.*
- *ვერიფიკაციის პროცესში (მით უფრო დანერგვის ეტაპზე), უარყოფითი შეფასების გარემოების დადგომისას, სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს მტკიცებულებების/დოკუმენტების 100%-ის შემოწმება;*
- *ვერიფიკაციის პროცესის ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვროს რისკების იდენტიფიცრებისას, სხვადასხვა გარემოებების კონკრეტული კოეფიციენტით შეფასებისას, რა მოცულობის დოკუმენტაცია უნდა იქნეს შეფასებული. ანალოგიურად, განისაზღვროს ვერიფიკაციის პროცესი ვალიდურობის ინდიკატორი.*

3. პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 44). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება უვადოდ (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 49). შეფასების ინსტრუმენტები, უწყისები იდენტიფიცირებულია, აღირიცხება სპეციალურ რეესტრებში.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDFEraser Free

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება ინდივიდუალურად ან ჯგუფში, პროფესიული სტუდენტების თანხმობით. წერილობითი ან/და ონლაინ შეფასებისას უკუკავშირი ხორციელდება პირად ელფოსტაზე შეტყობინებით. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. რის საფუძველზეც სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. პროფესიულ სტუდენტებთან და მასაწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ ონლაინ კონსულტაციებსა და უკუკავშირს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ‘სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,“ 03.11.2021, ბრძანება #01/138
2. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია 15.12.2021 ბრძანება #7927
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის #01/52 ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმები;
4. შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება #01/155 16.11.2021 შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ
5. ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრის ამსახველი სქრინები, ვერიფიკაციის ჯგუფის სხდომის ოქმი 09.12.2021
6. ვერიფიკაცის დასკვნა, ხარისიხს მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი (09.12.2021)
7. პსდ-ს სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
8. ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....27.04.2022.....
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)